დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2022 წლის 21 – 27 მარტი
N 13 1425
ფასი 3 ლარი და 30 თეთრი

# აი მტრები!
16


12

**ომარ მარგველაშვილი:**
საქართველოს სააკაშვილსა და მის გარემოცვაზე ვერაგი მტერი არ ჰყავს!

რატომ უნდა ვდურთოთ თავი გამძვინვარებული რუსული დათვის ხახაში?




# დავუბრუნოთ საქართველოს
## ხაზარაძის მიერ რუსეთისთვის მიყიდული
# «ბორჯომი!»

„ბორჯომის“ მეპატრონე რუსი მილიარდერი მიხეილ ფრიდმანი დასავლეთის სანქციების შედეგად გაკოტრდა და ყველა-ფერს ყიდის!
13



# «ბოროტამ» სძლია კეთილსა!
ზელენსკის უკრაინა, როგორც ნაცირლების უკანასკნელი თავშესაფარი



10-11



შეერთდება კი
რუები სლავთა
ზღვაში რუსეთის?
ან იქნებ დაშრეს?
დაე, ეს კითხვა
კვლავ კითხვად
დაშთეს!
*ა.ს. პუშკინი.*
*1831*

# КЛЕВЕТНИКАМ РОССИИ ანუ
# პუშკინი და პუტინის „პუშკები“

# ელჩი სოროში,
## ანუ ზელენსკის მიერ „გაწვეული“ იგორ დოლგოვი თბილისიდან არსად წასულა!




***აღმოჩნდა, რომ ამა წლის 2 მარტს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის მიერ საქართველოდან გაწვეული ელჩი იგორ დოლგოვი არსადაც არ წასულა. იგი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის კამერამ გასულ კვირას თბილისში, თავის საცხოვრებელ რეზიდენციასთან დააფიქსირა.***

**ელჩ დოლგოვს** საკუთარ რეზიდენციასთან ჟურნალისტებისა და ტელეკამერების დანახვა ძალიან არ ესიამოვნა და მოუწოდა მათ, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიციის გამოძახებით დაემუქრა.

**რას ნიშნავს, როცა უკრაინის პრეზიდენტის მიერ „კონსულტაციებისათვის გაწვეულ“ ელჩს საქართველო არ დაუტოვებია და საკუთარ ქვეყანაში არც კი წასულა, მაგრამ საელჩოში არ დადის და დიპლომატიურ საქმიანობას აღარ ეწევა?**

**ეს ნიშნავს** უკრაინის ხელისუფლების მიერ ქართული სახელმწიფოს მასხრად აგდებას!

**ეს ნიშნავს** ზელენსკის ხელისუფლების მხრიდან ორმაგ უპატივცემულობასა და შეურაცხყოფას არამარტო საქართველოს ხელისუფლების, არამედ ქართველი ხალხისადმი!

დიახ, **თავისთავად უპატივცემულობა და შეურაცხყოფა იყო, როცა უკრაინის პრეზიდენტმა, ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის გარეშე, საქართველოდან ელჩი „კონსულტაციებისათვის გაიწვია“, მაგრამ, როცა ვხედავთ, რომ „გაწვეული“ ელჩი უკრაინაში არავითარი „კონსულტაციებისათვის“ არ გაფრენილა და თბილისში მიმოდის, ეს უკვე საქართველოსათვის მთლად თავლაფის დასხმაა!** ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ზელენსკის მიერ საქართველოდან ელჩის „გაწვევა“ იყო წმინდა წყლის **პოლიტიკური დემარში** საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და **სამი თითის კომბინაციის ჩვენება** ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხისათვის.

უკრაინის პრეზიდენტმა, როცა საქართველოდან ელჩის გაწვევის შესახებ განცხადებას აკეთებდა, „ამორალური“ უწოდა საქართველოს ხელისუფლების პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული სახელმწიფო კოლექტიური დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა, მაგრამ **ნამდვილი ამორალიზმი და უზნეობა სწორედ ის არის, რასაც ზელენსკი საქართველოსთან მიმართებაში აკეთებს — საკუთარი ელჩი თბილისში სოროში ჰყავს გადამალული!**

არა, **იგორ დოლგოვის** თბილისური რეზიდენცია, პირდაპირი გაგებით, სულაც არ გახლავთ სორო, პირიქით, უზარმაზარი სასახლეა, ფეშენებელური და ციხესიმაგრის მსგავსი, მაგრამ ეს არის **პოლიტიკური და მორალური სორო,** რომელშიც უკრაინის ხელისუფლებამ საკუთარი ელჩი და იმასთან ერთად საკუთარი თავიც შეჩურთა.

ახლა სხვა მხრიდანაც თუ შევხედავთ, სრულიად ბუნებრივია, რომ **პრეზიდენტ ზელენსკის მიერ „საკონსულტაციოდ გაწვეული“ ელჩი უკრაინაში კონსულტაციებისათვის არც კი წასულა, რადგან, რეალურად, უკრაინის ხელისუფლებას საქართველოში საკუთარ ელჩთან საკონსულტაციო და გასარკვევი არაფერი აქვს.**

დიახ, საქართველოს სახელმწიფომ ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე ყველაფერი გააკეთა უკრაინის პოლიტიკური მხარდაჭერისათვის! საქართველოს სახელმწიფომ მხარი დაუჭირა და თანაავტორობა გაუწია ყველა პოლიტიკურ სანქციას, რომელიც დასავლურმა ინსტიტუტებმა რუსეთს უკრაინაში შეჭრის გამო დაუწესეს! საქართველოს ხელისუფლება უკრაინაში გზავნის და გზავნის ტონობით და მილიონობით ჰუმანიტარულ დახმარებას! მაშ, ყოველივე ამის შემდეგ რაზე უნდა გამართოს „კონსულტაციები“ ზელენსკის ხელისუფლებამ ელჩ დოლგოვთან? ცხადია, არც არაფერზე! ჰოდა, ამიტომაც არ წასულა უკრაინაში საკონსულტაციოდ **ელჩი დოლგოვი,** ამიტომაც ზის თბილისში დიდრონ სასახლეში, რომელიც მისთვის და უკრაინის ხელისუფლებისათვის პოლიტიკურ და მორალურ სოროდ გადაიქცა!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ,

**უკრაინის „განვეული“ ელჩი იგორ დოლგოვი თბილისში რჩება, რათა ზელენსკის ხელისუფლებამ ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს უფრო მძაფრად და სახიერად აგრძნობინოს – ფეხებზე მკიდიხართ და სამტროდ გიყურებთ, ჩემი მეგობრები თქვენ კი არა, ადეიშვილი, საყვარელიძე, ლორთქიფანიძე და დეკანოიძე არიანო!**

მოდით, პირდაპირ ვთქვათ — უკრაინის „გაწვეული“ ელჩის თბილისში ყოფნა და დიპლომატიური მისიის დემონსტრაციულად არშესრულება იმის ნიშანია, რომ ზელენსკის ხელისუფლება საქართველოსა და ქართველ ხალხს სახეში აფურთხებს!

საქართველოს ხელისუფლებას ამაზე პრინციპული და ღირსეული პასუხი უნდა ჰქონდეს! **გასაგებია „ქართული ოცნების“ ლიდერშიპის მორალური პოზიცია, რომ ომში მყოფი უკრაინის ხელისუფლების კრიტიკისაგან თავს იკავებენ, მაგრამ საზღვარი ყველაფერს აქვს — როცა ომში მყოფი უკრაინის ხელისუფლება თავად იცლის იმისათვის, რომ ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს ყურიდან ენა გამოუყოს, ქართულმა სახელმწიფომ და ქართველმა ხალხმაც უნდა მოიცალოს ამ პოლიტიკური ამორალიზმისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად!**

საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინის ხელისუფლებას, მის მიერ სააკაშვილისა და სხვა ნაცდამნაშავეების გულში ჩაკვრისა და სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნის გამო, პოლიტიკური სილა თავის დროზევე რომ არ გააწნა, ზელენსკი და მისი ხელისუფლება ახლა სწორედ ამიტომ აძლევენ თავს უფლებას, საქართველო და ქართველი ხალხი ასე აბუჩად აიგდონ!

**ქართული სახელმწიფო უკრაინის ხელისუფლებასთან არავითარ ვალში არ არის!**

**უკრაინის ხელისუფლება პოლიტიკურადაც, მორალურადაც და ადამიანურადაც თვითონ არის ჩასვრილი ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე!**

ჰოდა, ჩასვრილებს ბოლოს და ბოლოს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მათ მიერ დაყენებული სუნის ატანა აღარ შეგვიძლია!

**უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველო ამის მოთმენას აღარ აპირებს!**

> **ქართული სახელმწიფო უკრაინის ხელისუფლებასთან არავითარ ვალში არ არის! უკრაინის ხელისუფლება პოლიტიკურადაც, მორალურადაც და ადამიანურადაც თვითონ არის ჩასვრილი ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე!**




უკრაინის „განვეული“ ელჩი იგორ დოლგოვი თბილისში, საკუთარ რეზიდე-ნციასთან

### ბოლოთქმა

რაკი აღმოჩნდა, რომ **პრეზიდენტ ზელენსკის მიერ „კონსულტაციებისათვის გაწვეული“ ელჩი იგორ დოლგოვი** უკრაინაში საკუთარ ხელისუფლებასთან საკონსულტაციოდ არ გამგზავრებულა, სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ მალე ისიც დადგინდება, რომ უკრაინის ელჩი თბილისში ნაციონალურ მოძრაობასთან გადის კონსულტაციებს! საერთოდ, ზელენსკის ხელისუფლებისა და სააკაშვილის სექტის სიამტკბილური ურთიერთობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ უკრაინამ სამომავლოდ საკუთარი ელჩი არა საქართველოში, არამედ **პირდაპირ სანაცეთში** დანიშნოს შესაბამისი ტიტულით — **„უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნაციონალურ მოძრაობაში!“** უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნაციონალურ მოძრაობაში რწმუნებათა სიგელს, რა თქმა უნდა, უკრაინის მოქალაქეს, უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, რუსთავის ციხის პატიმარ **მიხეილ სააკაშვილს** გადასცემს!

***ჯაბა ხუბუა***

### კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**აგვისტოს ომის შემდეგ, სამწუხაროდ, მაშინდელმა ჩვენმა ქართულმა ხელისუფლებამაც კი არ დაუწესა სანქციები რუსეთს.**

„პირველი არხი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

**2012 წელს ვინ დააბრუნა რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი? ვინ იყო საბაჟოზე ყაყაჩოებით და ვარდებით რომ ხვდებოდა რუსეთის მოქალაქეებს? სააკაშვილი იყო თუ არა?**

„იმედინიუსი“



**ირმა ზავრადაშვილი**
*პარლამენტარი*

რა უცნაური დრო მოვიდა. **გახარია** ლაპარაკობს **ერთგულებაზე, ხაზარაძე — სიღარიბეზე, გოცირიძე — ინფლაციაზე, „გირჩი“ — ჯარზე** და, რაც მთავარია, **მეხუთე კოლონა — ადამიანის უფლებებსა და სამშობლოს სიყვარულზე.**

„ფეისბუქი“



**ანტონიუ გუტერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*

უკრაინაში ომმა უკვე დაარღვია **პროდუქციის მიწოდების ჯაჭვი და იწვევს ფასების სწრაფ ზრდას საწვავზე, საკვებ პროდუქტსა და ტრანსპორტზე.** ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი შესაძლებელი, რათა **შევაჩეროთ შიმშილის ქარიშხალი** და საკვები პროდუქციის სისტემის კრახი.

„ტვიტერი“

# «ბოროტამ» სძლია კეთილსა,

## ანუ ზელენსკის უკრაინა, როგორც ნა(ც)ირლების უკანასკნელი თავშესაფარი

***„ბოროტა“ გია ლორთქიფანიძის მეტსახელია, საკუთრივ გია ლორთქიფანიძე კი ის ნაცია, რომელიც ზელენსკის ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინათ უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა.***

სხვა თუ არაფერი, კაცს რომ მეტსახელად **„ბოროტას“** შეარქმევენ, თავისთავად ცხადია, რომ იგი სიკეთის განსახიერება ვერ იქნება, მაგრამ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **ვანო მერაბიშვილის** ყოფილი მოადგილის **გია ლორთქიფანიძის** რაობაზე, მის „კლიჩკასთან“ ერთად, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებიც მეტყველებენ, რომელთათვისაც **„ბოროტას“** საქართველოს პროკურატურისაგან ოფიციალური ბრალი აქვს წარდგენილი.

კერძოდ, **„ბოროტა“** 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არის ბრალდებული, რაც **5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.** საქართველოს პროკურატურის მიერ ფორმულირებული ბრალის თანახმად, **მერაბიშვილის მოადგილე „ბოროტა“ 26 მაისის აქციის დარბევას ადგილზე ხელმძღვანელობდა და სწორედ მის თვალწინ, მისი ზედამხედველობითა და ნების დართვით ხდებოდა რუსთაველის გამზირზე ის გაუგონარი სისასტიკე, რომელსაც პოლიციელები და სპეცრაზმელები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ იჩენდნენ.**

დიახ, სააკაშვილის რეჟიმმა მომიტინგეები ალყაში რომ მოაქცია, გასაქცევი არსაით დაუტოვა და ყველას სათითაოდ გაუსწორდა, ამ სადამსჯელო ოპერაციას **„ბოროტა“ ლორთქიფანიძე** ხელმძღვანელობდა; მშვიდობიან დემონსტრანტებს ხელ-ფეხს რომ უკრავდნენ, ასფალტზე აგდებდნენ და ცემით ძვალსა და რბილს უერთიანებდნენ, ეს ყველაფერი **„ბოროტა“ ლორთქიფანიძის** უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა;

**„ბოროტა“ ლორთქიფანიძის უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედმა ზონდერ-პოლიციელებმა მოკლეს ცემით ორი მომიტინგე – ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი, რომელთა ცხედრებიც მაღაზიის სახურავზე შეაგდეს და მერე „დენის დარტყმით“ გარდაცვლილებად გამოაცხადეს.**

აი, ასეთი ნაცია **„ბოროტა“ — აწ უკვე უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე და პრეზიდენტ ზელენსკის მაღალი ნდობით აღჭურვილი პერსონა!**

**„ბოროტა“ ლორთქიფანიძის** კიდევ ერთი ბრალდება ძებნილი სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის საქმეს უკავშირდება. კერძოდ, გამოძიებით დადგენილია, რომ სწორედ მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე **„ბოროტა“** იყო ის ნაცი, რომელმაც არაჟნებით სავსე ტრაილერში სააკაშვილის ჩაჩურთვისა და საქართველოში შემოპარების ოპერაცია დაგეგმა და განახორციელა.

ყველასათვის ცხადია, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოპარვის მიზანი რევოლუციის მოწყობა და ხელისუფლების დამხობა იყო, ამ გეგმის აღსრულებაში ნაცბელადს **იმხანად უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მომავალი მოადგილე, ზელენსკის ნდობით აღჭურვილი „ბოროტა“ ლორთქიფანიძე ეხმარებოდა.**

ახლა, როცა უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ მისი ნდობით აღჭურვილი **„ბოროტა“** კონტრდაზვერვის შეფის მოადგილედ დანიშნა, კიდევ უფრო მყარი და გონივრული ხდება მოარული ეჭვი იმის შესახებ, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოპარების ოპერაცია უკრაინის ხელისუფლებისა და პირადად ზელენსკის ზურგს უკან არ განხორციელებულა.

**სააკაშვილი** და **„ბოროტა“,** წესით, არამხოლოდ ქართული, არამედ უკრაინული მართლმსაჯულების მიერაც უნდა იყვნენ ბრალდებული, რადგან ძებნილი ნაცბელადი საქართველოს საზღვარზე უკანონოდ შემოპარვამდე ჯერ უკრაინის სახელმწიფო საზღვრიდან გამოიპარა უკანონოდ, შესაბამისად კი, **„ბოროტა“ ლორთქიფანიძე** სააკაშვილს არამხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოპარვაში, არამედ უკრაინის ტერიტორიიდან უკანონოდ გამოპარვაში დაეხმარა.

თუმცა, **ზელენსკის ხელისუფლებამ „ბოროტა“ ლორთქიფანიძისათვის** ბრალის წაყენების მაგივრად, იგი მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე — კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა!

ასე და ამრიგად,

**ზელენსკის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ აიგდო მასხარად ქართული სახელმწიფო და ქართველი ხალხი!**

**ზელენსკის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ** გამოხატა უპატივცემულობა ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ინტერესებისადმი!

**ზელენსკის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ** დემონსტრაციულად დააფიქსირა, რომ იგი არა საქართველოსა და ქართველი ხალხის მეგობარი, არამედ საქართველოსა და ქართველი ხალხის სისხლში ამომვლები ნაცმოძრაობის მეგობარია!

**ომში მყოფი უკრაინის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ერთ-ერთ ხელმძღვანელად „ბოროტა“ ლორთქიფანიძის დანიშვნა იმის ნიშანია, რომ ოფიციალური თბილისისა და ოფიციალური კიევის ურთიერთობაში „ბოროტამ“ სძლია კეთილსა,**

ანუ უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის კეთილგანწყობას კვლავ **„ბოროტასთან“** და **კოლექტიურ ბოროტებასთან — სააკაშვილის ბანდასთან** ჩახუტება არჩია.

არსებობს ცნობილი გამოთქმა, რომ პატრიოტიზმი **ნაძირალების** უკანასკნელი თავშესაფარია, უკრაინა კი **ნაცირლების** უკანასკნელ თავშესაფრად გადაიქცა, რის გამოც რუსული აგრესიის მსხვერპლი უკრაინელი ხალხი ორმაგად გვებრალება, რადგან უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე **„ბოროტა“ ლორთქიფანიძე** და უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი **ზურაბ ადეიშვილი** რუსეთს უკრაინაში ისე დაამარცხებენ, როგორც 2008 წელს საქართველოში დაამარცხეს!

**იქ, სადაც „ბოროტა“ სძლევს კეთილს, ყველა იმედი და პერსპექტივა სულს განუტევებს!**



მიხეილ სააკაშვილი და გია ლორთქიფანიძე, იგივე „ბოროტა“

**ახლა, როცა უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ მისი ნდობით აღჭურვილი „ბოროტა“ კონტრდაზვერვის შეფის მოადგილედ დანიშნა, კიდევ უფრო მყარი და გონივრული ხდება მოარული ეჭვი იმის შესახებ, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოპარების ოპერაცია უკრაინის ხელისუფლებისა და პირადად ზელენსკის ზურგს უკან არ განხორციელებულა!**



უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი, საქართველოში არაერთი მძიმე დანაშაულისათვის ბრალდებული და მსჯავრდებული ზურაბ ადეიშვილი უკრაინული სახელმწიფოს სახელით მონაწილეობს ჰააგის სასამართლოს პროკურორებთან ოფიციალურ შეხვედრაში!

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები



**სპარტაკ ქობულია**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი*

**ზელენსკის, სააკაშვილისა და არახამიას „ქართული რაზმიდან“** ყველაზე წონიანი კრიმინალი, მაოხრებელი მიშას შემოპარვის ორგანიზატორი **გია ლორთქიფანიძე** უკრაინის დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილედ დაუნიშნავთ! ეს რომ რუსეთის იმპერატორს, „მეტეხში გაზრდილ“ **პუტინს** გაუგია, **ლავროვისთვის** პირში მიუხლია: **„ჩემი კიევის რუსეთი, ყირიმი და დონბასი ამ უცხო ნეონაცისტებისა და ნარკომანი ნაბიჭვრებისგან უნდა გავათავისუფლო“!**

მე შენ გეტყვი და, მოსკოველი თინა კანდელაკი არ დაუჭერს მხარს!

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ბუბა კიკაბიძე**
*მომღერალი*

20 წლით ახალგაზრდა მაინც რომ ვიყო, **აუცილებლად ვიომებდი უკრაინაში.** ძალიან კარგად ვისვრი.

„სარკე“



**ალექსეი არესტოვიჩი**
*უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი*

**უკრაინაში რუსული ჯარების სრულმასშტაბიანი შეჭრის ერთ-ერთი მიზეზი** ყოფილი ხელისუფლების მიერ **ნატოს წევრობის კურსის კონსტიტუციით გამყარება იყო.**

„პირველი არხი“



**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*

**გადაწყვეტილება მივიღეთ, რუსეთთან ომში არ ჩავებათ.**

„რეზონანსი“



**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, **25 აპრილიდან** — მსუბუქი ავტომობილების, **7 ნოემბრიდან** კი სხვა კატეგორიის მართვის მოწმობის **გამოცდის ჩაბარება რეალურ პირობებში** მოხდება.

„პირველი არხი“

***„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე მიიჩნევს, რომ ახლა, როცა მთელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები კრემლთან პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციას ერიდებიან, ნაცსექტა და სალომე ზურაბიშვილი, რომლებსაც ერთი პატრონი ჰყავთ, საქართველოს ომისკენ ექაჩებიან:***



# «ქალბატონო სალომე, ჩამოიყვანეთ თქვენი ვაჟი და ქალიშვილი – თეიმურაზ და ქეთევან გორჯესტანები საქართველოში და, თუ ასე ძალიან ხართ მოწადინებული, გაუშვით უკრაინაში საომრად!“

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# სალომე ზურაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს ერთი პატრონი ჰყავთ!



— როგორც ცნობილი გახდა, სალომე ზურაბიშვილი პოლონეთისა და უნგრეთის პრეზიდენტებთან ერთად კიევში აპირებდა ჩასვლას და ისეთი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, რაც აუცილებლად გამოიწვევდა საქართველოზე რუსეთის მორიგ აგრესიას და ჩვენი ქვეყნის ომში ჩართვას. ჩემი ინფორმაციით, ქართულმა სპეცსამსახურებმა სალომე ზურაბიშვილის ამ განზრახვის შესახებ შეიტყვეს და პრეზიდენტს უფლება არ მისცეს, საქართველოს სახელით საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტი განეხორციელებინა. ამის მიუხედავად, იგი კერძო ვიზიტით მაინც გაფრინდა უცხოეთში და საფრანგეთისა და ევროსაბჭოს პრეზიდენტებს შეხვდა.

**— ბატონო ნიკოლოზ, საიდან ასკვნით, რომ ზურაბიშვილი ნამდვილად კიევში აპირებდა ჩასვლას?**

— ეს დასტურდება იმით, რომ სააკაშვილმა, რომელიც ციხეშია გამომწყვდეული და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩათრევას ლამობს, თავი ვერც ამჯერად შეიკავა და წამოიყვირა — **სალომე ზურაბიშვილს თუ კიევში უნდა ჩასვლა, მე დავეხმარებიო!**

## ახლა ბევრი იკითხავს – კი მაგრამ, ბიძინა ივანიშვილი რამდენჯერ უნდა შეცდეს კადრებში და როდემდე უნდა გაგრძელდეს გიორგი მარგველაშვილის, სალომე ზურაბიშვილის, გიორგი გახარიას, ნინო ლომჯარიასა და მისთანა მოღალატეების უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე წარდგენა? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბიძინა ივანიშვილი არაფერ შუაშია!

**ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საქართველო არის ამერიკის შეერთებული შტატების კოლონია და რასაც კოლონიური ხელისუფლება ისურვებს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სახით, კადრების შერჩევაც, წარდგენაც და არჩევაც იმის მიხედვით ხდება!** რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ამ ქალის პრეზიდენტობა როგორ შეიძლებოდა?

**— რატომ არ შეიძლებოდა?**

— იმიტომ, რომ სალომე ზურაბიშვილი ფსიქიკურად კარგად ვერ არის! დავიწყოთ იმით, რომ ქალი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს... აი, მაგალითად, ჯავახეთისკენ რომ წარუძღვა მრევლს წმინდა ნინოს ჯვრით ხელში და ამით ზოგიერთი ძალიან აღაფრთოვანა, მეორე დღეს გამოვიდა და გარყვნილ სოდომისტებს დაუჭირა მხარი! ხომ წარმოგიდგენიათ — აქეთ — წმინდა ნინოს ჯვარი და იქით — სოდომისტები! ასევე სალომე ზურაბიშვილმა თავის რეზიდენციაში მიიწვია კობა დავითაშვილის ოჯახი და განაცხადა, რომ კობა ჯალათებმა მოკლეს! ამის შემდეგ ზურაბიშვილი გამოვიდა კობა დავითაშვილის მკვლელი ჯალათების მიერ გამართულ მიტინგზე, სადაც პირდაპირი ეთერით ჩაერთო და მთელ საქართველოს მოუწოდა, რომ ჩვენ, თურმე, ამ ჯალათებთან უნდა გავერთიანდეთ! **ვისთან უნდა გავერთიანდეთ, ამ სისხლისმსმელებთან?! შეიძლება, გერმანელი ხალხი იმ ფაშისტებს შეურიგდეს, რომლებიც ნიურნბერგის პროცესზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის გაასამართლეს?!** ყველაზე მთავარი — ჩემი ღრმა რწმენით, სალომე ზურაბიშვილი არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტი!

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— 1990-1991 წლებში სალომე ზურაბიშვილი თავის კაგებეშნიკ მეუღლესთან **ჯანრი კაშიასთან** ერთად საფრანგეთიდან ებრძოდა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას და უსირცხვილოდ სცხებდა ჩირქს საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ე.წ. ქართულ-ევროპულ ჟურნალ „ივერიაში“, რომელსაც სწორედ კაგებეშნიკი ჯანრი კაშია გამოსცემდა, სალომე ზურაბიშვილი ფსევდონიმით აქვეყნებდა უბინძურეს და ცილისმწამებლურ წერილებს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ის მიესალმა საქართველოში ეროვნული ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას და ქვეყნის სათავეში — ჯერ სისხლიანი ხუნტის, ხოლო შემდეგ — შევარდნაძის მოსვლას! მოკლედ, **სალომე ზურაბიშვილი და ჯანრი კაშია მაშინ საფრანგეთში აკეთებდნენ რუსეთის საქმეს და აქედან გამომდინარე, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ზურაბიშვილი ქართული საქმის გაკეთებას ახლა შეეცდება?** ძალიან დიდ პატივს ვცემ „ასავალ-დასავალს“ და თქვენს ფართო აუდიტორიას არ ვაკადრებ, თორემ ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ რას აკეთებს და რა ცხოვრებით ცხოვრობს სალომე ზურაბიშვილი.

**— კი მაგრამ, აქამდე არ ვიცოდით სალომე ზურაბიშვილი ვინ იყო?**

— ყველამ კარგად ვიცოდით, ეს ქალი ვინც იყო, მაგრამ საქართველოს სხვა არჩევანი არ დაუტოვეს — ან **გრიგოლ ვაშაძე** უნდა აგვერჩია, რომელსაც რუსეთის პასპორტი ხელიდან ვერ გააგდებინეს, ანდა — **სალომე ზურაბიშვილი!** შემთხვევით არ მითქვამს, რომ სალომე ზურაბიშვილი ფსიქიკურად ვერ არის მთლად დალაგებული. ქალი მივიდა დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველების მემორიალთან და განაცხადა — **ჩვენ ერთნაირი პატივი უნდა მივაგოთ ამ გმირებს და იმათაც, ვინც ფაშისტების მხარეს იბრძოდაო!** ეტყობა, ქალბატონ სალომეს, რომელიც გლამურულად ცხოვრობდა, იმ წინაპრების ნოსტალგია შემოაწვა, რომლებიც ჰიტლერის სამსახურში იდგნენ და ნაძირალა **ნოე ჟორდანიას** — ილია ჭავჭავაძის მკვლელს აღმერთებდნენ! სწორედ ამ ნაძირალებმა გაძარცვეს და გაყიდეს საქართველოს ეროვნული განძი და განცხრომით ცხოვრობდნენ მაშინ, როცა საცოდავი **ექვთიმე თაყაიშვილი** შიმშილით სულს ღაფავდა და ლევილის მამულში თხის რძით იკვებებოდა.

**— სალომე ზურაბიშვილისა რა გითხრათ, მაგრამ ნოე ჟორდანიას ქომაგები ამ განცხადების გამო სერიოზულად შემოგწყრებიან!**

— სწორედ ნოე ჟორდანია იყო იმ სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი, რომლებმაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს. სწორედ ამ კონტექსტში მოუწოდა ზვიად გამსახურდიამ ქართველ ერს — **აირჩიეთ გზა ქრისტესი ან გზა ბარაბასიო!** სამწუხაროდ და საუბედუროდ, სალომე ზურაბიშვილმა და ჯანრი კაშიამ ბარაბას გზა აირჩიეს! ქალი იპოდრომზე გაიძახოდა — **ქაჯები მოდიანო!** — და დღეს, ფაქტობრივად, გვეუბნება, **ქაჯებს შეურიგდითო!** ვის უნდა შევურიგდეთ, ვის? მაგრამ ეს ყველაფერი არის დასავლეთის დაკვეთა, ამას სალომე ზურაბიშვილი დამოუკი-

# „ქალი იპოდრომზე გაიძახოდა – ქაჯები მოდიანო! – და დღეს, ფაქტობრივად, გვეუბნება, ქაჯებს შეურიგდითო! ვის უნდა შევურიგდეთ, ვის?“

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



დღეს ორივე მხარე, **პოზიციაც და ოპოზიციაც სცოდავს!** ოპოზიცია სცოდავს, როცა **ბრიუსელში, კიევსა თუ ამერიკაში აქვს მცდელობები, რომ საქართველოს სახელი და სახე გააშავოს** და ქვეყანა ისე წარმოაჩინოს, რომ ვითომცდა შიში ვამჯობინეთ ღირსებას! თითქოს ღირსი არ ვართ არც ევროკავშირში გაწევრიანების, არც ნატოსთან და ამერიკასთან პარტნიორობის. ან კიდევ უარესი, როცა **ამტკიცებს, ვითომცდა მთავრობამ — და, მაშასადამე, ქვეყანამ — შეცვალა პროდასავლური კურსი!** ეს ხომ ქვეყნის და შენი ხალხის შეურაცხყოფაა, როცა **ვაშინგტონში შენს ქვეყანას ესოდენ ბრალს უყენებ და შენივე ქვეყანა შენგან მასპინძლის დასაცავი ხდება!** მე არ და ვერ შევალ, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, **სააკაშვილის შეწყალების თემის** ხელახლა განხილვაში, რამეთუ პასუხი ერთხელ უკვე გაცემულია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ფრიდონ ინჯია**
*„ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე*



როცა პრეზიდენტი მიდის ევროპაში სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან შესახვედრად, **მთავრობას და პარლამენტს უნდა შეუთანხმდეს.** მას უნდა შევახსენო, რომ **იგი მართალია, იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ დღეს იგი საგარეო საქმეთა მინისტრი არ არის.**

„აიპრესი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**სალომე ზურაბიშვილმა** „ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც ღიად უთხრა, რომ **არავის პრეზიდენტი ვარო.**

„ახალი თაობა“

# სააკაშვილ-ზელენსკის რაზმი



ადეიშვილი, მერაბიშვილი, საყვარელიძე, ლორთქიფანიძე

## „ადეიშვილი, მერაბიშვილი, საყვარელიძე და მთელი ნაცსექტის ძალადობრივი ხერხემალი ზელენსკის მაგიდასთან უზის და ამ დროს სალომე ზურაბიშვილი მოგვიწოდებს – ომში ჩავერთოთო!“



დებლად არ სჩადის!

**— ამ ყველაფრის ფონზე რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ სალომე ზურაბიშვილმა „პლასტინკა“ გადაატრიალოს და სააკაშვილი შეიწყალოს?**

— ზურაბიშვილს „პლასტინკა“ არაერთხელ გადაუტრიალებია! ხომ ამბობდა, ჟორიკა რურუას არ შევიწყალებო, მაგრამ უთხრეს და შეიწყალა! ასე იქნება ახლაც, ეტყვიან და სააკაშვილსაც მაშინვე შეიწყალებს! უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით ამერიკის მმართველ ელიტას და, ზოგადად, დასავლეთს, როგორც ჩანს, სააკაშვილი ციხეში სჭირდებათ, თორემ, თუ მოუნდათ, სალომე ზურაბიშვილს რაც უნდათ, იმას გააკეთებინებენ და შეაწყალებინებენ! არცერთ ევროპელ ლიდერს სააკაშვილის გათავისუფლება დღემდე არ მოუთხოვია, თორემ აქამდე ეს მართლაცდა ჯალათი ზურაბიშვილს ცხრაჯერ ეყოლებოდა შეწყალებული.

**— ბოლოს და ბოლოს, ამ გაჭირვებულმა და გასაცოდავებულმა საქართველომ უკრაინისთვის მეტი რაღა უნდა გააკეთოს, მაინცდამაინც სახელმწიფო დონეზე უნდა შევრგოთ ომში თავი, რათა დღე-ნახევარში რუსეთმა გადაგვბუგოს და მიწასთან გაგვასწოროს? ნაცსექტას რაც უნდა, გასაგებია, მაგრამ ზურაბიშვილი რამ გაააქტიურა?**

— სალომე ზურაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს ერთი პატრონი ჰყავთ! ვინმეს თუ ჰგონია, სააკაშვილი აქ შემთხვევით შემოაგდეს, მწარედ ცდება. მას დავალებული ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და უკრაინაში ომის დაწყებისთანავე მეორე ფრონტის გახსნა.

**რაკი სააკაშვილი დათვრა, დაიჭირეს და ოპერაცია ჩავარდა, ახლა მისმა პატრონებმა აამუშავეს გეგმა „ბ“ — სალომე ზურაბიშვილმა, როგორც ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა, ისეთი განცხადებები უნდა გააკეთოს, რომ რუსეთმა საქართველოს დაარტყას და საქართველო ამ საშინელ ომში ჩაითრიონ!** გამოდის ნაძირალა **დავით არახამია** და გაიძახის — **მრცხვენია, ქართველი რომ ვარო!** ზელენსკი უსირცხვილოდ აცხადებს —**საქართველოს ხელისუფლება ამორალურიაო!**

ეს ის ზელენსკია, რომელმაც ჯალათები და კაცების გამაუპატიურებლები შეიფარა. ეს ის ვოლოდიმირ ზელენსკია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის კვირაძალზე კავეენშიკების სცენაზე ქართულ დროშასა და საქართველოს დასცინოდა და რუსეთის არმიის უძლეველობაზე ლაპარაკობდა. ეს ის ზელენსკია, რომლის გენერალური პროკურორიც ამ წყეულ **ზურაბ ადეიშვილს** გვერდიდან არ იშორებს და ჰააგის პროკურორს მასთან ერთად ხვდება... აი, სწორედ ეს არის ბედის ირონია! **ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ზელენსკისა და მისი ხელისბიჭების ამ ბინძურ გამოხდომებს არ პასუხობს, უკრაინელ ხალხს, რაც შეუძლია, ეხმარება, ძმურად გვერდით უდგას და შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს!**

ზელენსკი და მისი გუნდი, რომლებიც, ფაქტობრივად, უკრაინელი ნაცები არიან, ამ სიკეთეს მაინც არ გვიმადლიან, მაგრამ ჩვენ ვეხმარებით უკრაინელ ხალხს და არა დავით არახამიას მსგავს სექტანტებს.

ადეიშვილი, მერაბიშვილი, საყვარელიძე და მთელი ნაცსექტის ძალადობრივი ხერხემალი ზელენსკის მაგიდასთან უზის და ამ დროს სალომე ზურაბიშვილი მოგვიწოდებს — ომში ჩავერთოთო! ქალბატონო სალომე, ჩამოიყვანეთ თქვენი ვაჟი და ქალიშვილი — თეიმურაზ და ქეთევან გორჯესტანები საქართველოში და თუ ასე ძალიან ხართ მოწადინებული, გაუშვით უკრაინაში საომრად!

**— მაინც ვის დავალებას ასრულებს სალომე ზურაბიშვილი?**

— საერთოდ, **საქართველოს პრეზიდენტისა და სახალხო დამცველის პოსტები არის დასავლეთის კვოტა. აქედან გამომდინარე, სალომე ზურაბიშვილიც და ნაცებიც, რომლებსაც ერთი და იგივე პატრონი ჰყავთ, ასრულებენ დასავლეთის დავალებას, რათა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიონ!**

**— იქნებადა, რუსეთის დავალებას ასრულებენ!**

— არაფერს გამოვრიცხავ, რადგან სალომე ზურაბიშვილმა და ჯანრი კაშიამ ერთხელ უკვე წარმატებით შეასრულეს რუსეთის დავალება, როცა საფრანგეთში ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ძირი გამოუთხარეს! საერთოდ, სალომე ზურაბიშვილი ძალიან ხშირად დაბრძანდება კაზინოში და არის აზარტული თამაშების მოყვარული... აღარ მინდა, მის პირად ცხოვრებაზე ვილაპარაკო, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის!

2008 წელს, როცა რუსეთის ტანკები ქართულ მიწაზე დაჯირითობდნენ და ჩვენი გმირი ბიჭების გვამებს ბუზები ესეოდა, უკრაინამ გამოგვიცხადა ის სოლიდარობა და მხარდაჭერა, რომელსაც დღეს ზელენსკი ჩვენგან ითხოვს? ძალიან კარგად მახსოვს, რაც მოხდა მაშინ — პრემიერ-მინისტრი **იულია ტიმოშენკო** ჩავიდა მოსკოვში და პუტინთან ერთად გაზის საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩაატარა. პუტინმა მაშინ ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეამკო საქართველო, მეტი აღარ შეიძლება, მაგრამ ტიმოშენკო ამ ყველაფერს მშვიდად უსმენდა და იღიმებოდა. აი, ეს იყო უკრაინის მხარდაჭერა მაშინ...

ამერიკამ და ბრიტანეთმა უკრაინელი ლტოლვილების მიღებაზე უარი თქვეს; მოლდოვამ უკვე ოფიციალურად განაცხადა უარი ნატოზე; თურქეთი, რომლის ეკონომიკაც რეგიონში ერთ-ერთი უძლიერესია და ასევე აზერბაიჯანიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდნენ და ჩვენგან რას ითხოვენ?

**ჩვენ რომ ახლა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩავებათ, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და ზუგდიდი მაშინვე კიევის, ხარკოვის, მარიუპოლის, ხერსონისა და ობოლონის ბედს გაიზიარებს. აი, ეს უნდათ ამ ნაძირალებს...** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა რუსეთთან სავიზო რეჟიმი მოხსნა, ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე დადგა და რუსებს საქართველოში ეპატიჟებოდა. ამის მერე **მერაბიშვილი** გამოეთრა და განაცხადა — ფულს სუნი არა აქვსო! — და მთელი საქართველოს ენერგეტიკა რუსებს მიჰყიდეს! ხოლო ბოლოს კულტურის მინისტრმა **გრიგოლ ვაშაძემ** კრემლში წერილი აფრინა — სუხიშვილები კონცერტს გამართავენ, რაც დაძაბულ ვითარებას დაათბობსო! აი, ამის მქნელი და მოქმედი ხალხი ახლა გაიძახის — რუსები არ შემოგვიშვათო!

სამარცხვინო **დავით უსუფაშვილი,** რომელიც 2008 წელს გვიმტკიცებდა — მე ჩემს შვილს ვერ ვეტყვი, ომში წადიო! — დღეს სხვის შვილებს მოუწოდებს — რუსეთის სამხედრო მანქანის უძლეველობის მითი დასრულებულია და იომეთო! რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, კაცი უკრაინაში საომრად არის წასული, მაგრამ ფეისბუქლაივი სულ ჩართული აქვს და ხან მწვადებს წვავს და ხან ხაშლამას აკეთებს! ხოლო **კობა ხაბაზი** წამოკოტრიალებულია მანქანის წინ... ტალახი მაინც წაისვით სახეზე, თქვე კლოუნებო, რათა ვინმემ მაინც დაგიჯეროთ, რომ ნამდვილად ომობთ!

**— ხელისუფლებამ გარკვევით განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურა არ იქნება!**

— მაშინ მოვუწოდებ ხელისუფლებას, დაინიშნოს სალომე ზურაბიშვილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და შემოწმდეს მისი ფსიქიკური მდგომარეობა! თუ ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ პრეზიდენტი ვერ არის დალაგებული, მაშინ იმპიჩმენტის პროცედურა საერთოდ არ გახდება საჭირო და სალომე ზურაბიშვილი, როგორც ქმედუუნარო, ავტომატურად იქნება გადაყენებული!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„რაკი სააკაშვილი დათვრა, დაიჭირეს და ოპერაცია ჩავარდა, ახლა მისმა პატრონებმა აამუშავეს გეგმა „ბ“ — სალომე ზურაბიშვილმა, როგორც ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა, ისეთი განცხადებები უნდა გააკეთოს, რომ რუსეთმა საქართველოს დაარტყას და საქართველო ამ საშინელ ომში ჩაითრიონ!“**

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი ურთიერთობების საკითხებში*



საქართველოს იმიჯს მიზანმიმართულად აზიანებს, უპირველესად, **რადიკალური ოპოზიცია, ეს ქვეყნის ღალატია!** მე ბევრი ოპოზიციონერის ბიოგრაფია ვიცი, თითქმის ყველასი, ვინც 40 წელს არის გადაცილებული და მათზე ბევრი რამის თქმა შემიძლია... **ვინ შეუწყო ხელი საქართველოში იგორ ივანოვის ჩამოსვლას?** ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ შესახებ ყველაფერი ვიცი. დღეს კი გამოდიან და გულში მჯიღს იცემენ, არადა, **მათგან ორი კაცის ოჯახის წევრები იგორ ივანოვის თვითმფრინავში ისხდნენ. შემთხვევით კი არ მოხვდნენ იქ, ეს ივანოვის ამალა იყო.** ორგანიზატორი კი სხვა გახლდათ. **რადიკალური ოპოზიციის მიზანია, ხელისუფლებაში მოვიდნენ, რაც შეიძლება სწრაფად, დღესვე და ნებისმიერ ფასად!**

„კვირის პალიტრა“

**ემზარ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



**მეხუთე კოლონის** წარმომადგენელთა შეყვანა სახელმწიფო უშიშროების საბჭოში და მათი დანიშვნა მაღალ თანამდებობებზე **ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ-სამართლებრივ ინტერესებს.**

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



რა სიმბოლური დამთხვევაა, **„მე-5 კოლონის“** პარტიული **ნომერი „5“.**

„იმედინიუსი“



# ნანა კაკაბაძე:

# დღეს სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, საქართველო უკრაინასავით ცეცხლის ალში იქნებოდა გახვეული!

## „თუ იტყვი, რომ ზელენსკი უკრაინის მოღალატეა, შეიძლება, კოცონზე დაგწვან, მაგრამ არა უშავს, დედამიწა მაინც ბრუნავს და ამ სიმართლისათვის სიკვდილიც ღირს!“

*უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ მორიგი, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრული ნაბიჯი გადადგა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე, ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი გია ლორთქიფანიძე დანიშნა, რომელსაც ბრალი სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის საქმეზე ედება. ამ და სხვა საჭირბოროტო თემებზე ცნობილ უფლებადამცველს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეს ნანა კაკაბაძეს ვესაუბრებით:*

— უკრაინის ხელისუფლება აგრძელებს **ნაცკრიმინალების** გამწესებას მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **ზელენსკის მმართველობა და სააკაშვილის კრიმინალური ბანდა ერთმანეთთან უხილავი ჯაჭვით არიან დაკავშირებული.** სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ უკრაინის ხელისუფლება საქართველოს მეგობარ და პარტნიორ ქვეყანას უწოდებდეს, იმავდროულად კი მფარველობდეს და სახელმწიფო პოსტებზე ნიშნავდეს **კრიმინალებს,** რომლებიც ქართულ სახელმწიფოს ძებნილებად ჰყავს გამოცხადებული. ასეთ რამეს მეგობრული კი არა, მტრული ქვეყნები არ უკეთებენ ერთმანეთს.

**— როგორ ფიქრობთ, უკრაინაში არ იციან, ვინ არის გია ლორთქიფანიძე, თუ იციან და მაინც ამხელა თანამდებობაზე დანიშნეს?**

— ლორთქიფანიძის სახელი საქართველოში არაერთ სისხლიან საქმესთან არის დაკავშირებული და მას ქართული სახელმწიფოს მხრიდან ბრალი მხოლოდ იმაში არ უნდა ედებოდეს, რომ სააკაშვილის არაყნებთან ერთად შემოპარვის ორგანიზება გააკეთა. ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე ხელისუფლებაში ყოფნის დროს სჩადიოდა და, სხვათაშორის, დღემდე აგრძელებს.

**— დღემდე აგრძელებს?**

— დიახ, **დაიწყოს გამოძიება საქართველოს პროკურატურამ და მე პირადად დავეხმარები იმის დადგენაში, რომ ლორთქიფანიძე დღემდე ახორციელებს საქართველოში უკანონო ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას ნაციონალური მოძრაობისათვის „საინტერესო“ ადამიანების მიმართ.**

საერთოდ, უკრაინის ხელისუფლების მიერ თანამდებობებზე დანიშნული ნაცები კრიმინალები და ძებნილები რომც არ იყვნენ, ისედაც უკრაინელი ხალხის შეურაცხყოფაა, რომ 40-მილიონიან ქვეყანაში ზელენსკი სახელმწიფო თანამდებობებზე გადამთიელებს ნიშნავს.

**— მაინც რით ხსნით უკრაინის ხელისუფლების ასეთ სიამტკბილობას სააკაშვილთან და მისი რეჟიმის ნარჩენებთან?**

— პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **ზელენსკი და სააკაშვილი ერთი ძალაა — ერთი ბოროტების ორი განშტოება!** დიახ, როგორი კრიმინალური და დამანგრეველიც იყო საქართველოსათვის სააკაშვილის რეჟიმი, ასეთივე დამანგრეველია უკრაინისათვის ზელენსკის მმართველობა.

ის რიტორიკაც, რაც დღეს უკრაინაში ომთან დაკავშირებით მიდის, ძალიან მაგონებს იმ პროპაგანდას, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილის ხელისუფლება აწარმოებდა. გაიხსენეთ: **სააკაშვილმა მოგებულად გამოაცხადა ომი, რომლითაც ტერიტორიები დავკარგეთ, ჯარისკაცები დაგვეხოცა, 100 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე დევნილად იქცა და რუსული ჯარი საქართველოს დედაქალაქიდან 40 კილომეტრში დადგა!** ახლა ზელენსკი და მისი პროპაგანდა რას აკეთებენ უკრაინაში? **ომს მოგებულად აცხადებენ მაშინ, როცა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა ხელყოფილია, ქალაქები — დაბომბილი და მიწასთან გასწორებული, ყოველდღიურად იხოცება მშვიდობიანი მოსახლეობა და უკვე 3 მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილად არის გადახვეწილი სხვადასხვა ქვეყანაში!**

**— მერედა, ამ უბედურებაში ზელენსკის ადანაშაულებთ?**

— ზელენსკი დღეს უკვე თანახმაა, რომ ნატოსკენ სწრაფვაზე უარი თქვას და უკრაინის ნეიტრალიტეტის საკითხსაც კი განიხილავს! კი მაგრამ, რატომ არ გააკეთა ეს მანამ, სანამ საკუთარ ქვეყანას რუსეთთან ომში ჩართავდა? ხომ შეიძლებოდა, უკრაინა განადგურების პირას არ მიეყვანა და გადაერჩინა გმირი ადამიანები, რომლებიც სამშობლოს დასაცავად მიწაში ჩაწვნენ? ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა სწორედ ის არის, რომ მაქსიმალურად ეცადოს, ქვეყანას ომი აარიდოს! **შეხედეთ, როგორ იქცევიან დასავლეთის სახელმწიფოები: მიუხედავად ზელენსკის ხვეწნა-მუდარისა, უკრაინის თავზე ცას არ კეტავენ, რათა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში ჩართვამ არ მოუწიოთ!** ნატოს ქვეყნების ლიდერები პირდაპირ აცხადებენ, რომ არ აპირებენ რუსეთთან ომში ჩაბმას, რათა თავიანთ სამშობლოსა და ხალხს სისხლისღვრა აარიდონ!

**— საქართველოს ხელისუფლებაც ცდილობს, მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინოს, რათა ქვეყანას ომი აარიდოს, თუმცა, ნაცები და მათთან დაკავშირებული ძალები ამის გამო თავს ესხმიან, მშიშარასა და რუსეთთან გარიგებულს ეძახიან!**

— ნაციონალური მოძრაობა და მისი ამფსონები — ეს ნაძირალების ხროვა, რომლებიც პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობენ და ცდილობენ, საქართველო ომში ჩაითრიონ, ქვეყნის მოღალატეები არიან და პირდაპირ უნდა დაერქვათ თავიანთი სახელი!

კიდევ ერთხელ ვამბობ — **ზელენსკი და სააკაშვილი ერთობლივად მონაწილეობენ ბინძურ პოლიტიკურ თამაშში, რომელსაც უკრაინელი და ქართველი ხალხების ინტერესები ეწირება!** ომი რომ დამთავრდება, ეიფორია გადაივლის და უკრაინელი ხალხი, საუბედუროდ, უმძიმესი რეალობის წინაშე აღმოჩნდება, მაშინ მიხვდება ყველა, როგორი „გმირიც“ არის ზელენსკი! დიახ, იგი ზუსტად ისეთივე „გმირია“, როგორიც — სააკაშვილი!

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ იცოდეს სიმართლე, თუ რა ხდება უკრაინისა და საქართველოს თავს. იმ პიარისა და პროპაგანდის ფონზე, რაც დღეს მსოფლიოშია აგორებული, სიმართლის თქმას გამბედაობა სჭირდება, რადგან, თუ იტყვი, რომ ზელენსკი უკრაინის მოღალატეა, შეიძლება, კოცონზე დაგწვან, მაგრამ არა უშავს, დედამიწა მაინც ბრუნავს და ამ სიმართლისათვის სიკვდილიც ღირს!

**— და მაინც, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ახლა ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარედანაც დიდ წნეხს განიცდის იმის გამო, რომ რუსეთისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა?**

— ის პოზიცია, რომელიც დღეს ჩვენს ხელისუფლებას უკავია, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მმართველმა ძალამ ამ გზას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაუხვიოს.

დღეს სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, საქართველო უკრაინასავით ცეცხლის ალში იქნებოდა გახვეული! **ჩვენს ქვეყანაში ბომბები რომ არ ცვივა, ქალაქები არ იწვის და ადამიანები არ იხოცებიან, ეს ამ ხელისუფლების სწორი პოლიტიკის შედეგია, რისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ და შევუძახოთ, რომ ბოლომდე ასე გააგრძელოს!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***



## „როგორი კრიმინალური და დამანგრეველიც იყო საქართველოსათვის სააკაშვილის რეჟიმი, ასეთივე დამანგრეველია უკრაინისათვის ზელენსკის მმართველობა!“

## „ზელენსკი და სააკაშვილი ერთი ძალაა – ერთი ბოროტების ორი განშტოება!“

## კვირგვინოსნები

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



**გასაგებია, რომ უკრაინა არ არის ნატოს წევრი,** ეს გვესმის, ჩვენ ადეკვატური ხალხი ვართ. **წლების განმავლობაში გვესმოდა ღია კარის შესახებ, მაგრამ ახლა იმაშიც დავრწმუნდით, რომ იქ ვერ შევდივართ და ეს უნდა ვაღიაროთ.**

„რეზონანსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**ზელენსკისთვის** საქართველოს ეროვნული გმირის წოდების მინიჭება **სააკაშვილის** ინიციატივაა. ასეთი ნეტარმოყვარული კაცი, რომელსაც მიდრეკილება აქვს ჟეტონებისა და ჩინ-მედლებისკენ, მხოლოდ ერთი კაცი მახსენდება, **ბრეჟნევი.**

„რეზონანსი“

**გიორგი ანდრიაძე**
*თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი*



**ზელენსკიც და ნახევარი ევროპაც ამ გაგანია ომის დროს ყავას რუსულ გაზზე ადუღებს.** აქ ორი აბსურდია: **ან ერთი რატომ აწვდის ამ გაზს და ან მეორე რატომ იღებს** და იხდის ამაში დიდ ფულს?

„ალია“

*—კარგა ხანია, ვხედავ დემოკრატიის ბზარებს, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომმა მთლიანად გააშიშვლა ყველაფერი!* ***— ამბობს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. თუ საით მიდის მსოფლიო, რატომ არის სახიფათო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებზე საუბარი და სად იმალება ყველაზე დიდი ბოროტება, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:***



„ამასწინათ ახალგაზრდა უკრაინელი ბიჭი ცნობილი ნაცისტის ადოლფ ეიხმანის სიტყვებს იმეორებდა – თუ ბავშვებს მშობლებს მოუკლავ, ის გაიზრდება და შურს იძიებს. ამიტომ ბავშვები უნდა დახოცოო! ფაქტობრივად, პირდაპირ თქვა – რუსი ბავშვები უნდა დავხოცოთო. მსგავსი რამ საბჭოთა კავშირშიც კი არ მომისმენია!“



ადოლფ ეიხმანი

# მაია ნიკოლეიშვილი:

# მეზიზღება ის ამერიკა, რომელმაც რუსეთი და უკრაინა ერთმანეთს დააჯახა!

— როდესაც პანდემიასთან დაკავშირებით ამბობდნენ, ბიოლოგიური ომიაო, ვერაფრით ვიჯერებდი. ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა, მართული პროცესი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ომის დაწყების შემდეგ აზრი შემეცვალა. თავის დროზე ვერც სააკაშვილის ტრაილერით დაბრუნება ჩავსვი ლოგიკაში, თუმცა, დღეს ამ კუთხითაც ბევრი რამ გასაგებია და დღეს უკვე ვფიქრობ, რომ ეს უბრალო დამთხვევები არ არის! ამასწინათ „ფოქს ნიუსზე“ **ვიქტორია ნულანდმა** თქვა — უკრაინაში ნამდვილად არის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები და ძალიან განვიცდით, ჩვენი კვლევები რუსებს არ ჩაუვარდეთ ხელშიო. ნულანდის ამ სიტყვებმა ბევრ საეჭვო კითხვას გასცა პასუხი.

**— მაინც რა კავშირში უნდა იყოს პანდემია, სამხედრო ომი და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები ერთმანეთთან?**

— პანდემიამ ფსიქოლოგიურად დაანგრია ადამიანები, დასტრესა ხალხი. გაცილებით ადვილია დემორალიზებული საზოგადოების მართვა. გარდა ამისა, ვიცით, რა ბედი ეწია პისიარისთვის აღებულ მილიონობით მასალას?!

**ამერიკელებისთვის სულერთია, ვინ უფრო მეტი დაიღუპება – რუსი თუ უკრაინელი. მათ ინტერესში შედის რუსეთის დასუსტება. ამიტომაც ავსებენ უკრაინას იარაღით. ფორმულა ასეთია, მსოფლიო მინუს რუსეთი. როდესაც რუსეთი დასუსტდება, შემდეგ რიგში ჩინეთი იქნება.**

ვფიქრობ, რუსეთის დასასუსტებლად ომის გადმოტანა საქართველოშიც სურთ. ჩვენი ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს. აქ ცეცხლის გახსნამ შესაძლოა, სამხრეთ კავკასიის ომში ჩათრევაც გამოიწვიოს. ფერადი რევოლუციები რუსეთის ირგვლივ შემთხვევით არ ხდებოდა. წინასწარ ამზადებდნენ ნიადაგს დღევანდელი დღისთვის, რომ რუსეთი ცეცხლის ნახევარ რკალში მოექციათ. ამ ვერაგი გეგმის განხორციელებას იმ ახალი ჯიშის, მუტანტი ქართველების ხელით ცდილობენ, რომლებიც უკვე წლებია, საქართველოში და არამხოლოდ საქართველოში გამოჰყავთ.

**ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ითქვას, ეს არის ანგლოსაქსების ომი რუსეთისა და სლავური ეთნოსის წინააღმდეგ!**

**— ბოლო დღეებია, ლუგარის ლაბორატორიაც მოექცა ყურადღების ცენტრში. რა კავშირშია ამ ყველაფერთან?**

— ლუგარის ლაბორატორია რას აკეთებს, ვიცით? პირადად მე გარკვეული ინფორმაციების საფუძველზე ნეგატიური მოსაზრებები მაქვს, თუმცა, ხმამაღლა ვერ ვიტყვი, არ მინდა, ჩემი ოჯახი საფრთხის ქვეშ დავაყენო.

**ადამიანები, რომლებიც იქ მუშაობენ და ამბობენ, არაფერი კეთდებაო, უბრალოდ, სასაცილოა. სულ მათ დაანახვებენ და შეეკითხებიან, რას აკეთებენ. დიდი ალბათობით, მათი ხელით სამეცნიერო სამუშაოს ფრაგმენტი კეთდება, რასაც ვერასოდეს მიხვდებიან, რისთვის არის საჭირო.**

უხანის, ლუგარის, უკრაინისა და ყაზახეთის ლაბორატორიებში არსებული კვლევების შეჯამება საბოლოოდ ამერიკაში ხდება. იქ მიდის გამოკვლეული გენის სუროგატული მასალა. შტატების ტერიტორიაზე მსგავსი ლაბორატორიების არსებობა კანონით იკრძალება. **როცა ამხელა ქვეყანა თავის ტერიტორიაზე არ აჭაჭანებს ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას და შენთან**

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„ამასწინათ „ფოქს ნიუსზე“ ვიქტორია ნულანდმა თქვა — უკრაინაში ნამდვილად არის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები და ძალიან განვიცდით, ჩვენი კვლევები რუსებს არ ჩაუვარდეთ ხელშიო. ნულანდის ამ სიტყვებმა ბევრ საეჭვო კითხვას გასცა პასუხი!“



ვიქტორია ნულანდი




რიჩარდ ლუგარი

„ლუგარის ლაბორატორია რას აკეთებს, ვიცით? პირადად მე გარკვეული ინფორმაციების საფუძველზე ნეგატიური მოსაზრებები მაქვს, თუმცა, ხმამაღლა ვერ ვიტყვი, არ მინდა, ჩემი ოჯახი საფრთხის ქვეშ დავაყენო!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**მე რომ უკრაინაში ვიყო, წინა ხაზზე გავიდოდი,** ვინაიდან 2 წელი ჯარშიც ვიმსახურე და საქართველოში **რეზერვისტის კურსიც გავლილი მაქვს.**

**სალომე ზურაბიშვილის** შესაწყალებელი მე არაფერი მჭირს, ვინაიდან **დანაშაული არ ჩამიდენია.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლიზა იასკო**
*უკრაინის რადის დეპუტატი*



მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც **სააკაშვილის** ან სხვა ვინმეს ქორწინების გარეშე შეძენილი შვილების შესახებ კომენტარი უნდა გააკეთოს. **მე და მიხეილი სამოქალაქო ქორწინებაში ვართ.** ჩვენ გვაქვს ჩვენი ოჯახური გეგმები.

„PIA“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**ძალიან გული მწყდება, რომ საქართველოში ჩამოვიდა ჩემი შვილი, ეს მისი მხრიდან დიდი შეცდომა იყო.** რა მიიღო? რა მივიღეთ? უკრაინის სიყვარულში ნურავინ შემეჯიბრება, მაგრამ **რას ნიშნავს ის, რომ ჩემი შვილის სახელის ხსენებაზე სტვენა იწყება.** ეს უნდა მიეღო ჩემს შვილს საზოგადოებისგან?

„TV პირველი“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



**ზელენსკისა და სააკაშვილს** შეუძლებელია, ჰყავდეთ ერთი პატრონი. **სააკაშვილი** რეალურად არ არის პროდასავლელი და დასავლეთის მიერ ნდობით აღჭურვილი პოლიტიკოსი. **სააკაშვილი** რომ დასავლეთს სჭირდებოდეს, ციხეში არ იჯდებოდა.

„ახალი თაობა“


დასაწყისი მე-7 გვერდზე

## მაია ნიკოლეიშვილი:

# ზელენსკი სააკაშვილზე უარესია!



**გადმოაქვს, როგორ გგონიათ, შემთხვევით ხდება?!** ცხადია, ბევრ კითხვას აჩენს. არ შეიძლება, ასეთი ლაბორატორიები მხოლოდ პენტაგონის დაქვემდებარებაში იყოს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ ნულანდის სიტყვებს — **ძალიან გვეშინია, რუსებს ჩვენი კვლევები არ ჩაუვარდეთ ხელში.** რა კვლევებია ასეთი, რატომ არ უნდა იცოდეს მსოფლიომ?

### რუსებთან ერთად ჩინელებიც ითხოვენ, შეამოწმონ, ლაბორატორიებში რა ხასიათის კვლევები ტარდება. ეს მათი მხრიდან აბსოლუტურად სწორი და ლოგიკურია. თუ რაიმე საჩოთირო არ არის, შეუშვან, რომ თავად დარწმუნდნენ ყველაფერში.

საბჭოთა კავშირში გავიზარდე, რომლის უზარმაზარი მინუსიც თავისუფალი ხმის დახშობა იყო. მხოლოდ იმ ტელეარხებისთვის უნდა გესმინა, რომელიც მთავრობას სურდა. ერთადერთი ნათელი წერტილი „ამერიკის ხმა" იყო, რომელსაც ახშობდნენ, მაგრამ ვახერხებდით, მალულად მოგვესმინა.

**— ამას რატომ იხსენებთ ახლა?**

— დღეს მე ისევ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობ, ოღონდ სხვა მხარეს ვარ. უამრავ ადამიანს აკრძალული გვაქვს რუსული არხების ყურება. **„სილქნეტმა" „ოერტე" და „ერტეერი" იმიტომ გათიშა, რომ განსხვავებული აზრი არ მოგვესმინა. ეს არის დემოკრატია? ეს არის „ამერიკის ხმა"?** არ დაგიმალავთ, ვნანობ, „ამერიკის ხმას" რომ ვუსმენდი. თურმე, რამდენ ტყუილს მეუბნებოდნენ.

მთელი ცხოვრება ვიცოდი, რომ შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანა იყო და მის ბანკებში კერძო საკუთრება კონფიდენციალური და ყველაზე უსაფრთხო გახლდათ. დღეს რუსებისთვის ესეც დაუცველია. სააკაშვილის დროს მის პოლიტიკას არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ქართველი ვიყავი. **ვინც დღეს პუტინის პოლიტიკას არ ეთანხმება, ანუ ომი არ უნდა, რუსობის გამო რატომ უნდა დაისაჯოს? ეს უკვე გაშიშვლებული ნაციზმია!**

ამასწინათ ახალგაზრდა უკრაინელი ბიჭი ცნობილი ნაცისტის **ადოლფ ეიხმანის** სიტყვებს იმეორებდა — თუ ბავშვებს მშობლებს მოუკლავ, ის გაიზრდება და შურს იძიებს. ამიტომ ბავშვები უნდა დახოცოო! ფაქტობრივად, პირდაპირ თქვა — რუსი ბავშვები უნდა დავხოცოთო. მსგავსი რამ საბჭოთა კავშირშიც კი არ მომისმენია!

## „საქართველოს ბედი ჰქონია, რომ დღეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია, ხოლო სააკაშვილი გალიაშია გამოკეტილი!"





### მსოფლიო. თუ აქამდე დემოკრატიულობის დეკორაცია მაინც იყო, ეს მითი ჩვენ თვალწინ აბსოლუტურად დაიმსხვრა. აღარ არსებობს სიმართლე. პროპაგანდამ წალეკა აზროვნება!

**— სიმართლე არ არის ის, რომ რუსეთი აგრესორია?**

— ეს არის შავ-თეთრი კატეგორიებით აზროვნება, რაც კიდევ ერთი კატასტროფაა. სრული შავი და აბსოლუტურად თეთრი არ არსებობს. **ყველაფერს აქვს წინაპირობა და მიზეზი. არც ზელენსკია ანგელოზი და არც პუტინი — ბნელეთის მოციქული. შეიძლება, მაგათზე დიდი ბოროტება მძინარე ბაიდენი, თანამედროვე ამერიკელი ბრეჟნევი იყოს.**

**ბაიდენი** წლების წინათ პირდაპირ ითხოვდა სერბეთის დაბომბვას. მათ ავადმყოფურ ეროვნულ თვისებებზე საუბრობდა. სად არის ერის არჩევანი? **რა უფლება აქვს ბაიდენს, ერის ავადმყოფობაზე ისაუბროს? ეს ხომ კოლონიზატორის ფსიქოლოგიაა.**

ზუსტად ასე გვიყურებდნენ სააკაშვილი და ნაციონალები, ვინც მათ არ ვეთანხმებოდით, ავად ვიყავით.

### ჩემთვის ამ ომით სრულიად ამოტრიალდა ტყუილ-მართალი და გაშიშვლდა

დონეცკსა და ლუგანსკში 8 წლის მანძილზე 14 ათასი ადამიანი რომ მოკლეს, რომელსაც თავის მშობლიურ ენაზე უნდოდა ლაპარაკი, არ იყო აგრესია? ძალიან დიდი მსხვერპლია უკრაინაში, უზომოდ განვიცდი უდანაშაულო ადამიანების სიკვდილს, მაგრამ ასევე საშინელება იყო იმ ბავშვების მდგომარეობაც, რომლებიც სარდაფებში იზრდებოდნენ. ისინიც ხომ უცოდველი ბავშვები იყვნენ?!

2014 წლის შემდეგ დონეცკსა და ლუგანსკს, ფაქტობრივად, მშვიდი ღამე არ ჰქონია. გაუგებარია და არ მესმის იმ ადამია-

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი*



დასავლეთი შეეცდება დაეყრდნოს ე.წ. მეხუთე კოლონას, ვინც აქ ფულს შოულობს, მაგრამ იქ ცხოვრობს. **„იქ ცხოვრებაში" მე არ ვგულისხმობ გეოგრაფიული გაგებით, არამედ მათი აზროვნებით, მათი მონური ცნობიერებით. ამ ადამიანებს არ შეუძლიათ ხამანწკებისა და გენდერული თავისუფლების გარეშე ცხოვრება.**

„ინტერპრესნიუსი"

**ოლექსი დანილოვი**
*უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი*



პუტინი **უკრაინაში** მიზანს თუ მიაღწევს, შემდეგი სამიზნე სწორედ ლიეტუვა იქნება, შემდეგ **— ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნები და პოლონეთი.** ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებს ნატო. **ახლა სიმხდალე ძალიან ძვირი დაუჯდება მთელ მსოფლიოს.**

„რეზონანსი"

**გრიგოლ ვაშაძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



გაეროში საქართველოს **ხელისუფლებამ ხმა მისცა** უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას, **საქართველომ ხმა მისცა** ევროპის საბჭოდან რუსეთის გარიცხვას, დიდი ბრიტანეთის ინიციატივას საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქმის აღძვრას **მისცა ხმა.** ამ ხელისუფლების ტრაგედია ხშირად მოქმედება კი არ არის, **ამ ხელისუფლების ტრაგედია არის ტვინის დაულაგებლობა, როცა ვერბალურად ვერ ამბობ, რისი თქმა გინდა.**

„TV პირველი"

**სოსო ციცაძე**
*ანალიტიკოსი*



ეს შანტაჟია, **პუტინი ბირთვულ იარაღს არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს,** ევროპა კი ცას არ დაკეტავს. როგორც კი ზელენსკიმ თქვა, დამიხურეთო ცა, მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან ეშინიათ, შანტაჟი მოქმედებს მათზე. ომმა, მაქსიმუმ, ერთ თვეს გასტანოს, თუმცა, **პუტინი** ცდილობს, გადაიყვანოს ჩვეულ ფაზაში — **არც ომი, არც მშვიდობა,** ეს რუსეთის ტრადიციაა.

„საქართველოს რესპუბლიკა"



# „ყველაფერს აქვს წინაპირობა და მიზეზი. არც ზელენსკია ანგელოზი და არც პუტინი – ბნელეთის მოციქული. შეიძლება, მაგათზე დიდი ბოროტება მძინარე ბაიდენი, თანამედროვე ამერიკელი ბრეჟნევი იყოს!“

ნებისაც, რომლებიც საკუთარი ნებით მიდიან სხვის ომში.

**— ისინი, ვინც მოხალისეებად ეწერებიან, თვლიან, რომ დღეს მათი თავისუფლების ბედი უკრაინაში წყდება, ეს არის ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის...**

— ვინ დაადგინა, რა არის ბოროტება? ჩემთვის ბოროტება არის ის, როდესაც ორ მოძმე ქვეყანას ერთმანეთს აჯახებ და მათი სისხლით ვერ ძღები. ყველანაირი ომი კატასტროფაა, მაგრამ ჩემთვის კიდევ უფრო საშინელებაა ომი რუსებსა და უკრაინელებს შორის. **როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, მეზიზღება ის ამერიკა, რომელმაც ეს ორი ქვეყანა წააქეზა და ერთმანეთს დააჯახა, რომელმაც უკრაინის ავღანიზაცია მოახდინა.** ნამდვილი გმირების დაცინვაა ის, დღეს ვოლოდიმირ ზელენსკი ქვეყნისა და მსოფლიოს გადამრჩენელად რომ არის წარმოჩენილი. წარმოდგენა არა აქვთ, სინამდვილეში ვინ არის!

**— სინამდვილეში ვინ არის?**

— სააკაშვილი-2-ია, მეტიც — მასზე უარესი! მარიონეტია, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის პრეზიდენტი, რომ კარგად ითამაშა სერიალში. სრულ ტყუილში აცხოვრებს თავის ხალხს. რას აკეთებს დღეს იმისთვის, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა შეაჩეროს? რა გააკეთა ამ ომის თავიდან ასაცილებლად?!

**— ამ სიტუაციაში როგორ გამოიყურება საქართველოს ხელისუფლება?**

— პირდაპირ ვამბობ — **საქართველოს ბედი ჰქონია, რომ დღეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია, ხოლო სააკაშვილი გალიაშია გამოკეტილი.** სხვა სიტუაციაში ეს საუბარი ასე მშვიდად ვერ შედგებოდა, ომში ვიქნებოდით ჩართული.

## დღეს ნაციონალების კასტრირებული პოლიტიკოსები თავს რომ იკლავენ, როგორმე საომარი მოქმედებები საქართველოში გადმოიტანონ, სწორედ ამ გეგმის ნაწილი იყო ომამდე რამდენიმე თვით ადრე საქართველოში სააკაშვილის ტრაილერით დაბრუნება. ის უნდა ჩასდგომოდა ამ პროცესს სათავეში, მაგრამ ღარიბაშვილმა მის პატრონებს გეგმები ჩაუშალა.

ირაკლი ღარიბაშვილი სწორი გზით მიდის, ამიტომაც არიან სვავებივით დასეულნი. წარმომიდგენია, რა ზეწოლები იქნება მასზე, რამდენს უძლებს ეს ახალგაზრდა კაცი, რომ შიდა და გარე მტრებს გაუმკლავდეს. ნეტა შეძლოს და ბოლომდე ასე პრინციპულად იდგეს.

**— უნდა შეინარჩუნოს თუ არა პრინციპულობა ნატოში შესვლაზეც?**

— ყველა, ვინც დღეს ისევ ნატოში შესვლაზე ფიქრობს, ნაციონალებივით ტვინმოღრეცილი მგონია. ხელისუფლება ჭკვიანურად იქცევა, რომ არ ამწვავებს ამ საკითხს, თორემ ადამიანების განწყობა რადიკალურად განსხვავებულია. ხალხმა საკუთარი თვალით დაინახა, ნატოში ლტოლვამ რაც მოუტანა უკრაინელ ხალხს. **თუ აქამდე ნატოზე თავშეკავებით საუბრობდნენ, დღეს უკვე ყველა მეორე აგინებს და აფურთხებს ამ გაერთიანებას.**

ჩვენ დღეს არგამოცხადებულ ომში ვართ, არ იქნება ურიგო, გარკვეული ბერკეტები ამოქმედდეს მედიისთვის ლაგამის ამოსადებად. მავნებლებისა და ქვეყნის მტრების წინააღმდეგ სახელმწიფომ რაღაც ზომები აუცილებლად უნდა მიიღოს!

**— ეს უკვე დიქტატურის გაფორმებაა...**

— დიქტატურა არ არის რუსული არხების გათიშვა? სად არის პრესის თავისუფლება ამერიკაში?! გარკვეული საინფორმაციო საშუალებები მთლიანად დახურეს. ლიბერალიზმის ძირითადი პოსტულატები გააცამტვერეს. რა მაგალითსაც იძლევა შტატები და ევროპა, იგივე უნდა გაიმეოროს საქართველოს ხელისუფლებამაც. განა ასე არ არის მიღებული, ვინც ზელენსკის არ ეთანხმება, ყველა მათი მტერია?! რის გამოც ვიკლავდით თავს ევროკავშირისთვის, ის ცივილიზებული სამყარო აღარ არსებობს. **გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია თავზე დაიხიეს. მთელ მსოფლიოში რუსი ეთნოსის შევიწროება მიდის, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა. აღარც ინფორმაციის მიღების თავისუფლებაა და აღარც კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. თვითონვე დაანგრიეს მათივე შექმნილი საყრდენები.**

## „სილქნეტმა“ „ოერტე“ და „ერტეერი“ იმიტომ გათიშა, რომ განსხვავებული აზრი არ მოგვესმინა. ეს არის დემოკრატია? ეს არის „ამერიკის ხმა?“

## ამერიკამაც და ევროპამაც გადათელეს დემოკრატია და ჩვენ რისთვის უნდა შევინარჩუნოთ?! რატომ უნდა ვიყოთ „თოლერანთულები“, როგორც სანდრა რულოვსი ამბობს?!

სრული უფლება გვაქვს, სახელმწიფოს სუვერენიტეტი დავიცვათ და ძირეულად შეცვლილ მსოფლიოში ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ!

## „არ იქნება ურიგო, გარკვეული ბერკეტები ამოქმედდეს მედიისთვის ლაგამის ამოსადებად. მავნებლებისა და ქვეყნის მტრების წინააღმდეგ სახელმწიფომ რაღაც ზომები აუცილებლად უნდა მიიღოს!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**სააკაშვილმა** განაცხადა, რომ **პუტინს** 30-ჯერ შეხვდა, რაზეც ყურადღება არავის გაუმახვილებია. **საინტერესოა, როდის შეხვდა პუტინს 30-ჯერ?!** რამდენადაც ჩემთვის ცნობილია (იმჟამად მთავრობის წევრი გახლდით), პუტინთან ოფიციალური შეხვედრა მხოლოდ ერთხელ ჰქონდა. შეიძლება მე გამომრჩა და ორჯერაც შეხვდა, მაგრამ **რუსეთის უშიშროების ეფრეიტორმა სააკაშვილმა** იქნებ გაგვიმარტოს: 30-ჯერ რატომ, რა ვითარებაში, სად, რისთვის და როდის შეხვდა პუტინს?!

„საერთო გაზეთი“

**ლევან მამალაძე**
*საერთაშორისო სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის დირექტორი*



**რუსეთისადმი სანქციების დაწესებას რომ საქართველომ მხარი არ დაუჭირა, ამის გამო ის აშშ-ს არ გაუკრიტიკებია** და ესენი, ეს ვითომ ე.წ. ოპოზიციონერები, ჩასაფრებულ პოზიციაში არიან ამ უმძიმეს ვითარებაშიც კი. ეს კეთდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით: ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში. **ღმერთმა დაიფაროს და რამე რომ მოხდეს, ესენი როგორც 2008 წელს, ახლაც უკან მოუხედავად მოკურცხლავენ საქართველოდან.** თუ გონიერებას გამოვიჩენთ და ამ რთულ გადათამაშებაში არ ჩავერთვებით, **შეიძლება, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონში ერთგვარ ოაზისად იქცეს.**

„საერთო გაზეთი“

**დავით სერგეენკო**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



საქართველოს **რუსეთის მიმართ სანქციების მთელი რიგი პაკეტი** 2008 წლიდან აქვს უკვე დაწესებული და მას ეწოდება **„კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“.** ეს პროცესი დინამიკურია და **ოპოზიციის მოძახილები სანქციებზე შეერთების თაობაზე უკვე ძალიან მომაბეზრებელია.**

„პირველი არხი“

**იენს სტოლტენბერგი**
*ნატოს გენერალური მდივანი*



**ნატო** კონფლიქტში უშუალოდ სამხედრო ჩარევას მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებს, თუ **რუსეთი** თავს დაესხმება მისი 30 წევრიდან ერთ-ერთს.

„ინტერპრესნიუსი“

# პუშკინი და



*1831 წლის 2 აგვისტოს პუშკინმა დაწერა ცნობილი ლექსი — „რუსეთის ცილისმწამებლებს“, რომელშიც დიდი პოეტი რუსეთის იმპერიის მიერ პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობას მიესალმა.*

პუშკინმა მაშინდელ ფრანგ **„ენამჭნევარებსა“** და დანარჩენ ევროპელ ლიბერალებს მოუწოდა, რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევისგან თავი შორს დაეჭირათ, თორემ რუსულ მიწაში მათი კუბოებისთვის ადგილი მრავლად გამოიძებნებოდა...

191 წლის შემდეგ, 2022 წლის 24 თებერვალს, როცა მძინარე უკრაინას რუსულმა „პუშკებმა“ ცეცხლი და სიკვდილი დაატეხეს, **ვლადიმერ პუტინმა დასავლეთს სწორედ პუშკინის სიტყვებით მიმართა** — ჩვენს შიდა საქმეში არ ჩაერიოთ, თორემ ისეთ განსაცდელს მოგივლენთ, რომელიც თქვენი ისტორიის განმავლობაში არასოდეს გამოგიცდიათო!

მოკლედ, ისტორია მართლაცდა განმეორდა პირველად როგორც ტრაგედია, ხოლო მეორედ — როგორც ფარსი...

ვიდრე ამ ლექსს შეთხზავდა, **1831 წლის 1 ივნისს პუშკინი ცნობილ პოეტს, კრიტიკოსსა და ისტორიკოსს პეტრე ვიაზემსკის სწერდა —** *„საჭიროა, პოლონელები მივახრჩოთ, ამიტომაც ჩვენი (რუსეთის არმიის) სიზანტე შემაწუხებელია. ჩვენთვის პოლონეთის აჯანყება ოჯახური საქმე და ძველი დაპირისპირებაა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო. როგორიც გინდა იყოს ჩვენი შეხედულებები, ჩვენ არ შეგვიძლია, პოლონეთის აჯანყება ევროპული შთაბეჭდილებებით განვსაზღვროთ!“*

**თავად ლექსი, რომლის შესანიშნავი თარგმანიც ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება,** ფაქტობრივად, წარმოადგენს რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური მიზნების გაცხადებულ მანიფესტს, რომლის თანახმადაც ბალკანეთში, ცენტრალურ ევროპასა და კავკასიაში სლავი და ქრისტიანი ხალხების გადია და მეთვალყურე იყო, არის და უნდა იყოს რუსეთი, ხოლო მთელი ეს ტერიტორიები არის რუსეთის „შიდა ეზო“ და „ოჯახური საქმე“, სადაც ევროპასა და, ზოგადად, დასავლეთს არაფერი ესაქმებათ!

**სხვათაშორის, 1831 წლის პოლონეთის აჯანყება სისხლში ჩაახშო გენერალ-ფელდმარშალმა, ერევნის გრაფმა ივანე პასკევიჩმა, რომელიც ეროვნებით უკრაინელი იყო,** მაგრამ ისევე, როგორც ქართველი **ალექსანდრე ჭავჭავაძე** და **გრიგოლ ორბელიანი** რუსეთის იმპერიის გენერლის ბრწყინვალე ეპოლეტებსა და მუნდირს ძალიან იხდენდა. **ეს ის პასკევიჩია, რომელიც 1827-1831 წლებში საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ჯარების სარდალი იყო, ირანელებს ერევანი გააგდებინა და ქართველებს თავი სამუდამოდ იმით დაგვამახსოვრა, რომ 1826-1828 და 1828-1829 წლების რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ ერზრუმიდან სამცხე-ჯავახეთში 5 ათასზე მეტი სომეხი ჩამოგვისახლა**. ერთი სიტყვით, **ძალლთაპირმა პასკევიჩმა,** რომელიც მკაცრ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა, სამცხე-ჯავახეთში საშვილთაშვილო ნაღმი ჩაგვიდო და საქართველოს უძველესი და განუყოფელი კუთხის ეთნიკური სურათი ერთ დღეში შეცვალა. მართლაც, **სამცხე-ჯავახეთი, სადაც 1830 წლამდე მხოლოდ ქართული ისმოდა, უცბად გასომხდა, რადგან ძველისძველი საქართველოს დიდება და ცოცხალი ისტორია ერთბაშად, სულ მცირე, 25 ათასი ეთნიკური სომხის საცხოვრისად იქცა...**



პეტრე პირველი

**უკრაინა, რომელიც დღეს ცეცხლის ალშია გახვეული, სწორედ პასკევიჩისა და მისი მსგავსი კონდოტიერების გამო ისჯება. საქართველოც თუ ოდესმე დაისაჯა, მათ შორის, ალბათ, იმ ქართველი მფრინავის ცოდვების გამოც, რომელიც 1939-1940 წლების საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს ჰელსინკის მშვიდობიან მოსახლეობას და, მათ შორის, ბავშვებს ბომბავდა...**

რუსული ლექსი ღვთაებრივ სიმაღლემდე ისე არავის აუყვანია, როგორც ეს **პუშკინმა** შეძლო! მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ასევე ძნელია, მოძებნო სიტყვისა და პოეზიის მეორე დიდოსტატი, რომელმაც თავის შემოქმედებაში თავისუფლებას ოქროს ტახტი დაუდგა, მაგრამ საქმითა და მოწოდებით სისხლიანი **ნიკოლოზ პირველის** ფაქტობრივ მეხოტბედ იქცა და თავისუფლებისთვის მებრძოლი პოლონელი პატრიოტების მოხრჩობას მიესალმა!

**თუმცა, ამ ქვეყნად უარესებიც ხდება...**

მაგალითად, **ელდარ შენგელაიას** გენიალური ფილმი „შერეკილები“ თავისუფლების ხელთუქმნელი ჰიმნია, მაგრამ იგივე ელდარ შენგელაია ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი გახლავთ იმ უბედურებისა, რაც მეოცე საუკუნის 90-ან წლებში დაგვემართა, როცა წყეული და ნაძირალა ქართველები ქართველების მშვიდობიან მიტინგებს ხვრეტდნენ და სამეგრელოში ომერფაშას ასკერებს რომ არ ჩაუდენიათ, იმას სჩადიოდნენ!

**აქ უკვე ელდარ შენგელაია თავისუფლების კი არა, სისხლიანი პუტჩისტებისა და მკვლელების ჰიმნოგრაფია!**

**პუშკინს** მიაჩნდა, რომ ევროპა, რომელიც თავისუფლებისთვის მებრძოლ პოლონელებს თანაუგრძნობდა და ვარშავაში პასკევიჩის სიმხეცეს აპროტესტებდა, ამით რუსეთს „ცილს სწამებდა“... **საინტერესოა, კიდევ 26 წელი რომ ეცოცხლა და 1863 წლის პოლონეთის აჯანყებასაც მოსწრებოდა, მაშინ რას დაწერდა დიდი პოეტი?** ცნობისათვის, 1863 წელს რუსეთის არმიამ ვარშავა შტურმით რომ აიღო, დედაქალაქის მახლობლად უზარმაზარი რუსული ზარბაზანი დადგა, რომელსაც ლულა სწორედ ვარშავისკენ ჰქონდა მიშვერილი იმის ნიშნად, რომ, თუ პოლონეთში ცარიზმის წინააღმდეგ რამე გაფაჩუნდებოდა, იმპერატორი პოლონეთს მიწასთან გაასწორებდა.

1834 წელს, სამი წლით ადრე, ვიდრე ოფიცერი **დანტესი** პუშკინს დუელში მოკლავდა, მეორე უდიდესმა პოეტმა და პროზაიკოსმა **მიხეილ ლერმონტოვმა,** ფაქტობრივად, გააგრძელა პუშკინის მიერ დაწყებული საქმე და ლექსში **„ისევ სახალხო ენამჭნევართა შესახებ“** მკერდით გადაეფარა რუსეთს, რომლის რეკვიემშიც წერდა — **„მშვიდობით, დაუბანელო რუსეთო!“** დიახ, ლერმონტოვმა იმავე ევროპელი ოპორტუნისტების, ძირითადად კი ისევ და ისევ ფრანგი გამომცემ-

## КЛЕВЕТНИКАМ РОССИИ

О чем шумите вы, народные витии?
Зачем анафемой грозите вы России?
Что возмутило вас? волнения Литвы?
Оставьте: это спор славян между собою,
Домашний, старый спор,
Уж взвешенный судьбою,
Вопрос, которого не разрешите вы.

Уже давно между собою
Враждуют эти племена;
Не раз клонилась под грозою
То их, то наша сторона.
Кто устоит в неравном споре:
Кичливый лях, иль верный росс?
Славянские ль ручьи сольются
В русском море?
Оно ль иссякнет? вот вопрос.

Оставьте нас: вы не читали
Сии кровавые скрижали;
Вам непонятна, вам чужда
Сия семейная вражда;
Для вас безмолвны Кремль и Прага;
Бессмысленно прельщает вас
Борьбы отчаянной отвага —
И ненавидите вы нас...

За что ж? ответствуйте: за то ли,
Что на развалинах пылающей Москвы
Мы не признали наглой воли
Того, под кем дрожали вы?
За то ль, что в бездну повалили
Мы тяготеющий над царствами кумир
И нашей кровью искупили
Европы вольность, честь и мир?..

Вы грозны на словах — попробуйте на деле!
Иль старый богатырь, покойный на постеле,
Не в силах завинтить
Свой измаильский штык?
Иль русского царя уже бессильно слово?
Иль нам с Европой спорить ново?
Иль русский от побед отвык?
Иль мало нас? Или от Перми до Тавриды,
От финских хладных скал
До пламенной Колхиды,
От потрясенного Кремля
До стен недвижного Китая,
Стальной щетиною сверкая,
Не встанет русская земля?..

Так высылайте ж к нам, витии,
Своих озлобленных сынов:
Есть место им в полях России,
Среди нечуждых им гробов.

*АЛЕКСАНДР ПУШКИН, 1831*



მიხეილ ლერმონტოვი

## პუშკინი და ლერმონტოვი, რომლებმაც ასეთი ლექსები დაწერეს, აუცილებლად შეასრულებდნენ იმპერატორ პუტინის ბრძანებას და უკრაინაში იბრძოლებდნენ!

# პუტინის «პუშკები»

ლებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ პუშკინისეული თავგამოდებით გაილაშქრა და ევროპას მუშტი მოუღერა — **პოლონეთისა და ლიტვის სივრცეში ცხვირს ნუ ყოფთო!**

თუ ამ ყველაფერს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას შევუპირისპირებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ ძრწის და ცახცახებს პოლონეთი და ბალტიისპირეთი რუსული ბომბდამშენების, ფრთოსანი რაკეტებისა და **„პუშკების“** მოლოდინში, მაშინ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **პუშკინი და ლერმონტოვი,** რომლებმაც ასეთი ლექსები დაწერეს, დღეს რომ ცოცხლები იყვნენ, აუცილებლად შეასრულებდნენ იმპერატორ პუტინის ბრძანებას და უკრაინაში იბრძოლებდნენ!

როგორც ცნობილია, ბოროდინოს ბრძოლის შემყურე ნაპოლეონი და ფრანგი მარშლები აღტაცებასა და გაოგნებას ვერ მალავდნენ და ერთხმად გაიძახოდნენ — **დღეს ფრანგებმა დაამტკიცეს, რომ ღირსნი არიან გამარჯვებისა, ხოლო რუსებმა გვიჩვენეს, რომ მათ ბრძოლა იციან!** მაგრამ მხედართმთავრებისგან განსხვავებით, ფრანგი ისტორიკოსები და ჟურნალისტები აშკარად შეფიქრიანებული ჩანდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ — **ვინ მისცა ამ ჩამოხეულ, ჩამოძონძილ და მონობაში გაზრდილ რუსის ჯარისკაცს იმდენი ძალა, თავი გადადოს მოსკოვისთვის, რომელიც თვალით არასოდეს უნახავს და თავისი სოფლის ტალახიან ორღობეს არასოდეს გასცილებიაო?!**

რაში იყო საქმე, რატომ იცავდნენ პირტიტველა და მონობაში გაზრდილი გლეხის ბიჭები ბოროდინოსთან დედაქალაქს ისეთი თავგამეტებით, რომ თვით ნაპოლეონიც კი აღტაცებაში მოვიდა? რატომ წირავდნენ თავს დაუბანელი ჯარისკაცები იმ რუსეთისთვის, რომლის ელიტაც მათი მეგობარი, მეჭირისუფლე და გულშემატკივარი არასოდეს ყოფილა და პირიქით, დაუძინებელი მტერი იყო? ამის ახსნა ლოგიკით ყოვლად შეუძლებელია... ეტყობა, რუსეთს აქვს რაღაც იდუმალი ძალა, რომელიც ქართველს, პოლონელს, უკრაინელსა და მონღოლს აიძულებს, რუსზე უფრო რუსი იყოს!

ასე, მაგალითად, **ნებისმიერ რუსზე უფრო დიდი რუსი იყო რიურიკოვიჩების შთამომავალი ივანე მრისხანე,** რომელმაც რუსეთს ციმბირისკენ მიმავალი გზა გაუხსნა და 1552 და 1556 წლებში ყაზანისა და ასტრახანის სახანოები შემოიერთა.

**ნებისმიერ რუსზე უფრო დიდი რუსი იყო ქართველი პეტრე პირველი,** რომელმაც ქვეყანა წუმპიდან ამოათრია და რუსეთი ევროპულ ფანჯარაში გაახედა!

**ნებისმიერ რუსზე უფრო რუსი იყო გერმანელი იმპერატრიცა ეკატერინე მეორე,** რომელმაც თურქეთსა და ირანს, ფაქტობრივად, კავკასია და ყირიმი გამოგლიჯა ხელიდან!

აღარაფერს ვამბობთ **ქართველ სტალინსა** და ქართველ **ლავრენტი ბერიაზე,** რომლებმაც ლენინისა და ტროცკის მიერ მოღორებული რუსები წითელი დროშით ხელში მთელ მსოფლიოს თავზე დაასვეს!

## არცერთ რუს გენერალს ისე არ განუცდია 1812 წლის სამამულო



## ომის დროს მოსკოვის ჩაბარება, როგორც ეს პეტრე ბაგრატიონმა განიცადა. დაჭრილი და შეჭირვებული პეტრე, რომელიც ვახტანგ მეექვსის ძმის, იესე ბაგრატიონის შვილთაშვილი გახლდათ, სწორედ ამ საშინელ ტკივილს გადაჰყვა.

არადა, ნაპოლეონი მთელი რუსეთის არმიაში სწორედ მას გამოარჩევდა, მას მიიჩნევდა თავის ტოლად და ღირსეულ მოწინააღმდეგედ და ამის შესახებ ხმამაღლა ამბობდა კიდეც — **რუს გენერლებს შორის მაფიქრებს მხოლოდ ერთი — თავადი პეტრე ბაგრატიონი!**

სხვათაშორის, 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, როცა ქართველებმა რუსების გაყრა და მეფობის აღდგენა მოინდომეს, რუსის სამხედრო მუნდირში გამოწკეპილი **ეკატერინე მეორის ნათლული, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე** ყველა რუს ჯარისკაცსა და ოფიცერზე უფრო გამეტებით სცემდა აჯანყებულ ქართველებს, რისთვისაც დაისაჯა და სოფელ ჩუმლაყთან მომხდარ ერთ-ერთ შეტაკებაში ბარძაყში დაიჭრა. ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლმა **პეტრე ბაგრატიონმა** ქართველთა აჯანყების შესახებ რომ შეიტყო, ზიზღით სავსე უსტარი მოიწერა — **ემანდ, ზოგიერთები ჭკუით იყავით, თორემ ჩემი ჯარისკაცებით ჩამოვალ და სუყველაფერს მივანგრ-მოვანგრევო!**

**ალექსანდრე პუშკინიც,** რომელმაც ყველაფერთან ერთად **„რუსეთის ცილისმწამებლებს“** დაწერა და რომლის ძარღვებშიც ეთიოპიელი თავადის სისხლი ჩქეფდა, ყველა რუსზე უფრო დიდი პოეტია!

**მიხეილ ლერმონტოვიც,** რომელიც სინამდვილეში შოტლანდიელი იყო და მისი გვარი ლერმონტი გახლდათ, ყველა რუსზე უფრო რუსი პოეტია!

1812 წლის სამამულო ომის დროს, როცა ნაპოლეონი რუსეთის არმიას უტევდა და რუსები გარბოდნენ, მოხდა ასეთი ფაქტი. ახალგაზრდა, რუსი ოფიცერი, რომელიც ფრანგულად იყო აღზრდილი, გამოვიდა საარმიო კორპუსის წინაშე, ხელები აღაპყრო, დაიჩოქა და ფრანგულად, პათეტიკურად წარმოთქვა შემდეგი სიტყვები — **ჩემო ტკბილო რუსეთო, ჩემო დედავ, მე მინდა, შენთვის მოვკვდე!**

— **სიკვდილი მოღალატეს!** — დაიღრიალა იქვე მყოფმა მეორე რუსმა ოფიცერმა, გადმოიღო დამბაჩა და იმ ოფიცერს სული გააცხებინა!

როგორც გაირკვა, მკვლელმა ფრანგული არ იცოდა და მოკლული ოფიცერი ნაპოლეონის ჯაშუში ეგონა...

**ასე მოკლეს რუსებმა სტალინი და ბერია... არადა, მათ უყვარდათ რუსეთი და მზად იყვნენ მისთვის სიცოცხლე გაეწირათ!**

საინტერესოა, ბევრი ჰყავს პუტინს იმ ფრანგულად მოლაპარაკე ოფიცრის მსგავსი პატრიოტები თუ რუსის ჯარში ისეთები უფრო ჭარბობენ, რომლებიც უკრაინელი პარტიზანების შიშით ჯავშანტექნიკიდან ღამით თავს ვერ ყოფენ და ტანკებში ისაქმებენ?

**პუშკინიც და ლერმონტოვიც ნიკოლოზ პირველმა მოინელა, მაგრამ საქმე საქმეზე როცა მიდგა, ნიკოლოზის სისხლიან იმპერიას ორივე მკერდით გადაეფარა...**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანამ ლერმონტოვისა და პუშკინის შემოქმედება იარსებებს, პუტინის „პუშკებს“ არც ყუმბარები და არც „საზარბაზნე ხორცი“ არ მოაკლდება!

***დიტო ჩუბინიძე***



პეტრე ბაგრატიონი



ივანე პასკევიჩი

## რუსეთის ცილისმწამებლებს

**რა გაყაყანებთ, ენამქნევარნო?**
**საანათემოდ რუსთა მდევარნო?**
**რამ აგაღელვათ? შფოთმა ლიტვაში?**
**ეს შინაური დავაა სლავთა,**
**შეეშვით, დარჩნენ საკუთარ თავთან!**

**დიდი ხანია, მტრობენ ეს ტომნი,**
**თქვენ ვერ გახდებით მშვიდობის მდომნი —**
**გამოიარეს ბევრი ქუხილი,**
**ხან — ჩვენი, ხანაც — მათი წუხილი**
**დასაბამიდან ვენებში უზის**
**ყოყოჩ პოლონელს, გინდ მებრძოლს რუსის,**
**შეერთდება კი რუები სლავთა ზღვაში რუსეთის?**
**ან იქნებ დაშრეს? —**
**დაე, ეს კითხვა კვლავ კითხვად დაშთეს!**

**შეეშვით, თქვენთვის უცხოა მათი**
**ყდასისხლიანი წიგნი რჯულისა —**
**არ გაგეგებათ არცა კამათი**
**გვაროვნულ ზიზღით დატანჯულისა...**
**თქვენთვის მდუმარებს კრემლი და პრაღა,**
**უაზროდ გხიბლავთ, რომ გვაზის დაღად**
**შეუპოვარი გაბედულება...**
**ასეა, ხალხი როს გეძულება!**

**და რისთვის გძულვართ,**
**რომ არა ვცანით დამწვარ მოსკოვთან**
**ულირსთა ნება? —**
**ვისაც ენება, რომ შიშით გევლოთ?**
**რადგან ევროპის თავისუფლება**
**ბრძოლებში სისხლით გამოვისყიდეთ,**
**იმისთვის გველობთ?**

**სიტყვით მრისხანებთ? ნუთუ გოლიათს**
**ისმაილურის აღარ ძალუძს მოქნევა ხიშტის?**
**იქნებ დასუსტდა რუსთხელმწიფის სიტყვა ამიერ —**
**ან იქნებ რუსის გამარჯვების მრავალჟამიერს**
**დაესვა ხვიშტი?**

**იქნებ კამათი ევროპასთან არის ახალი?**
**ან ცოტა დავრჩით?**
**იქნებ პერმიდან თვით ტავრიდამდე,**
**ანდა ფინეთის ყინულთაგან**
**ცეცხლოვან კოლხეთს**
**ვერ გასწვდება მზერა ფრთამალი?**
**შეძრწუნებული კრემლისა და ჩინეთის მიღმა**
**ფოლადის ცეცხლით არ აღსდგება**
**რუსთა ტრამალი?**

**მაშ, გამოუშვით მოლაყბენი ენამქნევარი —**
**შვილები თქვენი — ბოროტების გულში მტევარი...**
**რუსულ მიწაში უსათუოდ მოიძებნება**
**ყველას ადგილი — კუბოებში გასათევარი!**

***ალექსანდრე პუშკინი, 1831***

## 1831 წლის პოლონეთის აჯანყება სისხლში ჩაახშო გენერალ-ფელდმარშალმა, ერევნის გრაფმა ივანე პასკევიჩმა, რომელიც ეროვნებით უკრაინელი იყო!

*მძიმე და განსაცდელებით აღსავსე დროში მინდა, მივმართო ქართული პოლიტიკური სპექტრის ზოგიერთ ვაი-მოღვაწეს: იქნებ ახლა მაინც ირწმუნოთ საბჭოთა პერიოდის სიკეთეები და გაიაზროთ, რამდენი უბედურება დაატყდა თავს თხუთმეტივე რესპუბლიკას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველოსაც კი, რომელიც მუდამ გამორჩეული და მოწინავე იყო, დღესდღეობით სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტი უცხოეთიდან შემოაქვს და თანაც — მდარე ხარისხის! მაშინ კი ჩვენს მადლიან მიწაზე მოყვანილი ყველანაირი პროდუქტი გვქონდა. ხალხი შრომობდა, ოჯახებსაც ინახავდა და მოწეული მოსავლის ჭარბი ნაწილი უპრობლემოდ გაჰქონდა მეზობელ რესპუბლიკებში სარეალიზაციოდ. ამ ფონზე ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ირაკლი ღარიბაშვილისა და მთელი ხელისუფლების გონივრული, მე ვიტყოდი, ბრძნული გადაწყვეტილება იყო, რომ საქართველო არ შეუერთდა რუსეთის მიმართ დაწესებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს, რომლებსაც ნულოვანი და ჩვენი ქვეყნისათვის ზიანის მომტანი ეფექტი ექნებოდა.*



# რატომ უნდა ვდუღროთ თავი გამძვინვარებული დათვის ხახაში?

## ომარ მარგველაშვილი

## ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთ იმპოტენტი ნატოს კარზე დამამცირებელი კაკუნი და მის მიმართ ცრუმოლოდინი!

დიახ, სანქციების დაწესებას ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც დამანგრეველი შედეგი მოჰყვებოდა და საქართველო სამაგალითოდ დაისჯებოდა. **დანია, ბელარუსი, ალბანეთი, ნორვეგია, ფინეთი, ჩინეთი, თურქეთი, ინდოეთი, სერბეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზიის არცერთი სახელმწიფო და მრავალი სხვა ქვეყანა არ შეუერთდა რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს და განა ჩვენთვის ეს მაგალითი არ უნდა იყოს?** რატომ უნდა ვდუღროთ თავი გამძვინვარებული დათვის ხახაში? ოპოზიციის პროვოკაციული ნაბიჯები ხომ საქართველოს ომში ჩათრევისა და დესტაბილიზაციის პირდაპირი მცდელობაა.

**გონს მოდით, ქართველებო!** რუსეთი არ გაგვახარებს, თუ ერთხელ და სამუდამოდ არ შევწყვეტთ მის ლანძღვას, არ გადავდგამთ დიპლომატიურ, პოლიტიკურად გამართულ და კეთილმეზობლურ ნაბიჯებს! **ისე კი არ უნდა მოვიქცეთ, როგორც ამას 2008 წელს უგუნური ნუგზარ წიკლაური გვიქადაგებდა და კატეგორიულად მოითხოვდა რუსი კლასიკოსების — პუშკინის, ლერმონტოვისა და გრიბოედოვის ძეგლების დანგრევას(?!)** ახლა გაუნათლებელი ნაციონალები ითხოვენ საქართველოში რუსული ენის სწავლების აკრძალვას. განა ამას რაიმე გამართლება აქვს?

ერთმორწმუნე რუსეთი დიალოგისთვის მზადაა და, მოდით, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ!

უკრაინის დროშების ფრიალით ვერაფერს ვუშველით მას!

**ოპოზიციის საქციელი მაგონებს შულავერის კრების მონაწილეთა — ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, ბუდუ მდივნის, შალვა ელიავას, მიხეილ ოკუჯავას, ალექსანდრე გეგეჭკორისა და სხვათა მოღალატურ საქმიანობას!**

ჩვენმა კეკლუცმა პრეზიდენტმა **სრულიად არაგონივრულად გასცა განკარგულება** რიგგარეშე საპარლამენტო სესიის ჩატარების თაობაზე, მერე კი, რატომღაც თვითნებურად საფრანგეთში გაისეირნა, იქიდან კი ბრიუსელში, სტრასბურგში, ბერლინსა და ვარშავაში. ერთი პრეზიდენტი ქვეყანაში შემოგვეპარა, მეორე კი გაგვეპარა.

აქვე ისიც ვიკითხოთ — **ვინ მიიყვანა უკრაინა ამ უბედურებამდე?** რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ნატომ, ევროკავშირმა, ევროკომისიამ, ევროსაბჭომ, ევროპარლამენტმა თავისი პერმანენტული წაქეზებითა და ცრუდაპირებებით. **ამიტომაა, რომ ჩვენ დაფიქრება და სიფრთხილე გვმართებს! ჩვენთვის ეს მაგალითი უნდა იყოს და არც ნატოს იმედი არ უნდა გვქონდეს.** ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთ იმპოტენტი ნატოს კარზე დამამცირებელი კაკუნი და მის მიმართ ცრუმოლოდინი, რომელმაც მხოლოდ 50 ტონა საწვავი გაიმეტა ცეცხლში გახვეული უკრაინისთვის. სტოლტენბერგმა ზელენსკის არცერთი მუდარა არ შეასრულა.

**აუარება იარაღი შეიზიდა უკრაინაში ამ ბოლო დროს, მაგრამ ვოლოდიმირ ზელენსკი გაშმაგებულ რუსეთთან პირისპირ მაინც მარტო დატოვეს!**

ახლა უკრაინა უმძიმეს და ურთულეს დღეშია, **საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთელი ჩვენი ხელისუფლება, ყველა ნორმალური ადამიანი სოლიდარობას ვუცხადებთ და თანავუგრძნობთ უკრაინელ ხალხს, ვგმობთ აგრესიას, რომლის წინაშეც სუპერსახელმწიფოები და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ნატოც უძლურები აღმოჩნდნენ!**

ოპოზიციის არაფრის მომტანი და უსარგებლო ღნავილი იმ უგუნურთა გამართლების მცდელობაა, ვინც მშობლიური მიწის უმშვენიერესი 20 პროცენტი დაგვაკარგვინა. ამ უტიფრებმა ქვეყანა გაყვლიფეს და ხალხი გაალატაკეს! **საქართველოს სააკაშვილსა და მის გარემოცვაზე ვერაგი მტერი არა ჰყავს!** მან გადასცა რუსეთს მთელი ქვეყნის ენერგოობიექტები, ამიტომ, თუკი სანქციებს დავუწესებთ, აქეთ შემოგვიბრუნდება და თავად შეგვიწყვეტს ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და ხორბლის მოწოდებას.

**გიფიქრიათ, ამ შემთხვევაში როგორღა ვიცხოვრებთ, ოპოზიციონერებო?!**

**თანაც, რუსეთი თავისი ბაზრიდან ჩვენს პროდუქციასაც გამოდევნის და იქ მომუშავე თანა-**





## საქართველოს სააკაშვილსა და მის გარემოცვაზე ვერაგი მტერი არ ჰყავს!



ოპოზიციის საქციელი მაგონებს შულავერის კრების მონაწილეთა — ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, ბუდუ მდივნის, შალვა ელიავას, მიხეილ ოკუჯავას, ალექსანდრე გეგეჭკორისა და სხვათა მოღალატურ საქმიანობას!

# ოპოზიცია საკუთარი ვიწრო-პარტიული ინტერესების ტყვეობაშია!

## მოქალაქეებსაც გამოაძევებს, რომელთა შემწეობით საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ირჩენს თავს!

**როდესაც აშშ და ნატო მიწასთან ასწორებდნენ ერაყს, იუგოსლავიას, ეგვიპტეს, ტუნისს, ავღანეთს, ლიბიას, სირიას, სასტიკად უსწორდებოდნენ მათ ლიდერებს, რატომ არ გამოიჩინეს მათდამი თანადგომა და დახმარება სუპერსახელმწიფოებმა ან ჩვენმა ოპოზიციამ?** ეს იყო აგრესიის, დაპყრობისა და რესურსების ძარცვის კლასიკური მაგალითი.

## რაღაც არ მახსენდება, რომ დიდად თანაუგრძნობდნენ და ცრემლებს აღვარღვარებდნენ ჩვენი ოპოზიციონერი პარლამენტარი დედაკაცები რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების გამო!

ოპოზიცია საკუთარი ვიწრო-პარტიული ინტერესების ტყვეობაშია!

ამაზე რატომღაც არავინ ლაპარაკობს, იმიტომ, რომ მაშინ ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახლდათ და მისი ყველას ეშინოდა, დღესდღეობით კი რუსეთია მასზე ძლიერი, პლანეტაზე კი ძალმომრეობა ბატონობს! ის კი არადა, პუტინს ძალისმიერი მეთოდით ალიასკის დაბრუნებაც კი სურს, რომელიც ალექსანდრე მეორემ 1867 წელს ამერიკას ძალიან იაფად — 7 მილიონ 200 ათას დოლარად მიჰყიდა.

**მუხანათური ომი უკრაინასთან რუსეთს დღეში 20 მილიარდი დოლარი უჯდება. განა რამდენ ხანს შეძლებს მწირი საფინანსო რესურსებით უკრაინის შემზარავ დაბომბვებს? ისიც უნდა ითქვას, რომ 2008 წელს, როცა გარეწარი სააკაშვილის მიერ წამოწყებულ უაზრო ომში სამარცხვინოდ დავმარცხდით, ზელენსკი კიევში ესტრადაზე ჩვენს დროშას აფრიალებდა, დაგვცინოდა, მასხარად გვიგდებდა, დარბაზი კი ხარხარებდა.**

ზელენსკიმ შეიფარა მსჯავრდებული სააკაშვილი და მისი აქტიური მხარდამჭერები, რომლებსაც მძიმე დანაშაული ჰქონდათ საქართველოში ჩადენილი, აქედან გაქცეული კრიმინალები მაღალ თანამდებობებზეც გაამწესა — **ადეიშვილი, ლორთქიფანიძე, თარგამაძე, საყვარელიძე, დეკანოიძე, ზღულაძე** და ბევრი სხვა. გარეწარი **დავით არახამია** რუსეთთან მოლაპარაკებებშიც კი ჩართო. რამდენიმე დღის წინ ზელენსკიმ ბრალდებული **გიორგი ლორთქიფანიძე** უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა, ბრალდებული **ზურაბ ადეიშვილი** კი ჰააგის ტრიბუნალზე უკრაინის მხარეს წარმოადგენს. აი, ასე გვექცევა ჩვენი „მეგობარი“ ვოლოდიმირი.

ისიც საკითხავია, საიდან გამოტყვრა არამკითხე **ლუკ კოფი,** რომელიც მოუწოდებს ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებს: **„სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ საქართველოს კბილებამდე შეიარაღება“.** ვინ ეკითხება მას ან რაში გვჭირდება ასეთი უგუნური „დახმარება“? ან პოლონეთის ელჩი რაღას გვერჩის, გორში სტალინის სახლ-მუზეუმის დახურვას რომ ითხოვს. ურჩევნია, თავის ქვეყანას მიხედოს, ხოლო ასეთი არაკეთილგონიერი ელჩები პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადოს ჩვენმა ხელისუფლებამ!

### ბოლოთქმა

მეგობრებო, საბჭოთა კავშირმა ავღანეთთან 10-წლიანი ომის შედეგად დაკარგა 15.000 საბჭოთა მებრძოლი. 22-დღიან ბრძოლაში რუსეთმა უკრაინაში დაკარგა 15.000-ზე მეტი პირტიტველა ახალგაზრდა, ამის გარდა, ურიცხვი სამხედრო ტექნიკა. **რუსეთი უმძიმეს ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს განიცდის და ეს დამანგრეველი პროცესი დიდხანს გაგრძელდება. იური შვეცმა,** რომელიც პუტინთან ერთად სწავლობდა „კაგებეს“ სკოლაში და მთელი ცხოვრება უცხოეთში (ძირითადად, აშშ-ში) მუშაობდა რეზიდენტად, **დიმიტრი გორდონთან** ინტერვიუში განაცხადა, რომ **პუტინი თითქმის წელიწადია, ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. მას საშინლად ეშინია უახლოესი გარემოცვის, მათ შორის, თავისი დაცვის, რომ არ მოწამლონ. შეიძლება, სერგეი შოიგუ გახდეს პრეზიდენტი, პუტინის შემდგომში უსაფრთხოების პირობით. ალინა კაბაევას კი შვილებთან ერთად შვეიცარიიდან აძევებენ...**

რუსეთის შეიარაღებული ძალები დემორალიზებულია. ამ ფონზე მკვეთრად შემცირდება რუსული სუბსიდიები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რომლებიც ფინანსური დახმარების გარეშე ვერ იარსებებენ. არადა, ჩვენი ხელისუფლების გონივრული ნაბიჯების შემთხვევაში, ისინი მშვიდობიანად დაგვიბრუნდებიან!






***რუსეთისთვის დაწესებული დასავლური სანქციები იმდენად მასშტაბურია, რომ, სხვადასხვა მონაცემით, უკვე დაახლოებით ტრილიონი დოლარით შემცირა სახელმწიფოს და ოლიგარქების ქონება! ამ ვითარებაში კი გაჩნდა შანსი, რომ ჩვენი სიამაყე — ბორჯომის მინერალური წყლები დავიბრუნოთ!***



# ბატონო ბიძინა, დაუბრუნეთ ხაზარაძის მიერ გაყიდული „ბორჯომი“ საქართველოს!




შეიძლება, ბევრმა არც იცის, რომ **„ბორჯომი“** საქართველოს აღარ ეკუთვნის! **ყაჩაღ-ბანკირ მამუკა ხაზარაძის** მიერ შევარდნაძის მმართველობისას ხელში ჩაგდებული ეს ეროვნული სიმდიდრე რამდენჯერმე გადაიყიდა და ბოლოს რუსი მილიარდერის **მიხეილ ფრიდმანის** ხელში აღმოჩნდა!

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ დასავლურ მედიაში პირველად „ბორჯომის“ თემამ გასულ კვირას გაიჟღერა, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ეს მინერალური წყალი ესტონეთსა და ლიეტუვაში სუპერმარკეტების სავაჭრო ქსელიდან ამოიღეს!

მიზეზი ბანალურია: **ბალტიისპირელებმა დასავლური სანქციების კვალდაკვალ საკუთარი დახლებიდან რუსული პროდუქცია გააქრეს!**

„ბორჯომი“ კი სწორედ „რუსულ პროდუქციად“ განიხილება, რადგან მისი მეპატრონე რუსი მილიარდერი **მიხეილ ფრიდმანია!** რუსეთისთვის დაწესებული სანქციების პარალელურად პერსონალური სანქციები კრემლთან დაახლოებულ რუს მილიარდერებსაც დაუწესეს! მათ ჩამოართვეს მრავალმილიონიანი ვილები და იახტები, ასევე გაუყინეს საბანკო ანგარიშები! შესაბამისად, რუსი მილიარდერების კუთვნილი კომპანიების აქციებმა დასავლეთის საფონდო ბირჟებზე კატასტროფული ვარდნა განიცადეს!

წარმოდგენა რომ შეგვექმნას, რა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა ეს **მიხეილ ფრიდმანი,** თვითონ მისი სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს, როცა მედიაგიგანტ „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში ღიად დაიჩივლა, რომ ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდა და დამლაგებლისთვისაც კი ვერ ახერხებს ხელფასის გადახდას!

არადა, რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე ფრიდმანის ქონება 14 მილიარდ დოლარს შეადგენდა, სანქციების შედეგად კი მისი ქონების ღირებულება „ქაღალდზე“ 10 მილიარდია! ანუ მან რამდენიმე დღეში უკვე დაკარგა 4 მილიარდი, მაგრამ დარჩენილი 10 მილიარდიც თითქოს აქვს, მაგრამ ხელი არ მიუწვდება!

ლონდონში მცხოვრები რუსი ბიზნესმენი აცხადებს, რომ საერთოდ არ გააჩნია ნაღდი ფული. მისი თქმით, ევროკავშირის შემდეგ მის წინააღმდეგ სანქციები დიდმა ბრიტანეთმაც დააწესა და სწორედ ამ დღეს აღმოაჩინა „ალფა-ბანკის“ დამფუძნებელმა, რომ მისი უკანასკნელი მოქმედი საბანკო ბარათიც დაიბლოკა!

**„ალბათ, აჯობებს, თავად დავალაგო სახლი. კარგია, რომ, როდესაც სტუდენტი ვიყავი, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი და ერთ ოთახს ოთხ სტუდენტთან ვიყოფდი. ეს გამოცდილება 35 წლის შემდეგ მოულოდნელად გამომადგა“,** — ამბობს ფრიდმანი და სასოწარკვეთილი ამატებს, **„არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო ამის შემდეგ. არ ვიცი, მართლა არ ვიცი“!**

თუმცა, მიხეილ ფრიდმანმა ის კი ზუსტად იცის, რომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაყიდოს დარჩენილი ქონება! და, რა თქმა უნდა, **„ბორჯომიც“,** რადგან ამ მინერალური წყლით ვაჭრობას და ფულის მოგებას უკვე ვეღარ შეძლებს!

რუსმა მილიარდერმა ამის შესახებ უკვე განაცხადა: **„ბორჯომის“ საკონტროლო პაკეტს ვემშვიდობებიო!**

**ჰოდა, ამიტომაც მივმართავთ ბატონ ბიძინას, დაუბრუნოს ჩვენი ეროვნული სიამაყე საქართველოს!**

ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს **„თანამონაწილეობის ფონდით“** მოხდება, პირდაპირი გამოსყიდვით თუ **„აწარმოე საქართველოში“**-ს სახელით ცნობილი პროგრამით, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ **„ბორჯომი“ საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს და ვერავითარმა ხაზარ-ბანკირმა და ჩარჩ-ვაჭარმა ვეღარ უნდა შეძლოს მსოფლიოში ცნობილი ქართული ბრენდის მოღალატეობრივად განიავება!**

*გიორგი გიგაური*



# „ბორჯომის“ მეპატრონე რუსი მილიარდერი მიხეილ ფრიდმანი დასავლეთის სანქციების შედეგად გაკოტრდა და ყველაფერს ყიდის!

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და ცნობილი ანალიტიკოსი, პროფესორი ИГОР*



# იგორ კვესელავა: სააკაშვილმა იცოდა, რომ უკრაინაში ომი იწყებოდა და საქართველოში ამიტომაც შემოვიდა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და ცნობილი ანალიტიკოსი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სიფხიზლეს, სიფრთხილესა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას უქებს და აცხადებს, რომ უკრაინის ომს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივაზე არავითარი გავლენა არ ექნება:***

— უკრაინის ომმა ყველა უბედურებასთან ერთად ორი რამ თვალნათლივ გვიჩვენა — რუსეთი, როგორც ძლევამოსილი სამხედრო დერჟავა, ფაქტობრივად, არ არსებობს! მაგრამ ასევე არ არსებობს ნატოც და ხმები მისი უძლეველობისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ მითია!

**— ბატონო იგორ, თუ ყველა ძალა დანგრეულია, მაშ, ვინ გააჩაღა ომი უკრაინაში?**

— სამაგიეროდ, არსებობს ამერიკის შეერთებული შტატები და ომი უკრაინაში მიმდინარეობს სწორედ ამერიკის სცენარით, რომლის მიზანიც გახლავთ რუსეთის დანგრევა როგორც პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურად!

**— საქართველო რომ ამ საშინელ ომში ჩაერთოს და კავკასიიდან რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გახსნას, ვინ დაგვიდგება გვერდით და ვისი იმედი უნდა გვქონდეს? აშკარაა, რომ გარკვეული ძალები, რომლებთანაც ხატია დეკანოიძე და მისი მსგავსი პირები არიან დაკავშირებული, საქართველოს ომისკენ ექაჩებიან!**

— **ხატია რას ამბობს და ნიკანორი, ეს არ არის მთავარი, მთავარია, რას ამბობს ქართველი ხალხი.** ამ მხრივ სრულად ვიზიარებ საქართველოს პრემიერის მოსაზრებას და ირაკლი ღარიბაშვილს ვეთანხმები იმაში, რომ მან მთავრობასთან ერთად უნდა იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. დღეს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვა იქნება ეროვნული ინტერესებისა და საქართველოს ღალატი! ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებლისა და პირველი პრემიერ-მინისტრის დავით ბენ-გურიონის სიტყვები — **„ის კი არ არის მთავარი, რას ამბობენ ისრაელზე სხვა სახელმწიფოები და ხალხები, მთავარია, რას ამბობს ისრაელზე ებრაელი ხალხი!“** აი, ეს უნდა იყოს ჩვენი ამოსავალი და სამოქმედო გეგმა. დღემდე უპრეცედენტო და არნახული შეზღუდვებია დაწესებული რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ახლავე ვთქვათ, რომ რუსეთი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში სულ სანქციების ქვეშ ცხოვრობს და ამ შეზღუდვებს არ ექნება ის ეფექტი, რისი იმედიც ამერიკასა და დასავლეთს აქვთ. **საბჭოთა კავშირი სანქციებს შეეჩვია, ირანსაც კი ვერაფერი დააკლეს სანქციებით და, ალბათ, რუსეთსაც გაუტკბება ეს სანქციები; რუსეთისთვის საფრთხე არა სანქციები, არამედ უკრაინაში ატეხილი ომია, სადაც მას ანგრევენ და ულიან.**

## როცა უკრაინიდან გამოგზავნილ თვითმფრინავებს, რომლებსაც მოხალისეები უნდა წაეყვანათ, თბილისში დაჯდომის საშუალება არ მისცეს.

**— რატომ არის უკრაინა რუსეთისთვის ასე მნიშვნელოვანი?**

— პირველ რიგში, რუსეთის ისტორია კიევიდან იწყება, ხოლო უკრაინის გარეშე რუსეთი დიდ იმპერიას ვერ კრავს! ამიტომ უკრაინაზე კონტროლის დამყარება რუსეთისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. აქედან გამომდინარე, საქართველო უნდა იყოს ფრთხილად და

## მე ვამართლებ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას,

საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საომრად შეიარაღებულ ხალხს თვითმფრინავებით ვერ გაგზავნის, ამას ჩვენი კონსტიტუციაც კრძალავს და ოპოზიციამ ეს უნდა გაიგოს! ის თვითმფრინავები უკრაინიდან პრეზიდენტმა ზელენსკიმ გამოგზავნა, რათა ამ საშინელ ომში საქართველოც ჩაეთრია! ცალკეული მოხალისეები რუსების წინააღმდეგ იბრძვიან, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება აქედან მოხალისეებს თვითმფრინავებით ვერ გაგზავნის! მოხალისეა **ირაკლი ოქრუაშვილი,** იქ არის **ადეიშვილი,** რომელიც გენერალური პროკურორის მრჩეველია, იქ არის **ბარამიძე,** იქ არის **მერაბიშვილი,** იქ არის **გია ლორთქიფანიძე,** რომელიც ძალიან მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს. ესენიც მოხალისეებს უწოდებენ თავიანთ თავს.

**— ვინ არის ზელენსკი?**

— ამერიკელები მაგ ბიჭს დიდი ხანია, აკვირდებოდნენ. სხვათაშორის, იქ სხვა კანდიდატურებზეც იყო ლაპარაკი, რომლის გაპრეზიდენტებაც შეიძლებოდა, მაგრამ, რადგან ზელენსკის დედა ჰყავს ებრაელი და თან ენას იქნევს, ამერიკელებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს! ცხადია, ზელენსკის პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდა და არც დღეს გაეგება, მაგრამ მას შეუძლია ლაპარაკი და ამ ლაპარაკსა და ენის ქნევაში ინგრევა უკრაინა!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამერიკელებმა რუსეთს უკრაინაში ხაფანგი დაუგეს და პუტინი დიდ ომში შეიტყუეს? პუტინი გაიძახის — მე სხვა გზა არ დამიტოვესო!**

— ზელენსკი ხელისუფლებაში მოიყვანეს ამერიკელებმა და მის გაპრეზიდენტებაში დაიხარჯა დიდძალი ფული. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული ფული, ევროპული ფული არ ყოფილა. **ზელენსკის გაპრეზიდენტება იყო „მშვიდობიანი ომი“ რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც შეერთებული შტატები კრემლის წინააღმდეგ აწარმოებს.**

ტერმინი — **„მშვიდობიანი ომი“** მე-19 საუკუნეში გაჩნდა. დღეს ამერიკა იპყრობს **„მშვიდობით“, „რბილი ძალით“...** ეს ის ტერმინებია, რომლის შესახებაც საქართველოს პარლამენტში მსხდომთა 99 პროცენტს წარმოდგენა არა აქვს. იგივე ეხება ე.წ. ქუჩის ოპოზიციასაც. ამერიკას რუსეთის გარდაქმნა უნდა **„მშვიდობით“,** კრემლის სათავეში კი ისეთი ძალის მოყვანა სურთ, რომლის მფარველიც ამერიკა იქნება. აი, მაგალითად, რუსი მწერალი **ვიქტორ შენდეროვიჩი,** რომელიც იანვარში რუსეთიდან გაიქცა, აცხადებს — დიქტატორი პუტინი უნდა მოკვდეს და მისი მკვლელობის ფაქტი უნდა იქცეს რუსეთის ეროვნულ დღესასწაულადო! შენდეროვიჩი ამას მარტო ვერ იტყოდა, ეს მას ათქმევინეს. **აი, ასეთ დაპირისპირებამდეა საქმე მისული და ამიტომაც ვამბობ, რომ საქართველოს განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე მართებს!** რუსეთის ისტორიამ ნამდვილი დიქტატორები იცის... ბედის ირონიით, პუტინი მათ შორის ნამდვილი ლიბერალია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა უკრაინის ომამდე.

## თუ პუტინი წავიდა, ნუ ეგონება დასავლეთს, რომ რუსეთში არჩევნებს გერმანელებსა და ფრანგებს ჩაატარებინებენ. რუსეთის ისტორია, მთელი მისი განვლილი ცხოვრება ამის მაგალითია.

სხვათაშორის, პუტინსა და ზელენსკის შორის თავიდან არ იყო ასეთი მძიმე ურთიერთობა და არსებობდა იმის შანსი, რომ ეს ორი უდიდესი სლავი ერი — რუსები და უკრაინელები ერთად ყოფილიყვნენ, მაგრამ...

**— მაგრამ რა მოხდა?**

— არც ზელენსკი იყო ამ ურთიერთობის წინააღმდეგი, მაგრამ რუსეთისა და უკრაინის ერთად ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს! **სწორედ ამერიკამ გააქეზა ზელენსკი, რომელსაც გარშემო შემოუსვა საქართველოდან გაქცეული ქართველები, რომლებიც თავს ლიბერალობაზე დებენ, მაგრამ სინამდვილეში არიან „ქორები“...** კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამერიკასა და დასავლეთს იმის შიში აქვთ, რომ, თუ რუსეთი და უკრაინა ერთად იქნებიან, მაშინ რუსეთი დიდ იმპერიას შეკრავს. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო რუსეთის განახლებული იმპერიის შექმნა, უკრაინაში დაიწყო ის, რაც დაიწყო! **„მაიდნის“ გადატრიალება მოეწყო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უკრაინაში ამერიკელებს დაესვათ ანტირუსული ხელისუფლება.**

**— იცოდა თუ არა სააკაშვილმა, რომ უკრაინაში ომი უნდა დაწყებულიყო და იმიტომაც შემოვიდა საქართველოში?**

— სააკაშვილმა იცოდა, რომ უკრაინაში ომი იწყებოდა და საქართველოში ამიტომაც შემოვიდა! სააკაშვილი საქართველოში ამერიკელების გარეშე არ შემოსულა. მას უნდა აერია სიტუაცია და მოეხდინა გადატრიალება... სააკაშვილმა თავის მიზანს მიაღწია და ქვეყანაში სიტუაცია მართლაც არია. არეულია პარლამენტი, არეულია ხალხი და არეულია ქუჩა. გავიხსენოთ, რა თქვა ზელენსკიმ — ყველაფერს აღვადგენთ, მთელ უკრაინაში უკეთეს სახლებს ავაშენებთო! მერედა, ვინ ააშენებს და აღადგენს ამხელა ქვეყანას, სადაც შენობა აღარ დატოვეს მთელი? ცხადია, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ამერიკული ფულით, რადგან სწორედ ამერიკელებს აქვთ იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქვეყანა თავიდან ააშენონ. აქედან გამომდინარე, უნდა ეს



## „საქართველოში არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც ძალაუფლებას ხელში აიღებს!“



## „გაიგოს ამ ოპოზიციამ, რომ არ შეიძლება, საქართველომ რუსეთს ომი დაუწყოს!“

## კვირგვინოსნები

**ვაჟო გელაშვილი**
*„შეაჩერე კორუფციას“ თანადამფუძნებელი*



**უკრაინაში ძალიან დიდ პატივს გვცემენ ქართველებს** და არ უნდა ეს ყვირილი, პრორუსული ხელისუფლება გვყავს, ეს გვყავს, ის გვყავს. უკრაინას გვერდით არ უდგას და ა.შ. ჩვენ ჭირს ჩვენვე მივხედოთ შიგნით და არ უნდა ამდენი კივილი საქვეყნოდ. **თუ რამის თავი აქვს ოპოზიციას, გააკეთოს, თუ არა და წავიდნენ, ყანა თოხნონ.**

„ალია“

**გიორგი ფუხაძე**
*ჟურნალისტი*



**საქართველო ძალიან დიდი საფრთხის ქვეშაა** და ზუსტად დანის პირზე გავდივართ, **არ ვართ 44-მილიონიანი უკრაინა, რომელსაც შესწევს ძალა, ეომოს რუსეთს,** თუნდაც ორი კვირა. ამ წუთისთვის **ჩვენ ვზივართ ნაღმზე,** რომელიც შეიძლება ყოველ წუთს აფეთქდეს.

„ალია“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



პარლამენტიდან **უკრაინაში გაგზავნილ დახმარებაში ნაციონალურ მოძრაობასა და „ლელოს“ მონაწილეობა არ მიუღიათ,** სპეციალურ ანგარიშზე მათგან არცერთი თეთრი არ შესულა.

ოპოზიცია იცლის იმისთვის, რომ საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ **ჰიბრიდული ომი** გააჩაღოს.

„ინტერპრესნიუსი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



ვინც ამბობს, მოლაპარაკება არ უნდა შედგესო, **წავიდნენ და უკრაინელებთან ერთად იომონ.** ვისაც რა შეუძლია, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან, მინიმუმ, ცეცხლის შეწყვეტაზე იქნეს მიღწეული შეთანხმება. **რას ნიშნავს, პუტინთან შეხვედრა არ არის საჭირო?**

„პირველი არხი“

## პროფესორის სიტყვა

# „ირაკლი ღარიბაშვილმა დიდი გამოცდილება მიიღო, პოლიტიკის სიღრმეებში ჩაიხედა და დღეს იქცევა ისე, როგორც ქვეყნის პასუხისმგებელი ლიდერი!“



ვინმეს თუ არა, დაქცეული უკრაინის აღმდგენი, აშენებელი და მფარველი ხდება ამერიკა. **აქამდე ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინის მფარველი არ ყოფილა, მხარდამჭერი იყო, მაგრამ ამ ომით ამერიკა უკრაინის მფარველი გახდა!**

**— როგორ იმოქმედებს უკრაინის ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე?**

— ამ ომს ჩვენთვის დადებითი გავლენა ექნება ერთადერთ შემთხვევაში — რუსეთი უკრაინასთან ისე უნდა დამარცხდეს, რომ დაშლა დაიწყოს! ეს კი არ მოხდება, რადგან რუსეთის წაქცევით არც დასავლეთი და არც ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არ არიან. გაიგოს ამ ოპოზიციამ, რომ არ შეიძლება, საქართველომ რუსეთს ომი დაუწყოს! არ შეიძლება, ნატოს ჯარები შემოვიდეს საქართველოში და საქართველოს ცა გადაიკეტოს! ეს მსოფლიო ომი იქნება და ამას ყველა ერიდება, თუმცა, დღეს ისეთი ვითარებაა, მსოფლიო ომი რუსეთს უფრო აწყობს, ვიდრე ევროპასა და ამერიკას!

**— ირაკლი ღარიბაშვილს ოპოზიციის ერთი ნაწილი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს და უკრაინის ომში ჩართვას პირდაპირ თუ არა, ირიბად მოითხოვს!**

— ირაკლი ღარიბაშვილმა დიდი გამოცდილება მიიღო, პოლიტიკის სიღრმეებში ჩაიხედა და დღეს იქცევა ისე, როგორც ქვეყნის პასუხისმგებელი ლიდერი. მან ძალიან კარგად იცის, რას წარმოადგენს რუსეთი, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები და აბსოლუტურად სწორად იქცევა, რადგან რუსეთი ელოდება საბაბს, რათა დანარჩენ საქართველოშიც შემოიჭრას. ის ფაქტი, რომ პუტინმა **კადიროვი** მოისვა გვერდით, რომელიც აცხადებს — ბატონო პრეზიდენტო, ნებისმიერი თქვენი დავალების შესასრულებლად მზად ვარო! — სიმპტომატურია. არ გამოვრიცხავ, პუტინმა კადიროვი კიდევ უფრო დააწინაუროს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში აუცილებლად მოხდება სახელისუფლებო ცვლილება, მაგრამ ეს ცვლილება არ შეეხება პუტინს.

**— მოხდება თუ არა სახელისუფლებო ცვლილება საქართველოში?**

— თუ განსაკუთრებული რამ არ მოხდა, საქართველოში სახელისუფლებო ცვლილებას უახლოეს მომავალში არ ველოდები, რადგან ჩვენთან არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც ძალაუფლებას აიღებს ხელში! ლაყაფითა და ენის ტლიკინით ქვეყნის სათავეში ვერავინ მოვა. **როგორც სლავები დაუპირისპირეს ერთმანეთს, ისე უნდათ საქართველოში ქართველების დაპირისპირება და ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, რასაც აუცილებლად მოჰყვება სისხლი. აი, ეს რომ არ ხდება, ამისათვის მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს.** ხელისუფლება საქართველოში 2024 წელს შეიცვლება! ერთი რამ ფაქტია — დასავლეთი საქართველოში კოალიციურ მთავრობას ამზადებს! სალომე ზურაბიშვილის ფრაზა, რომ ევროინტეგრაციის მინისტრი ოპოზიციის კანდიდატი უნდა იყოს, სწორედ ამერიკელების გეგმაა. ეს მათ უთხრეს პრეზიდენტს და ზურაბიშვილმა მათი გზავნილი გაახმოვანა! არ მინდა, ამ თემას სიღრმეში ჩავყვე, მაგრამ არაერთგზის მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **საქართველო არ არის მზად საპარლამენტო რესპუბლიკისთვის, მე საპრეზიდენტო მმართველობის შერეულ, დეგოლისეულ მოდელს ვემხრობი.** ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ამ მოდელს მიიჩნევდა იდეალურად საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებლისა და პირველი პრემიერ-მინისტრის დავით ბენ-გურიონის სიტყვები — „ის კი არ არის მთავარი, რას ამბობენ ისრაელზე სხვა სახელმწიფოები და ხალხები, მთავარია, რას ამბობს ისრაელზე ებრაელი ხალხი!“**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



**რუსეთი უკრაინას ებრძვის, ნაცმოძრაობა — საქართველოს.**

„საერთო გაზეთი“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლიბერტარიანული პარტიის წევრი*



დღეს **„ქოცებში“** უფრო მეტი **ნაცია,** ვიდრე — **ნაცებში.**

„ახალი თაობა“

**მამუკა გამყრელიძე**
*ყოფილი დიპლომატი*



წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა **უგუნური საქციელი,** როდესაც რუსეთთან ცალმხრივად გაამარტივა სავიზო რეჟიმი.

„ახალი თაობა“

## დედა ნახე...

***საკაშვილის ტუსაღობის ექვსი თვის თავზე უკვე სრულიად სანაცეთის ვირის ტვინშიც კი გადახარშეს, რომ მათი ფიურერი კიდევ კარგა ხანს იჯდება ციხეში. აგერ, სააკაშვილის დედაც კი მიხვდა, რომ იგი სულ ტყუილად შემოიპარა საქართველოში ყბადაღებული არაჟნის კონტეინერით.***

# კი, ქალბატონო გიული, თქვენმა შვილმა ზუსტად ის მიიღო, რაც დაიმსახურა — დედის გინება!





დიახ, გიული ალასანიამ პირველად გააკეთა ეს აღიარებითი ჩვენება, როდესაც „ტვ პირველის“ ეთერში სიტყვასიტყვით განაცხადა: **„ძალიან მწყდება გული, რომ ჩამოვიდა ჩემი შვილი! ახლა პირველად ვამბობ, მწყდება გული. ეს იყო დიდი შეცდომა მისი მხრიდან. რა მიიღო? რა მივიღეთ?“**

ასეა, სააკაშვილის ჩამოსვლით უნდა მიეღოთ **„არაჟნის რევოლუცია“** და მიიღეს **„პარაშასთან ევოლუცია“!** საქართველოში ჩამოსული სააკაშვილი რევოლუციურ თეთრ ცხენზე ამხედრებული უნდა ასულიყო ტახტზე და ბორკილებდადებული ავიდა ციხის საკნის ნარზე!

**გიული ალასანიას ეს აღიარებითი ჩვენება იმის გამო აღმოხდა, რომ ნათლად დაინახა: ქართველებს ფეხზე ჰკიდიათ სააკაშვილის პატიმრობა!** არადა,

**ნაცებს ეგონათ, რომ უკრაინისადმი სოლიდარობის ხალხმრავალ აქციებზე მიტმასნით კვლავ წამოწევდნენ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების საკითხს, მაგრამ რამდენჯერაც კი იმ მიტინგებზე „პუტინის პირადი პატიმარი სააკაშვილი“ ახსენეს, აქციაში მონაწილეებმა მაშინვე მიშას დედის გინება და სტვენა ატეხეს!**

ჰოდა, სწორედ ამიტომ თქვა ზემოხსენებულ სატელევიზიო გამოსვლაში მიტინგებზე ასე არასაპარლამენტო გამონათქვამებით ხსენებული

## გიჟი ქალაქს მიდიოდა — რა მიიღო? რა მივიღეთ?

მა **გიული ალასანიამ** უკმაყოფილოდ: **„უკრაინის სიყვარულში ნურავინ ნუ შემეჯიბრება, ძალიან კარგია, მაგრამ რას ნიშნავს ის, როცა ჩემი შვილის სახელის ხსენებაზე სტვენა იწყება? უკაცრავად, რა ჰქვია ამას, ვერ გავიგე? რა მივიღეთ საბოლოოდ? რა ხდება? ეს უნდა მიეღო საზოგადოებისგან ჩემს შვილს?“**

კი, ქალბატონო გიული, თქვენმა შვილმა ზუსტად ის მიიღო, რაც დაიმსახურა — დედის გინება!

**დიახ, ქალბატონო გიული, თქვენმა მიშამ რაც დათესა, იმას იმკის — მისი სახელის გაგონებაზე ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგეებსაც კი გულისრევის შეგრძნება აქვთ!** თუმცა, ეს იქით იყოს, **სააკაშვილის დედამ თავისი საჯაროდ გამოთქმული გულისტკივილით, უპირველეს ყოვლისა, აი, ეს თქვა:** საქართველო ჩემი შვილის ღირსი არ არისო! და კიდევ, თავისი შვილის ნაცსექტა საბოლოოდ გააფარჩაკა — **თქვენი გულისთვის ჩამოვიდა საქართველოში არაჟნის კონტეინერით და მისი ციხიდან გასათავისუფლებლად ქუჩაში ხალხის გამოყვანაც კი ვერ შეძელითო!**

მოკლედ, მუნჯის ენა დედამ იცისო და სააკაშვილის დედაზე უკეთ ვინ იცის, რა „ჩე გევარა“ შვილიც ჰყავს! მოკლედ, სულ ტყუილად იბრალებს სააკაშვილი ჯორჯ ვაშინგტონობასა და ნელსონ მანდელობას! სულ ტყუილად აბრალებენ მას ნაცქლესა თანაპარტიელები, მიშას მასშტაბის პოლიტიკოსი და სტრატეგოსი ცოტა თუ დადის დუნიაზეო! **აგერ, დედამისმაც კი აღიარა, რომ სააკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლით დიდი შეცდომა დაუშვა!**

ახლა, დედაა და მთლად იმას ხომ არ აღიარებს ასე სახალხოდ — ჩემი შვილი თავიდან ბოლომდე ბუნების შეცდომააო?!

**არადა, მართლაც არის!**

***გიორგი გიგაური***



# გიული ალასანია: მიშას საქართველოში ჩამოსვლა შეცდომა იყო!

*საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **სოზარ სუბარი** ჩვენთან ინტერვიუში კონკრეტული ფაქტების მოხმობით ხდის ნიღაბს ნაციონალურ მოძრაობას, როგორც პროდასავლურობას ამოფარებულ რუსულ ძალას. თუმცა, ჩვენს რესპონდენტთან საუბარი იმ პრეტენზიით დავიწყეთ, რომელსაც ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ ბოლო დღეების განმავლობაში უყენებს.*

# 8 ფაქტი,

## რომლითაც დასტურდება, რომ ნაციონალური მოძრაობა რუსეთის მეხუთე კოლონა და საქართველოს მოღალატეა!

**— ბატონო სოზარ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, მინდა, გაგიზიაროთ ჩემი, როგორც საქართველოს მოქალაქის, უკიდურესი აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში კვლავ აძლევს ენის ტლიკინისა და მორალის კითხვის საშუალებას ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ხატია დეკანოიძეს, რომელმაც უკრაინულ ტელეარხზე გამოსვლისას ქართული სახელმწიფო პუტინის მოკავშირეობასა და მშვიდობიანი უკრაინელების ხოცვა-ჟლეტის თანამონაწილეობაში დაადანაშაულა! პირდაპირ გეკითხებით — რატომ არ სცემთ საკადრის პასუხს ასეთ სამარცხვინო და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ დეპუტატს?**

— **ხატია დეკანოიძემ** მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას კი არა, ფაქტობრივად, მთელ ქართველ ხალხს დასწამა ცილი, თითქოს რუსეთთან ვთანამშრომლობთ და უკრაინის საწინააღმდეგო ქმედებებში ვმონაწილეობთ. **პირდაპირ ვამბობ, რომ დეკანოიძის განცხადება, პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ინტერესების ღალატია, მაგრამ ეს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად ვერ ჩაითვლება, რადგან სახელმწიფოს ღალატისათვის ბრალის წაყენებას დანაშაულის სხვაგვარი შემადგენლობა და სხვა მტკიცებულებები სჭირდება.**

საერთოდ, დეკანოიძე არის იმ პოლიტიკური ძალის წევრი, რომელიც საქართველოში მეხუთე კოლონას წარმოადგენს და მუდმივად ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ამომრჩევლის 25-30 პროცენტის მხარდაჭერით სარგებლობს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს საქართველოს მოსახლეობის იმ არცთუ მცირე ნაწილის, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მტერს — ნაციონალურ მოძრაობას აძლევს ხმას.

**— საქართველოს პარლამენტის წევრის მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები მისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი არ უნდა გახდეს?**

— საქართველოს კანონმდებლობა ასეთ რამეს არ ითვალისწინებს! ეს ის შემთხვევაა, როცა მთავარი სიტყვა პოლიტიკოსებმა კი არა, საზოგადოებამ უნდა თქვას — **ქართველმა ამომრჩეველმა არ უნდა მისცეს ხმა იმ პარტიას, რომელსაც არაერთხელ გამოუჩენია თავი საქართველოს ინტერესების ღალატით და დღესაც იმავეს აკეთებს!**

**— მაშ, დაასახელეთ კონკრეტული ფაქტები, რომლითაც დასტურდება, რომ ნაციონალური მოძრაობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მტერი და მოღალატეა!**

— ნაციონალური მოძრაობის მოღალატეობის დასამტკიცებლად თუნდაც 2008 წლის 2 ოქტომბერს სტრასბურგში მიღებული ევროსაბჭოს რეზოლუცია კმარა, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

### ფაქტი პირველი:

*ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი მოაწერა იმას, რომ 2008 წელს ცხინვალში ომი საქართველომ დაიწყო, რუსეთი კი მხოლოდ თავს იცავდა;*

### ფაქტი მე-2:

*ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი მოაწერა იმას, თითქოს საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომში მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებდა აკრძალულ იარაღს, მათ შორის, კასეტურ ბომბებს;*

### ფაქტი მე-3:

*ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი მოაწერა იმას, თითქოს საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომში დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, დაარღვია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.*

ყოველივე ეს გახლავთ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საქართველოს შეგნებული და გამიზნული ღალატის ნათელი დადასტურება!

**— კონკრეტულად, რით მტკიცდება, რომ ნაციონალებმა ეს ყველაფერი გამიზნულად ჩაიდინეს და არა, ვთქვათ, უგუნურებითა და სიბრიყვით?**

— მაშინ გავაგრძელოთ კონკრეტული ფაქტების ჩამოთვლა.

### ფაქტი მე-4:

*ძალიან ავტორიტეტიანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია **„ჰიუმან რაითს ვოტჩი“** 2008 წლის აგვისტოში ჩადენილ ომის დანაშაულებს იძიებდა და საქართველოს მაშინდელმა მაღალი თანამდებობის პირებმა გამოძიებას პირდაპირ დაუდასტურეს, რომ ქართული მხარე ნამდვილად იყენებდა კასეტურ ბომბებს. ეს მაღალჩინოსნები იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგი კაპანაძე,** უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე **ბათუ ქუთელია** და თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რომლის გვარიც არ მახსოვს;*

### ფაქტი მე-5:

*სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, მაგრამ 2012 წელი ისე დადგა და „ქართული ოცნება“ ისე მოვიდა ხელისუფლებაში, რომ ნაციონალურ მოძრაობას ევროპის სასამართლოში რუსეთის საწინააღმდეგო არცერთი მტკიცებულება არ ჰქონდა წარდგენილი. მეტიც, ზოგიერთი მტკიცებულება, რომელიც რუსეთის დანაშაულს ამტკიცებდა, საერთოდ გააქრეს და ჩვენს ხელისუფლებას უზარმაზარი შრომა დასჭირდა, რომ ეს მტკიცებულებები მოგვეძიებინა;*

### ფაქტი მე-6:

*ნაციონალურმა მოძრაობამ გააქრო სწორედ ის აკ-*



## სოზარ სუბარი:

## ეს გახლავთ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საქართველოს შეგნებული და გამიზნული ღალატის ნათელი დადასტურება!

**„ძალიან მიკვირს საქართველოს მოსახლეობის იმ არცთუ მცირე ნაწილის, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მტერს – ნაცმოძრაობას აძლევს ხმას!“**

## კვირგვინოსნები

**ლელი მოროშკინა**
*ჟურნალისტი, პიარის სპეციალისტი*



ომის არ გვეშინიაო, **აბა, რა „პონტში“ დააცარიელეთ ერთ წამში მაღაზიები?** ესაა პატრიოტიზმი? **აქ რომ ერთი ნაღმი აფეთქდეს, ამდენ „გმირს“ რა ეშველება?** ბურღულეული კი არა, **პამპერსები მოიმარაგეთ, თქვე სულით ძონძებო!**

ფრთხილად, **დიდი პროვოკაცია მზადდება ჩვენს ომში ჩასათრევად!** **იგეგმება** რუსი ჟურნალისტის მკვლელობა საქართველოში! **იგეგმება** საქართველოს გაპარტახება და შემდეგ უკრაინიდან ჯალათი ნაცების დაბრუნება!

„GTMEDIA“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პროფესორი, ფილოსოფოსი*



მიმაჩნია, **ის რომ საქართველო სანქციებს არ შეუერთდა, იყო სავსებით ბუნებრივი, ლოგიკური და გასაგები.** ეს არის ელემენტარული წინდახედულობა. **ზელენსკი** და უკრაინელი ხალხი **ბაიდენს** ეხვეწება: ცა გადაკეტე, პოლონური „მიგ“-ები გამოგვიგზავნე. ორივეზე მყარად განაცხადა უარი ბაიდენმა. ამან გამოიწვია დიდი გაღიზიანება. მაგრამ **სადაც აშშ, რომელიც დღეს უკრაინელების მთავარი იმედი და დასაყრდენია, იჩენს ასეთ წინდახედულობას, რატომ უნდა უკვირდეს ჩვენს საზოგადოებას?** შეიძლება ჩვენ პირდაპირი სამხედრო აგრესიის ობიექტი გავხდეთ ხვალ და **ხელისუფლება და პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, გამოიჩინოს წინდახედულობა.** მითუმეტეს, ეს სანქციები რუსეთს საერთოდ არაფერში არ დაარტყამს და დაგვარტყამს ჩვენ.

„TV იმედი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*



ყველა ჯანმრთელ, სრულწლოვან მოქალაქეს უნდა შეეძლოს **იარაღის ფლობა-ტარება** ისევე, როგორც მანქანის ტარება შეუძლია.

„ახალი თაობა“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ ლიდერი*



**ოკუპანტმა რუსეთმა** უნდა იცოდეს, რომ **საქართველოში იოლად ვერ გამოისეირნებს.**

„კვირის პალიტრა“

# „ნაცმოძრაობის აბსოლუტურად ყველა ქმედებიდან ჩანს, რომ ეს არის რუსული ძალა!“



*რძალული კასეტური ბომბების ნარჩენები, რომლებსაც 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთი იყენებდა და რომლის გამოყენებასაც შემდეგ აქეთ გვაბრალებდა. ეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება სააკაშვილის ხელისუფლებას ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტაციის გარეშე ჰქონდათ გატანილი ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში.*

**— ნაცების მიერ გადამალული ეს მტკიცებულება თქვენმა ხელისუფლებამ აღმოაჩინა?**

— დიახ, ჩვენ უდიდესი ძალისხმევის ფასად დავიბრუნეთ ეს მტკიცებულება და წარვადგინეთ სტრასბურგის სასამართლოში. რუსები შოკში ჩავარდნენ, როცა სასამართლოს დარბაზში რუსული კასეტური ბომბის უზარმაზარი ნარჩენი — რამდენიმეტონიანი მასა შევიტანეთ და სტრასბურგის სასამართლოში საქმე მოვიგეთ.

**— გავაგრძელოთ ფაქტების ჩამოთვლა!**

### ფაქტი მე-7:

*სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოშიც, მაგრამ, სტრასბურგის სასამართლოს მსგავსად, იქაც არანაირი მტკიცებულება არ წარადგინა, რის გამოც ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ საქართველოს სარჩელი წარმოებაშიც არ მიიღო და სამარცხვინოდ წააგო ნაციონალურმა მოძრაობამ, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს წაგებას ნიშნავდა;*

### ფაქტი მე-8:

*ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომელიც ომის კონკრეტულ დამნაშავეებს ავლენს და მათი დაპატიმრების სანქციას გასცემს, რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რაშიც მე, როგორც მაშინდელმა სახალხო დამცველმა, სერიოზული მონაწილეობა მივიღე. სააკაშვილის რეჟიმი ამ სარჩელის წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდა და ოთხი წლის განმავლობაში, სანამ ნაცები ხელისუფლებაში იყვნენ, რუსეთის საწინააღმდეგო არცერთი მტკიცებულება არ წარადგინეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ჰააგის ტრიბუნალთან აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ, რაზეც მაშინ ჯერ კიდევ უკრაინაში მყოფმა სააკაშვილმა კივილი ატეხა — „ქართულ ოცნებას“ ჩემი დაჭერა და ქართველი ჯარისკაცების გასამართლება უნდაო! სინამდვილეში, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რისთვისაც სააკაშვილის ხელისუფლებას თითი თითზე არ დაუკარებია — ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში დავამტკიცეთ, რომ 2008 წელს რუსეთი შემოიჭრა საქართველოში, ომში გამოიყენა აკრძალული იარაღი, განახორციელა ცხინვალის რეგიონსა და კოდორის ხეობაში მცხოვრები ქართველების ეთნიკური წმენდა და ჩაიდინა დანაშაულები კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.*

სულ ახლახან ჰააგის ტრიბუნალმა პირველი განაჩენი გამოიტანა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის სამი წარმომადგენლის წინააღმდეგ და გამოსცა მათი დაპატიმრების სანქცია. დამნაშავედ იქნა ცნობილი მეოთხე პირიც — **რუსი გენერალი ბორისოვი,** რომელიც აწ უკვე გარდაცვლილია. სხვათაშორის, ეს ის გენერალი ბორისოვია, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს შიდა ქართლის მაშინდელი გუბერნატორი **ვარძელაშვილი** „შოფრად“ (მძღოლს შეგნებულად არ ვამბობ) ემსახურებოდა ისევე, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის იმჟამინდელი გუბერნატორი **ბოროზია** მუშაობდა რუსი გენერლის **ჩაბანის** მძღოლად ზუგდიდში.

**— ყველა ეს ფაქტი, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, არის თუ არა იმის დასტური, რომ ნაციონალური მოძრაობა არათუ პრორუსული, არამედ პირდაპირ რუსული ძალაა?**

— დიახ, **ნაციონალური მოძრაობის აბსოლუტურად ყველა ქმედებიდან ჩანს, რომ ეს არის რუსული ძალა!**

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ ამ რუსული ძალის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე უკრაინის ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინათ კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა?**

— ეს აბსოლუტურად მიუღებელი ქმედებაა, მაგრამ ამაზე მეტს ახლა არ ვიტყვი, რადგან უკრაინა ომშია და უკრაინელი ხალხი არის გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი ნებისმიერი ხელისუფლის ქმედება!

რაც შეეხება კონკრეტულად **ლორთქიფანიძეს,** იგი ბრალდებულია უმძიმეს დანაშაულებში, მათ შორის, ადამიანის წამებაში, ხოლო მისი ბოლო ბრალდება ის არის, რომ ძებნილ სააკაშვილს დაეხმარა, ჯერ უკანონოდ გადაეკვეთა უკრაინის სახელმწიფო საზღვარი და მერე უკანონოდ შემოსულიყო საქართველოში! რა მიზნით შემოდიოდა სააკაშვილი საქართველოში და ვინ იდგა ლორთქიფანიძის ზურგს უკან, როცა იგი სააკაშვილს ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ეხმარებოდა? ამის განსჯაში ახლა არ შევალ ისევ და ისევ იმ მიზეზით, რომ უკრაინაში ომია და ჩვენი მეგობარი უკრაინელი ხალხი უმძიმეს მდგომარეობაშია.

ამასწინათ ისიც გახდა ცნობილი, რომ **ვანო მერაბიშვილიც** უკრაინაში იმყოფება და აცხადებს, თითქოს ის და **ზურაბ ადეიშვილი** უკრაინის ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შეგროვებაში ეხმარებიან. ეს ხალხი 2008 წლის ომის შემდეგ კიდევ ოთხი წელიწადი იყო საქართველოს ხელისუფლებაში, ადეიშვილი იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი ბრძანდებოდა, მერაბიშვილი კი — შინაგან საქმეთა მინისტრი და მერე — პრემიერი და სწორედ მათ ევალებოდათ, შეეგროვებინათ და ჰააგაში გაეგზავნათ რუსეთის დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ ეს არ გააკეთეს ისევე, როგორც არცერთი მტკიცებულება არ წარადგინეს სტრასბურგის სასამართლოში. **ნამდვილად არ მესმის, დღეს მერაბიშვილი და ადეიშვილი როგორ უნდა დაეხმარონ უკრაინას ჰააგაში წარსადგენი მტკიცებულებების შეგროვებაში? თუ მათ ამის ინტელექტუალური რესურსი მართლა გააჩნიათ და ეს საქართველოს სასარგებლოდ არ გამოიყენეს, მაშინ კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ ისინი არიან რუსული ძალა, რომელმაც კრემლს ყველანაირი შანსი მისცა, 2008 წელს საქართველო დაეპყრო და ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობა ეღიარებინა.**

**— ყველა ხედავს, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარედანაც დიდი წნეხია იმ ფრთხილი და მოზომილი პოლიტიკის გამო, რომელსაც იგი უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ატარებს. გაქვთ პოლიტიკური და მორალური რესურსი იმისათვის, რომ არ გადაუხვიოთ არჩეულ კურსს, რომელიც საქართველოს ომში არჩართვას და მშვიდობის შენარჩუნებას გულისხმობს?**

— ჩვენ ზუსტად ვიცით ერთი რამ — ისტორია განგვსჯის არა იმის მიხედვით, რამდენად გავუძელით ბულინგს ნაციონალური მოძრაობისა და სხვა უსამშობლო პარტიებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ან საქართველოს „კეთილმოსურნე“ ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან, არამედ ისტორია განაჩენს გამოგვიტანს იმის შესაბამისად, ურთულეს ვითარებაში რამდენად შევძელით, შეგვენარჩუნებინა მშვიდობა, ყველაფრის ფასად გადავფარებოდით საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს, ჩვენი ქალაქები და სოფლები დაბომბვისაგან გადაგვერჩინა და კიდევ ახალი ტერიტორიების ოკუპაცია აგვეცილებინა. ეს არის ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანი და ამისათვის გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია და არ შეგვიძლია!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ენდელაძე**
*სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების სპეციალისტ-ანალიტიკოსი, გენერალ-მაიორი*



ჭკვიანად რომ ვიყოთ, **ეს რუსეთისთვის კოჭის გაგორება კი არა, სახელმწიფოებრივად აზროვნებაა.** შემოჭრის საბაბი რუსს უამრავი აქვს და მომიტინგეებს მივმართავდი, ღმერთი არ გაუწყრეთ და ომის მოწოდების მსგავსი არაფერი დაიძახონ.

**შევარდნაძეც** ამბობდა, რომ **სააკაშვილი** რუსეთ-ამერიკის ერთობლივი პროექტია... **ამერიკასა და მთელ დასავლეთში 30 წლის შემდეგ სპეცსამსახურები არქივებს ხსნიან. მოესწრებით ამ მასალების გახსნას.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



მახსოვს, **სალომე ზურაბიშვილი** 2007 წლის 7 ნოემბერს ქოლგით ხელში როგორ იგერიებდა მანიაკებს — გამოგზავნილს **მერაბიშვილისა და სააკაშვილის** მიერ, სიმართლე გითხრათ, ამის გამო დავუჭირე მხარი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი გახდა. **მინდა, ვუსურვო, რომ იმ გადმოსახედიდან შეხედოს დღევანდელობას, ხელისუფლების დღევანდელ ოპონენტებს, რომლებიც არ შეცვლილან, სხედან და ფიქრობენ, როგორ დაამხონ ქვეყანა.**

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ამ ბრძოლის შორიდან ყურება არ შემეძლო. ამიტომაც **აქ ვარ, უკრაინაში,** მოხალისე მებრძოლთა უცხოურ ლეგიონში.

„იმედინიუსი“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



„ქართულმა ოცნებამ“ **კუდიანებზე ნადირობის ახალი სეზონი გახსნა. მთავარ კუდიანად** გამოცხადებული ჰყავთ **სალომე ზურაბიშვილი. პატარ-პატარა კუდიანები** არიან ოპოზიციის წარმომადგენლები.

„აიპრესი“



*უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ სახელოვან ქართველ ფალავანს, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, აფხაზეთიდან დევნილ* ***ლუკა კურტანიძეს*** *ვესაუბრებით:*

# ლუკა კურტანიძე:

# მოვუწოდებ ხელისუფლებას,

## ადეკვატური და ძლიერი პასუხი გასცეს ყველა პროვოკაციასა და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა სჩადის!

— როგორც ჩანს, ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ ნახევრად საომარ ვითარებაში ვართ, რადგან რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული და ჯარი თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრში უყენია! ეტყობა, აღარც ის ახსოვთ, რამხელა ტრაგედია გამოვიარეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, როგორ იქცა დევნილად თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი და როგორ მარტოდმარტო ვიყავით დარჩენილი რუსეთის პირისპირ 2008 წელს სამაჩაბლოშიც, როცა მსოფლიოსაგან იმის მეათედი მხარდაჭერაც კი არ გვქონია, რაც დღეს უკრაინას აქვს!

**— „ზოგიერთებში“ რადიკალურ ოპოზიციას გულისხმობთ ნაციონალური მოძრაობის თამადობით?**

— ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციას ვერ დავარქმევ, რადგან მის კისერზე უამრავი სისხლიანი დანაშაულია! ფაქტია, რომ სააკაშვილის სექტის წარმომადგენლები თავიანთი პროვოკაციული განცხადებებით ცდილობენ, საქართველო ომში ჩაითრიონ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დღევანდელი ხელისუფლება პირნათლად მისდევს იმ პოლიტიკას, რომელიც 2012 წლიდან **ბიძინა ივანიშვილმა** დასახა — ეს არის ფრთხილი, მოზომილი და გონივრული პოლიტიკა, რომელიც საქართველოს გადარჩენას, ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ემსახურება.



**„დღეს ქართულ სახელმწიფოს ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული გუნდის სახით ჰყავს პატრონი, რომელიც ახერხებს, ქვეყანას ყველა ხიფათი მაქსიმალურად აარიდოს!“**

დღეს ქართულ სახელმწიფოს **ირაკლი ღარიბაშვილისა** და **ბიძინა ივანიშვილის** მიერ ჩამოყალიბებული გუნდის სახით ჰყავს პატრონი, რომელიც გადაწყვეტილებებს ემოციებზე აყოლით კი არა, გონების კარნახით იღებს და ახერხებს, ქვეყანას ყველა ხიფათი მაქსიმალურად აარიდოს.

**— თუმცა, რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლების ფრთხილ და მოზომილ პოლიტიკას სილაჩრედ და რუსეთის მოკავშირეობად ნათლავს, რის გამოც პრემიერ-მინისტრის გადადგომასაც კი ითხოვენ!**

— როცა პრემიერ-მინისტრმა მკვეთრი განცხადება გააკეთა — **საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდება, რადგან ეს ჩვენს ქვეყანას დააზიანებსო** — ძალიან კარგად იცოდა, რა მოჰყვებოდა ამას ნაციონალური მოძრაობისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან, მაგრამ ღარიბაშვილმა თქვა ის, რაც აუცილებლად იყო სათქმელი.

თუ საქართველოს მასშტაბსა და შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, მსოფლიოში არ მოიძებნება მეორე ქვეყანა, რომელიც ჩვენზე მეტად უჭერს მხარს უკრაინას და უკრაინელ ხალხს. საქართველო შეუერთდა ყველა იმ პოლიტიკურ სანქციას, რაც გაერომ, ევროსაბჭომ და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებმა რუსეთს დაუწესეს. გარდა ამისა, ლუკმას ვუყოფთ გასაჭირში მყოფ უკრაინელებს და ჰუმანიტარულ დახმარებას ვუგზავნით, მაგრამ ეკონომიკურ სანქციებს, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანა ვერ შეუერთდებოდა, რადგან ამით რუსეთს კი არა, ჩვენსავე ეკონომიკას მივაყენებდით დიდ დარტყმას და ჩვენსავე მოსახლეობას გავწირავდით სიდუხჭირისათვის. **სხვათაშორის, ნაციონალური მოძრაობის მიზანიც სწორედ ეს არის — უნდათ, საქართველო ეკონომიკურ კოლაფსში აღმოჩნდეს და ეს თავიანთი რევანშისტული მიზნების ასასრულებლად, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოიყენონ.**

რაც საქართველოს პარლამენტის წევრმა, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ხატია დეკანოიძემ** უკრაინის ტელევიზიის ეთერში განაცხადა — საქართველოს ხელისუფლება უკრაინელების ხოცვაში რუსეთის მოკავშირე არისო — ეს პირდაპირ სამშობლოს ღალატია! საერთოდ, არ მიყვარს იარლიყების მიკერება და ყოველთვის ვერიდები, ვინმეს მოღალატე დავუძახო, მაგრამ, რაც დეკანოიძემ გააკეთა, ეს მხოლოდ სამშობლოს მოღალატეს შეუძლია!

**— ნაციონალური მოძრაობა, ალბათ, უკრაინის პრეზიდენტის მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევამაც გაათამამა! როგორ აფასებთ პრეზიდენტ ზელენსკის ამ საქციელს?**

— იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის ხელისუფლება ახლა ომშია, მაქსიმალურად რბილად ვიტყვი — ყოვლად გაუგებარი და მიუღებელია საქართველოდან ელჩის გაწვევა მაშინ, როცა უკრაინის ხელისუფლებას ელჩი არ გაუყვანია თვით ბელარუსიდანაც კი, რომლის ტერიტორიასაც რუსეთი უკრაინის დასაბომბად იყენებს!

## რაც ზელენსკიმ საქართველოსთან მიმართებაში თქვა და გააკეთა, ეს მეგობარი სახელმწიფოს რიტორიკა და საქციელი არ არის!

**— როგორ ფიქრობთ, ზელენსკის გადაწყვეტილებაზე გავლენა უკრაინაში მოკალათებულმა ნაცებმა ხომ არ მოახდინეს?**

— დარწმუნებული ვარ, ასეა! **ადეიშვილი, ლორთქიფანიძე** და სხვა ნაციონალები, რომლებიც დღესაც უკრაინის ხელისუფლებაში ან მის სიახლოვეს არიან, თავიანთი გავლენებიდან გამომდინარე, შეცდომებს აშვებინებენ ომში მყოფი ქვეყნის მმართველებს! **საქართველოსადმი ძალიან არამეგობრული და უპატივცემულო ნაბიჯი იყო ისიც, რომ უკრაინის ხელისუფლებამ სააკაშვილი და მისი რეჟიმის მაღალჩინოსნები, რომლებსაც უამრავი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი და ქართული სახელმწიფოს მიერ იძებნებოდნენ, გულში ჩაიხუტა და შეისისხლხორცა.**

კარგია, რომ საქართველოს ხელისუფლება დიდსულოვნად იქცევა და ომში მყოფ უკრაინის ხელისუფლებას ისეთ პასუხს არ სცემს, როგორიც საჭიროა, თუმცა, როცა ომი დასრულდება და უკრაინაში მშვიდობა დაბრუნდება, **უკრაინის ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს პასუხის გაცემა ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების სამართლიან კითხვებზე.**

**— რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილმა თავის სასამართლო პროცესზე განაცხადა — ხელისუფლების შეცვლამდე დღეებია დარჩენილი და მე ამ დღეებს ვითვლიო! რას ეტყოდით რუსთავის ციხის პატიმარს?**

— **სააკაშვილს მხოლოდ ერთ რამეს ვეტყოდი** — ასჯერ უფრო დიდ სასჯელს იმსახურებ, ვიდრე შეფარდებული გაქვს! ისეთ ციხეში კი არ უნდა იჯდე, როგორშიც დღეს ზიხარ, არამედ შენი რეჟიმის დროინდელ ციხეში უნდა იყო გამომწყვდეული და როგორ პირობებშიც ამყოფებდი პატიმრებს, ისეთივე პირობები უნდა გამოსცადო საკუთარ თავზე.

**სააკაშვილი დამნაშავედ არ გრძნობს თავს და არცერთ ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ საშუალება მიეცემა, უარეს დანაშაულსაც ჩაიდენს, უფრო დახვეწილად და მოხერხებულად უტირებს დედას ამ ქვეყანას!**

მოვუწოდებ ხელისუფლებას, ადეკვატური და ძლიერი პასუხი გასცეს ყველა პროვოკაციასა და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა სჩადის!

აქვე, თუ საშუალებას მომცემთ, მინდა, ქართველ ხალხსაც მივმართო!

**— ყურადღებით გისმენთ!**

— მოვუწოდებ ქართველ საზოგადოებას — საქართველოს ხელისუფლებას დღეს, როგორც არასდროს, ჩვენი მხარდაჭერა და გამხნევება სჭირდება, რადგან იგი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ორიენტირებულია იმაზე, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა გადარჩეს და გაძლიერდეს! **დიახ, დღეს მადლობის, დალოცვისა და მხარდაჭერის მეტი არაფერი უნდა გვემეტებოდეს ჩვენი ხელისუფლებისათვის, რომელიც ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას და აკისრია სერიოზული პასუხისმგებლობა, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხს დიდი განსაცდელი აარიდოს!**

მივმართავ ხელისუფლებასაც — იდექით მხნედ და მეტი კომუნიკაცია დაამყარეთ ქართველ ხალხთან, იცოდეთ, რომ ყველა გონიერი და მამულის გულშემატკივარი მოქალაქე მხარს გიჭერთ იმ პოლიტიკაში, რომელიც ქვეყნისათვის ომის არიდებასა და მშვიდობის შენარჩუნებას ემსახურება.

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

# «ქში მიშა!»






„ზვიადის წინაშე ჩადენილი ცოდვები კისერზე გვაწევს და წელში ველარ ვსწორდებით!“

## დავით ხურცილავა:

## ვინც უკრაინაში ჩვენი სახელით წერილი გაგზავნა, სუყველანი სულით „პროსტიტუტკები“ არიან!

***თეატრისა და კინოს პოპულარული ქართველი მსახიობი დავით ხურცილავა, ანუ იგივე ჯაპანა, დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი და მისი სექტა საქართველოში „შულავერის კომიტეტს“ წარმოადგენენ და ქვეყანას უკრაინაში ატეხილი ომისკენ მიზანმიმართულად მიათრევენ:***

— ეს ინტერვიუ „ასავალ-დასავალში“ რომ გამოქვეყნდება, ატყდება ერთი ამბავი და სატელეფონო ზარები — არიქა, რატომ „ჯაპანა“ და არა ჩვენო! სიმართლე გითხრათ, ჟურნალისტებს ვერიდები, რადგან ჩემს ნათქვამს ხშირად ველარ ვცნობ! ჟურნალისტი ყოველმხრივ განათლებული და ყველაფერში გათვითცნობიერებული უნდა იყოს, ჩვენში კი რა ხდება? დამირეკა ერთმა გოგონამ, რომელსაც ინტერვიუ უნდა ჩაეწერა და მკითხა — სად უნდა მოვიდე? — „თეატრალურ სარდაფში“-მეთქი! — ეს რომელი სარდაფია, ღვინის? თქვენთან და თქვენს გაზეთთან დიდი ბოდიში, მაგრამ არამარტო ჟურნალისტიკაში, არამედ ყველგან და ყველაფერში ძირითადად ეს დონეა. ამიტომ გეკითხებით, ასეთ ადამიანებთან საუბარს და ინტერვიუს აზრი აქვს?

**— ბატონო დავით, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სააკაშვილი და მისი სექტა საქართველოს ნამდვილად ომისკენ ექაჩებიან?**

— არცერთი წუთით ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მართლაცდა მეხუთე კოლონას, „შულავერის კომიტეტსა“ და პატარა მე-11 არმიას ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — როგორმე საქართველო ომში ჩაითრიოს! ესენი არიან კრემლის აგენტურა. აბა, ვინ ჯანდაბაა **ლაშა ხოშტარია?** ზვიად გამსახურდიას შემდეგ ქალი რომ მოსკოვში წახვალ, რათა „კაგებეს“ მეთოდების ცხოვრებაში გატარება შეისწავლო, რუსეთის აგენტი და მე-5 კოლონა ხარ, აბა, ვინ ჯანდაბა ხარ?

დიახ, საქართველო რომ გათავისუფლდა, **ლაშა ხოშტარია** რუსეთის „კაგებეში“ იმის შემდეგ შევიდა! ან მიშა სააკაშვილი ვინ არის, ჩემო ბატონო? ჯარში იყო და „ოსობი ოტდელში“ მსახურობდა, ხოლო მე უმაღლესდამთავრებული წამიყვანეს საბჭოთა ჯარში, ექვს თვეში სერჟანტობა მეკუთვნოდა, მაგრამ ეფრეიტორიც ვერ გავხდი და რიგითად ჩამოვედი, რადგან ჰაუპტვახტში ბევრჯერ ვიჯექი! **სააკაშვილი არის უჯიშჯილაგო კაცი, რომელიც თავისმა კაგებეშნიკმა ბიძამ თემურ ალასანიამ გამოზარდა. თუ რამის წაგება შეიძლებოდა, სააკაშვილმა ყველაფერი წააგო და ნახევარი საქართველო გასცა...** რა ჩამომათვლევინებს იმ საშინელებებს, რაც მაგან ჩაიდინა? სანდრო გირგვლიანის მკვლელობაც საკმარისია, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა გეზიზღებოდეს!

**— თქვენ, მგონი, სააკაშვილის რეჟიმმა თავის დროზე სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ!**

— სააკაშვილმა პრობლემები იმიტომ შემიქმნა, რომ რეჟიმს მე შევუქმენი პრობლემები! 1997 წლიდან, რაც ეს მედუზა და უხერხემლო სააკაშვილი გამოჩნდა, იქიდან ვაგინებ და 2012 წლამდე არ გავჩერებულვარ! იმ 10 პროცენტში ვარ, რომელსაც 2003 წელს მაგისთვის ხმა არ მიუცია. **ვფიქრობ, დღეს სააკაშვილის გინება აღარ ღირს, რადგან წაქცეული და მიწაზე დაგდებული კაცია.** მან პრობლემები მართლაც შემიქმნა, რადგან ყველაფერი წამართვა და დღესაც უსახლკაროდ ვარ დარჩენილი... ათასჯერ მაინც შემომითვალეს, რომ გავჩუმებულიყავი, მაგრამ ვერ ვჩუმდებოდი! როგორი გასაჩუმებელი იყო, როცა ქვეყანას აქცევდნენ?!

**— უკრაინელმა დეპუტატმა ივან კრულკომ აღიარა — ზელენსკიმ უკრაინის ელჩი საქართველოდან იმიტომ გაიწვია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სააკაშვილი დაიჭირაო!**

— ამ თემაზე სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ... ისე, უკრაინაში ომი რომ დასრულდება და ყველაფერი დაწყნარდება, ეს საქმე ორ მეგობარ ერს, საქართველოსა და უკრაინას შორის აუცილებლად უნდა გაირჩეს! ერთი რამ ფაქტია — **ზელენსკი ისე არ იქცევა, როგორც ომის დროს სააკაშვილი მოიქცა და ერთი გარდეროზი ჰალსტუხი შეჭამა!** ხომ გახსოვთ, გორში ისე გარბოდა, დაცვა ვერ დაეწია, ხოლო წითელ ხიდთან იმდენი ხალხი მოგროვდა, ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ. ისევ ჩვენისთანა უბრალო ხალხი დარჩა მაშინ თბილისში, თორემ რუსი რომ დედაქალაქში შემოსულიყო, ეს მოღალატეები აქ არ იქნებოდნენ. რაც შეეხება უკრაინის რადას დეპუტატის ნათქვამს, რა უნდა გაგვიკვირდეს მას შემდეგ, რაც **ადეიშვილი** უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლად დაინიშნა და ჰააგის პროკურორებს ხვდება, ხოლო **გია ლორთქიფანიძე,** რომელმაც სააკაშვილი საქართველოში შემოაპარა, უკრაინის კონტრდაზვერვის შეფის მოადგილედ დაამტკიცეს?! ნაცები არიან უკრაინის მთავრობის მხარეს, ხოლო ჩვენ ვართ უკრაინელი ხალხის მხარეს! ეს სამარცხვინო და პროვოკატორი ნაცები, სადაც კი ათ კაცს დაინახავენ, მაშინვე იქ გაჩნდებიან და გაიძახიან — **„ფრი მიშა!“** მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას: **„ფრი მიშა!“** კი არა, **„ქში მიშა!“** დავიძახოთ! **ამ ხელისუფლების ადგილზე რომ ვიყო, სააკაშვილს ორ გარდეროზ ჰალსტუხს შევუხვევდი და უკრაინაში გავუშვებდი, მაგრამ ჯერ გაარკვიოს, რომელი ქვეყნის პატრიოტია — საქართველოსი თუ უკრაინის?** არ შეიძლება ერთი კაცი ორი ქვეყნის პატრიოტი იყოს და არ შეიძლება კაცს ორი სამშობლო ჰქონდეს! 2008 წლის აგვისტოში „უცნობი“ — **გია გაჩეჩილაძე** უკრაინაში იყო, სადაც კონცერტი უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, ფრენები შეწყდა და კაცი იქ ჩარჩა. როგორც მითხრა, მაშინ უკრაინაში საქართველოს საგულშემატკივროდ გამოფენილი ერთი ქართული დროშაც კი არ უნახავს და საქართველოს მხარდამჭერი არანაირი რეზოლუცია უკრაინას არ მიუღია. ასე რომ, ვინ რას გვედავება?

**— ქართველმა ე.წ. კულტურის მოღვაწეებმა — მარინა ბერიძემ, რატი ამაღლობელმა, ლაშა ბუღაძემ უკრაინის ხელისუფლებას წერილი მისწერეს და საქართველოს ხელისუფლების ნაცვლად ბოდიში მოიხადეს! რას იტყვით?**

— საერთოდ, „პროსტიტუტკებს“ პატივს არ ვცემ, მაგრამ არც მეზიზღება! ვინც უკრაინაში ჩვენი სახელით წერილი გაგზავნა, სუყველანი სულით „პროსტიტუტკები“ არიან! სწორედ სულით „პროსტიტუტკები“ მეზიზღებიან, რადგან მთელი თავიანთი დამპალი ცხოვრება სულ ანგარებით ცხოვრობენ! რაც შეეხება იმ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ამ სულით „პროსტიტუტკებმა“ მიიმხრეს და გადაიბირეს, მათზე სულაც არ ვბრაზდები, რადგან ეს ბავშვები მეცოდებიან! გოგო-ბიჭები კი არა, ამ გველის წიწილებმა ჩემი თაობის წარმომადგენლებსა და უფროსებსაც კი აურიეს ტვინი. კი ბატონო, მიშას გათავისუფლებაზე მოაწერე ხელი, მაგრამ ჩემი სახელით რატომ ლაპარაკობ მაშინ, როცა მე ამ ხელისუფლებას ვემხრობი და მიმაჩნია, რომ ძალიანაც სწორად იქცევა ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი,** როცა საქართველოს ამ საშინელი ომისკენ არ ექაჩება! ნურავინ გვეუბნება იმას, რომ ჩვენ მაგივრად იბრძვის! 1978 წლის 14 აპრილს ქართველობა გამოვიდა ქუჩაში, თორემ მთელ საბჭოთა კავშირში, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად რუსული გამოცხადდებოდა! რომ არა 1989 წლის 9 აპრილი და საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლი, ბალტიისპირელები დღეს ასე გაჯგიმულები ვერ ივლიდნენ! პირველი დემოკრატიული არჩევნებიც ჩვენ ჩავატარეთ, როცა ესენი არაფრის აზრზე არ იყვნენ. არ ვყოფილვარ მისი მომხრე, მაგრამ ზვიად გამსახურდიას დამხობა კატასტროფული შეცდომა და დანაშაული იყო!

დიახ, ზვიადისთვის თოფი არ უნდა გვესროლა და ორი წლის შემდეგ გადაგვერჩია. მის წინაშე ჩადენილი ცოდვები კისერზე გვაწევს და იმის შემდეგ წელში ველარ ვსწორდებით! ახლა დაცდის დროა, ახლა ომში თავის გაყოფის დრო არ არის. დავიცადოთ და როგორც ჩინურ ანდაზაშია ნათქვამი, ყვითელი მდინარე ჩვენს მტრებს აუცილებლად ცხვირწინ ჩამოგვიტარებს!



**„1997 წლიდან, რაც ეს მედუზა და უხერხემლო სააკაშვილი გამოჩნდა, იქიდან ვაგინებ და 2012 წლამდე არ გავჩერებულვარ!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# ვახტანგ მაისაია:

# რა უნდა ვიცოდეთ რუსული და ამერიკული შეიარაღების შესახებ?!

***„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „რა უნდა ვიცოდეთ ბირთვული ღილაკის შესახებ“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მკითხველთა თხოვნით, პოლიტიკისა და სამხედრო მეცნიერებების დოქტორი ვახტანგ მაისაია კვლავ უპასუხებს არანაკლებ აქტუალურ და საინტერესო შეკითხვებს.***



**— ბატონო ვახტანგ, C-300 საზენიტო-სარაკეტო სისტემაზე საუბრით დავიწყებ საუბარს, რომელიც ერთგვარ „ფავორიტად“ არის ცნობილი და, როგორც ამბობენ, მსოფლიოში ერთ-ერთი თანამედროვე და მოწინავე რუსული საბრძოლო იარაღია.**

— რუსეთი, როგორც ბირთვული ტრიადის მფლობელი სახელმწიფო, სტრატეგიული დანიშნულების არაბირთვულ შემტევ შეიარაღებასაც იყენებს, ცხადია, კონვენციური ომის პირობებში. ბირთვული ტრიადის შეიარაღების ერთ-ერთი ასეთი კომპონენტია **საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი — C-300.**

ეს არის შორ მანძილზე მსროლელი სარაკეტო სისტემა, რომლის პირველი მწარმოებელი კომპანია 1979 წელს საჰაერო დარტყმებისგან თავის დასაცავად შეიქმნა. მას აქვს უნარი, მიზანში ჰყავდეს ერთდროულად 6 თვითმფრინავი. C-300-ზე 12 რაკეტა თავსდება, რაც აძლევს შესაძლებლობას, მოწინააღმდეგის თვითმფრინავები დაახლოებით 300 კილომეტრის რადიუსში გაანადგუროს. რიგ შემთხვევებში მისი მოქმედების არეალი გაცილებით მეტია და, შესაძლოა, 500 კილომეტრამდეც იყოს, გააჩნია მოდიფიკაციას.

**— უფრო კონკრეტულად, რა შემთხვევაში გამოიყენება C-300 ?**

— შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სტრატეგიული თავდაცვის საკითხებში, ასევე შემტევითი დარტყმების დროს. მას შეუძლია, მოიგერიოს ბირთვული ქობინები და ჩვეულებრივი სარაკეტო დარტყმები, გაანადგუროს სტრატეგიული ბომბდამშენები, მოწინააღმდეგის მართვის ცენტრები, სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა, განახორციელოს რადიოელექტრონული სადაზვერვო ოპერაციები; ზეზუსტი იარაღის კატეგორიაში შედის და საკმაოდ დიდი რადიუსის ღრმულს ტოვებს. თუმცა, არსებობს C-300 -ის მოდიფიკაციებიც — C-350, C-400 და C-500.

**— რა განსხვავებაა C-300-სა და შემდგომი თაობის საზენიტო-სარაკეტო სისტემებს შორის?**

— მაგალითად, C-400 აღჭურვილია ახალი ტიპის რაკეტებით. კონკრეტულად, დამატებულია 4 ტიპის უახლესი რაკეტა. მანქანას, რომელიც მათ გადაზიდვას ემსახურება, შეუძლია 4 ერთეული რაკეტის ტრანსპორტირება, C-400 სამიზნეს 27 კილომეტრ სიმაღლეზე სწვდება, მაქსიმუმ, 56 კილომეტრ სიმაღლეზე შეუძლია ობიექტის დევნა, შედეგი 70 პროცენტამდე იკლებს, თუმცა, ამ სიმაღლეზე დღეისათვის ვერცერთი საბრძოლო-საჰაერო აპარატი ვერ ადის. ამასთანავე, სისტემის რადარებს შეუძლიათ, ერთდროულად 300 სამიზნე ობიექტს ადევნონ თვალი.

C-400 სისტემის დანიშნულებაა მტრის საჰაერო აპარატებთან, ბალისტიკურ და საზღვაო-წყალქვეშა ბაზირების რაკეტებთან ბრძოლა. მის სარადარო-მაძებარ სისტემებს შეუძლიათ, 400 კილომეტრ დიაპაზონში ჩაიჭირონ სამიზნე ობიექტები.

რაც შეეხება C-500-ს, მას კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე შეუძლია გაანადგუროს ობიექტი, იმუშაოს ოპერატიულ-ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტების გადაჭერაზე. C-500-ს რაკეტსაწინააღმდეგო სტრატეგიული დანიშნულება აქვს და მოსკოვის ოლქს იცავს. მისი იმპორტი არ ხდება, განსხვავებით C-300-სგან და C-400-სგან.

**— დღეს ძალიან აქტუალურია შეკითხვა — ვისი შეიარაღება ჯობია, ამერიკის თუ იმ რუსეთის, რომელიც საბჭოთა ტანკებით შევიდა უკრაინის დასაპყრობად?**

— ვერ იტყვი, რომ ამერიკული ტექნიკა რამეთი აღემატება რუსულ ტექნიკას. ჩათვალეთ, C-300 ამერიკული **„პეტრიოტის“** ანალოგია, C-500 — ამერიკული **„სიჯისის“** სისტემის მსგავსი. ზოგ შემთხვევაში ამერიკული შეიარაღებაა მოწინავე, ზოგ შემთხვევაში — რუსული. მაგალითად, რუსეთი ძლიერია ზებგერით შეიარაღებაში. ასეთი ტიპის რამდენიმე შეიარაღება აქვს: **„კინჟალი“** — საჰაერო და **„კალიბრები“** — საზღვაო-სარაკეტო. მათი სისწრაფე დაახლოებით 3-4 მახია. წარმოიდგინეთ, ერთი მახი ბგერის სიჩქარის ტოლია, ანუ დაახლოებით 1200 კილომეტრი საათში. ძალიან ზუსტი და ჭკვიანი იარაღია. მისი დაჭერა პრაქტიკულად შეუძლებელია. სხვათაშორის, რუსებმა უკრაინის ომში უკვე გამოიყენეს ზებგერითი იარაღი. 7-8 კალიბრით მოხდა ლვოვთან სამხედრო პოლიგონის განადგურება. ეს უკვე ოფიციალურად არის დადასტურებული.




რუსეთსა და ამერიკას — ორივეს ბირთვული ტრიადა აფრთხობს. ეს არის მათთვის თავის ტკივილი. დანარჩენი, ჩვეულებრივი შეიარაღება, თანაბრად აქვთ. **თუ რუსეთი ზებგერით იარაღში სჯობნის ამერიკას, შტატებს უკეთესი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები გააჩნია.** აქვს ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსიც — „ჯაველინი“. რუსეთი იმიტომ ვერ ავითარებს ტაქტიკურ დონეზე სიღრმისეულ გარღვევებს, რომ „ჯაველინების“ ეფექტი მუშაობს. მისი საბრძოლო ტანკების დანაკარგების 80 პროცენტი სწორედ „ჯაველინზე“ მოდის.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირზე ქილიკს — ცუდი იარაღი ჰქონდაო — იმ დროისათვის ფრიად კარგი ხარისხის იარაღი გახლდათ, ზოგიერთ შემთხვევაში უკეთეს თვისებებსაც აჩვენებდა, ვიდრე დღევანდელი.

**— ეს როგორ?**

— დღესაც მთელი აღმოსავლეთ ევროპა და ნატოს წევრი სახელმწიფოები საბჭოთა იარაღით არიან აღჭურვილი, მათ შორის, უკრაინაც, მაგრამ ეს არ უშლით ხელს, რომ რუსეთის აგრესია შეაკავონ.










## კვირგვინოსნები

**ბესიკ ალადაშვილი**
*უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი*



დღეს დასავლეთს გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავს. ამასობაში კი **პუტინი იმდენად გაძლიერდა** და იმდენად „დაიჭირა“ ეს დასავლური ქვეყნები, თუნდაც, როგორც გასაღების ან სანედლეულო ბაზარმა, რომ ეგრეთ წოდებული **ბებერი ევროპა, მინიმუმ, 40 პროცენტით დამოკიდებულია რუსულ ენერგორესურსებზე.**

„თბილისელები“

**დათო გოგიშვილი**
*რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი*



**საქართველო უნდა ელოდოს რუსეთში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების ტალღას.** რუსეთში დემოკრატიისა და გამოხატვის თავისუფლების ხარისხი ძალიან დაბალია. ახლახან მიტინგზე ახალგაზრდა ქართველი ბიჭი დაუჭრიათ, საქართველოს დროშა ეჭირა და ფურცელზე ეწერა: **აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოაო.**

„თბილისელები“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი*



**თუ ჩვენი ქვეყანა არ გახდა ნატოს წევრი, ან აქ არ დაფუძნდა აშშ-ის სამხედრო ბაზა,** რუსეთთან გამკლავება ძალიან გაგვიჭირდება, ეს კი, ძირითადად, დამოკიდებულია **აშშ-ის მთავრობაზე** და ნაკლებად — **საქართველოს ხელისუფლებაზე.**

„კვირის პალიტრა“

**გურამ პეტრიაშვილი**
*მწერალი*



ის 20 წელიწადი, რომელიც **ჩემს უკრაინელებთან** ერთად ვიცხოვრე, უდიდეს ტკივილთან ერთად, ალბათ, ჩემთვის ბედის საჩუქარიც იყო, რადგან ნამდვილი ხალხის გვერდით ვიყავი. **რაც უნდა მოხდეს, მათ ვერაფერი დაამარცხებს, რადგან მონობას არასოდეს შეეგუებიან.**

„კვირის პალიტრა“






## საბჭოთა კავშირის არმია ბევრად უფრო ძლიერი და საშიში იყო. დღევანდელი რუსული არმია ახლოსაც ვერ მივა მასთან. ნატოსა და ამერიკის შეიარაღებულ ძალებზე რამდენიმე თავით მაღლა იდგა.

**პირდაპირ ვამბობ — დღევანდელი რუსეთის შეიარაღებული ძალები იმისი აჩრდილიც არ არის.** არც დღევანდელი ამერიკული არმიაა ისეთი, როგორიც 1980-ან წლებში, ცივი ომის დროს იყო. რეიგანის მმართველობისას გაცილებით ძლიერი იყო ამერიკული არმიაც.

ცხადია, რუსეთის არმიამ სუსტი მხარეებიც აჩვენა, პოზიციური ომის მოდელზე გადასვლა რუსეთის სამხედრო პოლიტიკური სტრატეგიული ხელმძღვანელობის სერიოზული ჩავარდნა გახლავთ, მაგრამ სამხედრო მოქმედებების დროს ხშირად გაუთვალისწინებელი რამ ხდება. ვინც სამხედრო ხელოვნების სპეციფიკაში ვერ ერკვევა, ჰგონიათ, დაწერ გეგმას და ყველა ამ გეგმას მიჰყვება. არადა, ყოველთვის არსებობს 40-პროცენტიანი ალბათობა, რომ ოპერაცია გეგმის მიხედვით არ წავიდეს.

**— ე.წ. დამცავ ფარზე რა უნდა ვიცოდეთ?**

— ეს არის ე.წ. რკინის ბადე — **რაკეტსაწინააღმდეგო საჰაერო თავდაცვის სისტემა,** რომელიც მოკლე და საშუალო სიმაღლიდან ქვეყანას რაკეტებისგან და ჭურვებისგან იცავს. პირველად ის ისრაელის თავზე გამოჩნდა. დღეს მას სხვა დიდი სახელმწიფოებიც იყენებენ — რუსეთი, ამერიკა და ა.შ. საჰაერო თავდაცვის მსგავსი სისტემის შექმნა იერუსალიმმა 2006 წელს „ჰეზბოლასთან“ კონფლიქტის შემდეგ გადაწყვიტა. სისტემა მოიცავს რაკეტების ამოცნობის, მათი ტრაექტორიის გამოთვლისა და ჰაერში განადგურების მექანიზმებს.

**— შესაძლებელია თუ არა რაკეტების გაუვნებელყოფა ცუდ ამინდში?**

— ის ყველანაირ ამინდში მუშაობს — ნისლშიც, წვიმაშიც და მტვრის ღრუბელშიც. სისტემა აანალიზებს საფრთხეს და ანტირაკეტას მხოლოდ მაშინ უშვებს, თუ საფრთხე დასახლებულ პუნქტს ემუქრება. ამ შემთხვევაში ქვეყანას შეუძლია, მათი მიმართულებით წამოსული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა დააფიქსიროს უკვე სასტარტო პოზიციაში და მისი ლიკვიდაცია მალევე მოახდინოს. ერთდროულად მუშაობს რადიოსალოკაციო, წინასწარი დაზვერვისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ავიაცია, ანუ ავიაგამანადგურებლები. სწორედ ეს სამი კომპონენტი ქმნის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ბადეს.

**— ამ შემთხვევაში გარანტირებულია ქვეყნის უსაფრთხოება?**

— დაახლოებით 60 პროცენტამდე არის იმის ალბათობა, რომ გაუვნებელყოფა მოხდეს. თუ ზებგერითი სარაკეტო სისტემა იქნება გამოყენებული, იმას ვერავითარი ბადე ვერ უშველის, ამის გარანტიას გაძლევთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## „თუ რუსეთი ზებგერით იარაღში სჯობნის ამერიკას, შტატებს უკეთესი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები გააჩნია!“



# ზელენსკის სიტყვით გამოსვლა საქართველოს პარლამენტში დაუშვებელია!

***ხაზარაძის ჯიბის დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა, რომელიც დიდი გონიერებით არასოდეს გამოირჩეოდა, საჯაროდ წამოაყრანტალა — პრეზიდენტი ზელენსკი აუცილებლად უნდა გამოვიყვანოთ პარლამენტში, რათა საქართველოს პატრიოტიზმი ასწავლოსო!***



გასაგებია, რომ მამუკა ხაზარაძის ჯიბის ნაცვლიშვილს პატრიოტიზმი რა ხილია, ვერ გაურკვევია, მაგრამ ის მაინც არ უნდა ესმოდეს, რომ მისი ბოდვა სრულიად საქართველოს შეურაცხყოფს.

**მოკლედ, ანა ნაცვლიშვილის იდეა მაშინვე აიტაცეს ნაცებმა და სამშობლოს მოღალატე ხატია დეკანოიძემაც ამაყად განაცხადა — მე უკვე ველაპარაკე უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ზელენსკის სიტყვით გამოსვლას საქართველოს პარლამენტის წინაშე უკრაინელთა მხრიდან წინ არაფერი დაუდგებაო!**

რა თქმა უნდა, ნაცსექტამ უმალ იყნოსა, რომ ამ საქმიდან დიდი დივიდენდების მიღება შეიძლება! **თუ საქართველოს ხელისუფლება პარლამენტში ზელენსკის სიტყვით გამოიყვანს, უკრაინის პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს გასაგონად საკუთარ სახლშივე დაამუნათებს ქოცნებას — უკრაინის ომის დროს რუსეთის გვერდით რატომ ხართ?**

## ფარჩაკო „ლელო“-ნაცებო, ვერ ელირსებით ზელენსკის დახმარებით რევოლუციის მოწყობას!

მეორე მხრივ, თუკი საქართველოს ხელისუფლება უარს იტყვის ზელენსკის საპარლამენტო გამოსვლაზე, მაშინ ნაცები სიხარულით დაიწყებენ მტკიცებას — **აი, ხომ ვამბობდით, რომ საქართველოს ხელისუფლება დასავლეთის ქვეყნების კი არა, რუსეთის მხარდამჭერიაო!** ანუ თუკი ზელენსკი ამერიკის კონგრესის წინაშე ალაპარაკეს და ჩვენს პარლამენტში ეს არ გააკეთებინეს, ნაცების ლოგიკით, ქოცნება პუტინისტური ყოფილა!



***ანა ნაცვლიშვილი***

ჯერ ერთი, ამერიკის კონგრესში გამოსვლამდე, ზელენსკის სახლში არ გაუწვევია ამერიკაში უკრაინის ელჩი! საქართველოში კი პირიქით მოხდა — აქაოდა, რუსეთისადმი დაწესებულ სანქციებს საქართველო რატომ არ შეუერთდაო! სხვათაშორის, **ზელენსკი იმ გერმანული ბუნდესტაგის წინაშეც წარდგა სიტყვით, რომელიც, უკრაინაში ომის დაწყების მიუხედავად, დღემდე აგრძელებს რუსული გაზისა და ნავთობის ყიდვას!** მაგრამ ზელენსკის ამის გამო გერმანიიდან უკრაინის ელჩი არ გაუწვევია!



***ხატია დეკანოიძე***

მეორეც, ძალიან გონებაშეზღუდული უნდა იყო, ვერ მიხვდე, რომ ნაცებს უკრაინა და უკრაინელი სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ და საქართველოს პარლამენტში ზელენსკის გამოსვლა მხოლოდ ერთადერთი რამისთვის სჭირდებათ — **საქართველოში დესტაბილიზაციისა და ვითარების არევისთვის!**

დიახ, მაშინ, როდესაც ნაცების ფიურერი ციხეშია მყარად გამოკეტილი და სააკაშვილის ჩამოსვლაზე გათვლილმა რევოლუციამ ჩაილურის წყალი დალია, პოლიტიკურ ფსკერზე დაქვესკნელებული ნაცბანდა სწორედ ზელენსკის გამოყენებით ცდილობს ქაქიდან ამოტივტივებას!

გვახსოვდეს: ზელენსკის საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოსვლა დაუშვებელია! **ამაზე დათანხმება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან ისეთივე მიუტევებელი შეცდომა იქნება, როგორიც, მაგალითად, ციხიდან მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება!** და ზელენსკი ამასაც აუცილებლად მოითხოვდა საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას!

არადა, ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სააკაშვილი სრულიად სამართლიანად ზის ვირის აბანოში და მის იქიდან გამოშვებასაც სახელმწიფო ღალატად შერაცხავს!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ლეჟავა**
*ექსპერტი*



იქნებ ამიხსნათ, **ხატია დეკანოიძე ან გიგი უგულავა,** ან ნებისმიერი სხვა ვინმე, როგორ არის შესაძლებელი, რომ იყოს საქართველოს მთავრობის წევრი — მინისტრი? **ქალბატონო სალომე, იქნებ რაღაცებზე დაფიქრდეთ.**

„იმედინიუსი“

**გიორგი გაჩეჩილაძე**
*„მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე*



**ხატია დეკანოიძემ შემაძრწუნებელი რამ გააკეთა** — თქვა, რომ საქართველო ეძებს შავ ხვრელებს იმისათვის, რომ პუტინს დაეხმაროს, შექმნას იარაღი უკრაინის მოსახლეობის გასანადგურებლად. **ამაზე დიდი კატასტროფა არ არსებობს.** 30 წელია, პოლიტიკაში ვარ და ასეთი რამ არ შემხვედრია. **ამას არ ჰქვია ოპოზიცია. ესაა სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობა.**

„ახალი თაობა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**გია ხუხაშვილი,** თავადაც რომ ვერ გაუგია, **ვისი და „რამდენმაგი“ აგენტია,** ამბობს, რომ **კალაძეზე** მაღალი აზრის არასოდეს ვყოფილვაროო, დადის ახლა ეთერ-ეთერ და **ორ კაპიკად ყველას ლანძღავს.**

„იმედინიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ქართული პოლიტიკური სპექტრი სახელმწიფოს ინტერესებზე კი არ ზრუნავს, **„პოლიტიკური ჭიდაობით“** არის გართული. მათ ქვეყანა **საჭიდაო არენად** აქციეს.

„კვირის პალიტრა“

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი* უკრაინაში ატეხილი ომის ფონზე კაცობრიობისა და რუსეთის ისტორიაში ორი ქართველის — სტალინისა და ბერიას განსაკუთრებულ როლზე საუბრობს და აცხადებს, რომ, თუ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ და ძლევამოსილ საბჭოთა არმიას გამოვაკლებთ ორ ქართველ გენიოსს, მაშინ ხელში შეგვრჩება ის სამხედრო ძალა, რომელიც დღეს უკრაინაში საცხოვრებელ სახლებს გამეტებით ბომბავს:**



## სვიმონ მასხარაშვილი:

# ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ ჰიტლერი დაამარცხა ორმა ქართველმა გენიოსმა – სტალინმა და ბერიამ!



## ვერც ამერიკა, ვერც ბრიტანეთი და ვერც საბჭოთა კავშირი სტალინისა და ბერიას გარეშე ფაშისტურ გერმანიას ვერ შეაჩერებდნენ!

— 2022 წლის იანვარ-თებერვალში პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის უმაღლესი პირები აცხადებდნენ, რომ რუსეთი უკრაინაში აუცილებლად შეიჭრებოდა, უკრაინის ძირითადი ქალაქები, მაქსიმუმ, 96 საათში მიწასთან გასწორდებოდნენ. რაც უკრაინაში ომი დაიწყო, დასავლეთი სულ იმაზე ვიშვიშებს, მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტისგან როგორმე ნატო გადაარჩინოს. ამერიკამ ისიც კი ვერ გაბედა, უკრაინისთვის პოლონური „მიგ"-ები მიეწოდებინა, არადა, ეს საკითხი თითქოსდა შეთანხმებულიც იყო და გადაწყვეტილიც. აქედან დასკვნა — **მორალური და სამხედრო მზაობის თვალსაზრისით, ნატოს ბლოკი უკრაინაში გაჩაღებულ ომს აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა.**

**— ბატონო სვიმონ, დასავლეთს სხვა რა გზა ჰქონდა?**

— დასავლეთს ახლა მხოლოდ სანქციების გზა დარჩა, თორემ კონფლიქტის ასაცილებლად და უკრაინის გადასარჩენად, სულ მცირე, სამი გზა მაინც ჰქონდა! კერძოდ, გამოეცხადებინათ, რომ უკრაინას არასოდეს მიიღებდნენ ნატოში! ანდა სასწრაფოდ მიეღოთ უკრაინა ნატოში ზუსტად ისე, როგორც 1952 წელს თურქეთი მიიღეს და სტალინი სწორედ ამ გზით გააჩერეს, თორემ საბჭოთა ტანკები გამზადებული იყო და თურქეთი განადგურდებოდა. იყო მესამე ვარიანტიც — მიენიჭებინათ უკრაინისთვის ამერიკის უპირველესი პარტნიორი ქვეყნის სტატუსი, როგორც ეს თავის დროზე იაპონიასა და სამხრეთ კორეას მიანიჭეს. **არცერთი ეს სვლა დასავლეთმა არ გააკეთა, თორემ პუტინი უკრაინაში შეჭრას ვერ გაბედავდა.**

ახლა მეორე მხარეს შევხედოთ — უკრაინის მოსახლეობაზე სამჯერ მეტი და ტერიტორიით ოცდაათჯერ დიდი რუსეთი 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ვერცერთ სტრატეგიულ ამოცანას ვერ ასრულებს. რუსეთმა უკრაინაში დღემდე ვერ აიღო ვერცერთი დიდი ქალაქი და რუსეთის წინააღმდეგ თვით უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობაც კი აღდგა... რაშია საქმე? არ დაგვავიწყდეს, რომ 1941 წელს მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობა დაახლოებით იმდენივე იყო, რამდენიც დღეს რუსეთის მოსახლეობაა — 140 მილიონი! ბუნებრივად ისმის კითხვა — სტალინმა როგორ მოუგო ომი ადოლფ ჰიტლერის კბილებამდე შეიარაღებულ არმადას მაშინ, როცა რუსეთი ომს ვერ უგებს უკრაინას?

**— ეს მართლაცდა რიტორიკული შეკითხვაა!**

— დღეს ყველა, ვისაც არ ეზარება და შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს, ცდილობს, ფაშიზმის დამარცხებისა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების უზარმაზარი ტვირთი და პატივი აჰკიდოს მხოლოდ რუზველტსა და ჩერჩილს, ხოლო სტალინისა და ბერიას როლი მიჩქმალოს. არადა, ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და მთელი დასავლეთი სწორედ ისე თრთოდა და ცახცახებდა ჰიტლერის წინაშე, როგორც დღეს პუტინის ეშინიათ. სწორედ ამის გამოა, რომ უკრაინას სამხედრო დახმარების ხელს ვერ უწვდიან. დღეს ამერიკას მართლაც ჰყავს მსოფლიოში ნომერ პირველი არმია, მაგრამ 1941 წელს მისი არმიის რაოდენობა 50 ათას კაცს არ აღემატებოდა. ამერიკამ არმიის მშენებლობა 1941 წლის 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორთან დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ დაიწყო, როცა ფაშისტურმა იაპონიამ მას წყნარი ოკეანის საზღვაო ფლოტი გაუნადგურა.

**— დიდ ბრიტანეთს როგორი მდგომარეობა ჰქონდა?**

— 1945 წლის აპრილის მიწურულს, როცა გერმანიას, ფაქტობრივად, კაპიტულაცია ჰქონდა გამოცხადებული, დიდი ბრიტანეთი ვერც ნიდერლანდებსა და ვერც ნორვეგიაში შესვლას ვერ ახერხებდა, რადგან იქ ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირიც, ამერიკაც და უკვე საფრანგეთიც ჰიტლერს ებრძოდნენ, ინგლისელებმა ვერაფერი გააკეთეს და ომი ისე დასრულდა, ბრიტანეთმა თავისი ამოცანა ვერ შეასრულა — ვერც ნიდერლანდებსა და ვერც ნორვეგიაში დამარცხებულ გერმანიას ვერ მოერია!

**— საფრანგეთის არმია როგორ გამოიყურებოდა მანამ, სანამ ჰიტლერი ქვეყანას დაიპყრობდა?**

— მოგეხსენებათ, 1940 წელს საფრანგეთი გერმანიამ 28 დღეში დააჩოქა და კაპიტულაციის აქტზე ხელი მოაწერინა! ჰიტლერი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო... **აი, ასეთ სიტუაციაში ვინ იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ფაშისტური გერმანიის შეკავება? ცხადია, სტალინის საბჭოთა კავშირი!** სტალინმა შეძლო გერმანიის ხერხემალში გადამტვრევა მაშინ, როცა დღევანდელი რუსეთის არმია ვერ ამარცხებს უკრაინას. არ დაგვავიწყდეს, რომ უკრაინამ არმიის მშენებლობა ამ რვა წლის წინათ დაიწყო, უკრაინას არა აქვს ანტისარაკეტო სისტემები, ხოლო საჰაერო დაცვის სისტემებს ქვეყანას მხოლოდ ახლა, გაგანია ომის დროს, აწვდიან დასავლეთიდან!

**ახლა ეს ყველაფერი რომ შევადაროთ სუპერორგანიზებულ გერმანულ არმიას, რომლის რაოდენობაც უკრაინის არმიასთან შედარებით ათჯერ მეტი იყო, ხომ ადვილი მისახვედრია, რა გენიასთან და სასწაულთან გვქონდა საქმე სტალინისა და ბერიას სახით?** აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, თუ რა ტექნიკით იყო აღჭურვილი ჰიტლერი, როცა საბჭოთა კავშირს შემოესია. რუსეთი სამ კვირაზე მეტია, რაც უკრაინაში შეიჭრა და ეკონომიკურად უკვე სულს ღაფავს, ხოლო სტალინმა ომის დროს ისე გარდაქმნა ეკონომიკა, ნებისმიერ იარაღსა და საჭირო ნივთს აწარმოებდა და თან ტექნიკურად დახვეწილს და არნახული რაოდენობით.

**დღეს კი რა ხდება? რუსეთს, რომელიც უკრაინაში 3 მილიონდოლარიან „ისკანდერებს" ისვრის, როგორც აღმოჩნდა, ტექნოლოგიურად ძალა არ შესწევს, დაამზადოს ახალი „ისკანდერები", რადგან იმ მიკროსქემებს, რომლითაც „ისკანდერი" იმართება, უშვებდა ტაივანი.** სანქციების შიშით ტაივანმა რუსეთს ბაზარი დაუკეტა და ამ მიკროსქემებს რუსეთს აღარ აწვდის!

**— ლავრენტი ბერიას დაზვერვაც ასე მუშაობდა მეორე მსოფლიო ომის დროს?**

— ლავრენტი ბერიას დაზვერვამ წუთების სიზუსტით იცოდა, როდის დაიწყებოდა კურსკის ბრძოლა და რა საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ჰიტლერის გენერლები და ფელდმარშლები ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან, რათა როგორმე სეპარატიული ზავი გაეფორმებინათ და სტალინი მშრალზე დაეტოვებინათ. ბერიას დაზვერვა იმ დონეზე იდგა, რომ ფაშის-



ლენინი:

# რუსი კაცი სახელმწიფოს სათავეში არ ვარგა!

## კვირგვინოსნები



**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*

**სააკაშვილი, მე და ზურაბიშვილი** კონსტიტუციის დასაცავად **უნდა გავერთიანდეთ.**

„ახალი თაობა"



**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" ლიდერი*

ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ქვეყანა ავაცილოთ როგორც **ეკონომიკურ კოლაფსს**, ასევე ავაცილოთ **ომს.**

„იმედინიუსი"



**ნიკოლოზ მეტრეველი**
*ექსპერტი*

მინდა, **საქართველოს პრეზიდენტს შევახსენო,** რომ პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა და არა ამორალური დანაშაულებრივი გარიგებების.

„იმედინიუსი"



**თემურ ჩალაბაშვილი**
*პოეტი*

2008-ში ომი არ იყო? **მაშინ გარბოდნენ თბილისიდან და ახლა გახდნენ გმირები?** ვინც დღეს ბევრს ყვირის პატრიოტიზმსა და ომზე, **პირველ რიგში, ეგენი გაიქცევიან და უშველიან თავს.**

„კვირის პალიტრა"



**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*

როცა პრეზიდენტი ამბობს, **ოპოზიცია ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი საქმიანობითაა დაკავებული,** თან მოგვიწოდებს ერთობაზე, ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელია — **ძნელია, მოისმინო დიდაქტიკური რჩევები.**

„ინტერპრესნიუსი"



**„ლავრენტი ბერიას დაზვერვამ წუთების სიზუსტით იცოდა, როდის დაიწყებოდა კურსკის ბრძოლა და რა საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ჰიტლერის გენერლები და ფელდმარშლები ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან!“**



**„რომ არა სტალინი და ბერია, 1941 წლის დეკემბერში რუსეთის სახელმწიფო თავის არსებობას საბოლოოდ შეწყვეტდა!“**

## „სტალინმა როგორ მოუგო ომი ადოლფ ჰიტლერის კბილებამდე შეიარაღებულ არმადას მაშინ, როცა რუსეთი ომს ვერ უგებს უკრაინას?“

ტებმა ვერცერთი წარმატებული სპეცოპერაცია სტალინის წინააღმდეგ ვერ ჩაატარეს. სტალინმა ოსტატურად მართა პარტიზანული მოძრაობაც, რომელმაც ჰიტლერს სიცოცხლე გაუმწარა. მოდით, გამოვაკლოთ ლავრენტი ბერიას მიერ შექმნილი უძლიერესი სპეცსამსახური და სტალინის, როგორც მხედართმთავრისა და მენეჯერის გენია საბჭოთა კავშირს და მერე ვილაპარაკოთ მის წარმატებაზე! **ალარაფერს ვამბობ იმ გენერლებზე, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ფაშიზმის განადგურებაში და რომლებიც პირადად სტალინმა შექმნა და დააწინაურა.** მოგეხსენებათ, როკოსოვსკიც, მალინოვსკიც, ვასილევსკიც, ჩერნიახოვსკიც, ლესელიძეც, ჩანჩიბაძეც და სხვები, სწორედ სტალინმა აღმოაჩინა და დააწინაურა, თორემ ისინი მანამდე საშუალო რანგის სამხედრო მოსამსახურეთა არმიას ავსებდნენ. **რომ არა სტალინი და ბერიას სპეცსამსახური, ძალიან მეეჭვება, ჰიტლერის წინააღმდეგ მეომარ რუსეთს პუტინზე უკეთესი მმართველი ჰყოლოდა, ხოლო ჯარი იმაზე ნაკლებად კორუმპირებული და დემორალიზებული ყოფილიყო, ვიდრე დღეს არის!**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ უკრაინაში რუსეთის არმიის კრახი რუსეთის უშიშროების სამსახურის კისერზეა?**

— დიახ, სწორედ უშიშროების კისერზეა და იმიტომაა, რომ პუტინი უშიშროების გენერლებს ერთმანეთის მიყოლებით იჭერს! **არმია, რომელიც უკრაინაში მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერცერთ დიდ ქალაქს ვერ იღებს, როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს შეძლებდა სამამულო ომის დროს კბილებამდე შეიარაღებული, მკაცრად დისციპლინირებული და მოტივირებული ჰიტლერის არმადის შეკავებას?** არავითარი შანსი წითელ არმიას არ ექნებოდა! უფრო მეტსაც გეტყვით, რომ არა სტალინი და ბერია, 1941 წლის დეკემბერში რუსეთის სახელმწიფო თავის არსებობას საბოლოოდ შეწყვეტდა! **რაც შეეხება მაშინდელ დასავლეთს, ის გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე დღევანდელი ევრო-ამერიკული ცივილიზაცია. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ ჰიტლერი დასავლეთმა დაამარცხა და არა სტალინმა, დიდი უსინდისობაა!** თუ არა სტალინი და ბერია, ჰიტლერს დასავლეთი ომს როგორ მოუგებდა, როცა ინგლისსა და საფრანგეთში 1929 წლამდე ოფიციალურად გაბატონებული იდეოლოგია პაციფიზმი იყო, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრ იზოლაციონისტურ პოლიტიკას ატარებდა? სანამ იაპონიამ პერლ-ჰარბორი არ დაბომბა და მერე ჰიტლერმა იაპონიის სოლიდარობის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებს ომი არ გამოუცხადა, მანამდე შეერთებული შტატები ომში არ ებმებოდა!



პეტრე პირველი

**— მთელი ეს შედარებითი ანალიზი რას გვეუბნება?**

— 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა საბოლოოდ გასცა პასუხი მთავარ შეკითხვას — ვინ არის ნაციზმის დამამარცხებელი და ვინ მოიგო სინამდვილეში მეორე მსოფლიო ომი! ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ ჰიტლერი დაამარცხა ორმა ქართველმა გენიოსმა — სტალინმა და ბერიამ! ვერც ამერიკა, ვერც ბრიტანეთი და ვერც საბჭოთა კავშირი სტალინისა და ბერიას გარეშე ფაშისტურ გერმანიას ვერ შეაჩერებდნენ! **ეს იყო ორი ქართველის ომი, რომლებმაც ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაიმარჯვეს.**

რუსეთის სახელმწიფო შედგა ორჯერ — ერთხელ პეტრე პირველის, ხოლო მეორედ სტალინის დროს. თვითონ რუსები აღიარებენ და წერენ, რომ პეტრე პირველი ერეკლე პირველის უკანონო შვილი, ანუ ქართველი იყო, ხოლო სტალინი რომ ქართველი იყო, ეს მთელმა მსოფლიომ იცის. ასე რომ, **რუსეთისთვის საბედისწერო ეტაპზე ორივეჯერ ქართველებმა ითამაშეს მხსნელის როლი და რუსეთი გადაარჩინეს.** ამდენად, დღეს, რომ რუსეთი არსებობს, ეს ჩვენი, ქართული ჯიშის დამსახურებაა. ვშიშობ, მესამეჯერაც ქართველმა არ გადაარჩინოს რუსეთი, თორემ პუტინმა და მისმა გუნდმა რომ ამოდენა ქვეყანა დაღუპეს, უკვე ცხადია!

**— სოციალურ ქსელებში გავრცელდა გორბაჩოვის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ თითქოს არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებს, რომ სტალინმა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ დაასახელა საქართველო და სტალინის გადაწყვეტილებით, სწორედ ქართველს უნდა დაეკავებინა მისი პოსტი! რას იტყვით?**

— 1934 წლამდე საბჭოთა კავშირს „ერთა ლიგაში“ არ იღებდნენ... აი, აქ შეიქმნა ერთი კაზუსი. კერძოდ, დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც 1921 წლის 27 იანვარს „ერთა ლიგამ“ თავის საზღვრებში ცნო, უკვე ოკუპირებული იყო იმ საბჭოთა იმპერიის მიერ, რომელიც „ერთა ლიგას“ უნდა ეცნო. ამიტომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, „ერთა ლიგამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს საკითხის განხილვა განუსაზღვრელი ვადით გადადებულიყო... რაც შეეხება სტალინის გეგმას იმის შესახებ, რომ მის შემდეგ ქვეყანა ისევ ქართველს უნდა ემართა, ამას არ გამოვრიცხავ! სტალინი ქართველსაც კარგად ცნობდა და რუსსაც... აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ ბელადს თავის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებლად არა რუსი **ანდრეი ჟდანოვი** და ბელორუსელი **პანტელეიმონ პონომარენკო,** არამედ ქართველი ეგულებოდა. **სტალინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საბჭოთა იმპერიის ხერხემალი სწორედ ქართველები უნდა ყოფილიყვნენ!** ლენინის ცნობილი სიტყვებია — „რუსი კაცი სახელმწიფოს სათავეში არ ვარგა!“ ეს ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, რაშიც სტალინი ლენინს ეთანხმებოდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**„რუსეთის სახელმწიფო შედგა ორჯერ – ერთხელ პეტრე პირველის, ხოლო მეორედ სტალინის დროს. ასე რომ, რუსეთისთვის საბედისწერო ეტაპზე ორივეჯერ ქართველებმა ითამაშეს მხსნელის როლი! ვშიშობ, მესამეჯერაც ქართველმა არ გადაარჩინოს რუსეთი!“**

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



2008 წელს სად იყო **სოზარ სუბარი?** სად იყო **კობახიძე? მდინარაძე?** აგვიტოს ომში **მიხეილ სააკაშვილი** გორში მთავარ მოედანზე იბრძოდა და სად იყო **ირაკლი ღარიბაშვილი** — „ბერას ძიძა“ 2008 წელს? **პრეზიდენტ სააკაშვილს ქვეყანა არ დაუტოვებია და გორში იყო ფრონტის ხაზზე.**

„ალია“

**სერდარ ჩამი**
*თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე*



საქართველო არის **ძალიან პატარა ქვეყანა,** აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების (მათ არ დავასახელებ) ინტერესებიდან გამომდინარე კი ძალიან დიდია სხვადასხვა მანიპულაცია **და არ უნდა მივცეთ მათ საშუალება, საზიანო მიზნებისთვის გამოიყენონ ქვეყანა.** ნათქვამია, აქლემების ჩხუბში კოზაკი გაიჭყლიტაო.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ხელაშვილი**
*პარლამენტარი*



**ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები** უფრო მეტად უფრთხილდებიან ჩვენი ქვეყნის მომავალს, **ვიდრე ქართული ოპოზიციის დიდი ნაწილი.** „იმედინიუსი“

**ოთარ ფანცულაია**
*„დევნილთა პოლიტიკური ცენტრის“ თავმჯდომარე*



დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, ისევ **„ქართული ოცნება“** მოიგებს.

„GTMEDIA“

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




## 5 ქუჩიდან მოხეკილი ინგლისურ-კომპიუტერის მცოდნე ბიჭბუჭების შესახებ

სააკაშვილი თავის მემუარებს იმით აგრძელებს, თუ როგორ ჩავიდა 1995 წელს მასთან ამერიკაში **ზურაბ ჟვანია,** რომელიც შევარდნაძის სახელისუფლებო პარტიისათვის — „მოქალაქეთა კავშირისათვის“ — „ახალ სახეებს“ ეძებდა კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ. სააკაშვილი, რა თქმა უნდა, დათანხმდა საპარლამენტო სიაში ჩაწერაზე და აისრულა ოცნება — პარლამენტარი გახდა! პუტჩის შემდგომ, 1992 წლის არჩევნებში, ის, როგორც ცნობილია, **თედო პაატაშვილის „პარტიის“** სიით იყრიდა კენჭს, მაგრამ იმხანად ვერ შეძვრა „იმელის პარლამენტში“!

სააკაშვილი ასე იხსენებს ზურაბ ჟვანიასთან პირველ ურთიერთობას:

> ***„ზურაბი იმდროინდელი პოლიტიკური ელიტისაგან ძალიან გამოირჩეოდა: იყო განათლებული, თანამედროვე, ურთიერთობებში გახსნილი. მან ბევრ საინტერესო ახალგაზრდას მოუყარა თავი. წინასაარჩევნო სიაში შეყვანა მეც შემომთავაზა. დავეთანხმე და პარლამენტში ამირჩიეს“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 46).*

სააკაშვილს „მოქალაქეთა კავშირის“ წინასაარჩევნო კამპანიაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა და ამერიკიდან საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც პარტიული სიით შეიყვანეს პარლამენტში! გადეპუტატებული სააკაშვილი თავმჯდომარის სავარძელში ჩამჯდარმა ზურაბ ჟვანიამ მალევე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ და კონსტიტუციურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აკურთხა.

ნახეთ, როგორ იხსენებს მემუარისტი თავის პირველ ნაბიჯებს საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის რანგში:

> ***„ჩემს კაბინეტში, სხდომაზე, სპეციფიკური პუბლიკა იკრიბებოდა: ყოფილი გენერალური პროკურორი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ბაზრის დირექტორი, რომლის შვილსაც ორმაგ მკვლელობაში ადანაშაულებდნენ და ა.შ. ეს ქართული „ტრადიციული“ ფასეულობების მატარებელნი შესანიშნავად ესადაგებოდნენ ერთმანეთს“*** *(იქვე, გვ. 47).*

ანუ სააკაშვილი იმთავითვე ასე აგდებით და ნეგატიურად უყურებდა ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს და რატომღაც სწორედ მის კაბინეტში შეკრებილ ზემოხსენებულ **„სპეციფიკურ პუბლიკას“** ასაღებს **„ქართული ტრადიციების“** განსახიერებად!

საინტერესოა, მისი შეხედულება **ნინო ბურჯანაძეზეც,** რომელიც მასთან ერთად დგამდა პირველ ნაბიჯებს პოლიტიკაში:

> ***„კომიტეტში, ჩემი მოადგილე ნინო ბურჯანაძე გახდა. ის ჩემზე 4 წლით უფროსია. მამამისი უძრაობის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კორუფციონერი იყო, მაგრამ შეეცადა, რომ ქალიშვილისთვის შედარებით კარგი განათლება მიეცა. სხვა დეპუტატებთან შედარებით ბურჯანაძე უფრო ცივილური იყო. მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, ფლობდა უცხო ენებს და მას, მისი მანერულობისა და სნობიზმის მიუხედავად, რაღაცაზე მაინც დაელაპარაკებოდი. დანარჩენებთან, უბრალოდ, არაფერზე საუბარი არ შეიძლებოდა“*** *(იქვე, გვ. 47).*

სააკაშვილი იხსენებს, რეფორმების ჩასატარებლად როგორ დაიწყო ახალგაზრდა კადრების მოძიება და საიდან გამოჩნდა მის გუნდში ერთ-ერთი ყველაზე ავადსახსენებელი მონსტრი:

> ***„კონკურსზე მოვიდა ბიჭი, იმდენად გამხდარი იყო, რომ მეგონა, ეს-ეს არის წაიქცევაო. ის დედაქალაქში რუსთავიდან*** *(თბილისიდან ნახევარი საათის სავალზეა)* ***დადიოდა. იქ შეიძლებოდა საკმაოდ იაფად ბინის ქირაობა. წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფლიდან იყო, ძალიან განათლებული აღმოჩნდა, იცოდა რამდენიმე უცხო ენა და, რა თქმა უნდა, ავიყვანეთ.*** *ეს იყო* ***ზურაბ ადეიშვილი,*** *ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ახლო თანამებრძოლი... მაშინ ავიყვანეთ* ***გიორგი პაპუაშვილი,*** *რომელიც მოგვიანებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გახდა და* ***კოტე კუბლაშვილი,*** *შემდგომში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.* ***ისინი 21-23 წლისანი იყვნენ“*** *(იქვე, გვ. 47-48).*

აი, ასე ქუჩიდან მოხეკილი ინგლისურისა და კომპიუტერის მცოდნე ბიჭბუჭებით დაიწყო სააკაშვილმა საქართველოს „რეფორმირება“, ანუ, მისი სიტყვებით, „ახალი საქართველოს დაფუძნება“!

მემუარისტი თავის „ვარსკვლავურ რეფორმატორებს“ შორის არ ახსენებს **ვანო მერაბიშვილს,** რომელსაც პრეზიდენტობისას, არც მეტი, არც ნაკლები, **„სახელმწიფოს ხერხემალს“** ეძახდა! მერაბიშვილს ის მოგვიანებით, სადღაც მიკუჭულში მოიხსენიებს — ასე ვთქვათ, მთლად უხსენებლობაც არ შეიძლებაო:

> ***„პარლამენტში ჩემი პირველი ვადით ყოფნის პერიოდში აქტიურად ვთანამშრომლობდი არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მაგალითად, მიწათმფლობელთა უფლებების დაცვის საზოგადოებასთან. მისი თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი იყო, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა“*** *(იქვე, გვ. 54).*

მემუარისტს თავისი „მოქკავშირული რეფორმატორობის“ პერიოდის მიმოხილვისას აქვს ერთი ძალიან საგულისხმო წამოცდენა, თუ რამდენად უშუბლისძარღვო და უზნეო კარიერისტია:

> ***„როდესაც ჟვანია მარწმუნებდა, არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო*** *(ანუ 1995 წელს რომ ჩავიდა ჟვანია სააკაშვილთან ამერიკაში — გ.გ.),* ***მაშინვე გავაფრთხილე, რომ შევარდნაძის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება მქონდა. ისე აღმზარდეს, რომ ბავშვობიდანვე არ მიყვარდა ყოველივე კომუნისტური და საბჭოთა. ჟვანიამ მთხოვა, რომ ეს თემა არ განმევრცო, მითუმეტეს, რომ შევარდნაძესთან საქმე არ მექნებოდა და მხოლოდ მასთან ვითანამშრომლებდი“*** *(იქვე, გვ. 56).*

წარმოიდგინეთ — ეს არსება ამერიკიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბის, ოღონდ ოცნება აიხდინოს, შევარდნაძის პარტიის სიით პარლამენტარი გახდეს და ამ დროს, თურმე, **„შევარდნაძის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება“** აქვს! როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს შევარდნაძის მიმართ, ფაქტია, რომ 1995 წელს არც სააკაშვილს და არც მისნაირ „რეფორმატორებს“ პარლამენტში არავინ აირჩევდა, რომ არა სწორედ შევარდნაძის პარტიის სიის წევრობა!



## შუბლზე ძარღვი ჩკა?

გარდა ამისა, როდესაც სააკაშვილი ასე ურცხვად ცდილობს შევარდნაძისაგან დისტანცირებას, უფრო და უფრო დიდი სიცრუის ტლაპოში ეფლობა — ისე აღმზარდეს, რომ ბავშვობიდანვე არ მიყვარდა ყოველივე კომუნისტური და საბჭოურიო!

**და ამას ამბობს არსება, რომელიც კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში დადო ბანდეროლივით მისმა კაგებეშნიკმა ბიძამ და საბჭოთა დიპლომატობისთვის ემზადებოდა!** და გახდებოდა კიდეც საბჭოთა დიპლომატი, საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო!

მემუარისტი შევარდნაძის თემას იქვე აგრძელებს და წარმოუდგენელ რამეს ამბობს:

> ***„შევარდნაძემ რამდენჯერმე შეკრიბა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეები, მაგრამ მე სხვადასხვა მიზეზით თავი ავარიდე შეხვედრას. ეტყობა, შევარდნაძეს ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და მასთან პირადად დამიბარეს. შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან უეცრად ხველა და ცემინება ამიტყდა. ამ კაცზე ნატურალური ალერგია მქონდა. ამის შემდეგ ერთმანეთი თითქმის აღარც გვინახავს“*** *(იქვე, გვ. 56).*

და ამის დაწერისთანავე სააკაშვილი **„ვარდების რევოლუციისას“** შევარდნაძესთან უკანასკნელი შეხვედრის გახსენებაზე გადადის!

**ასე მწარედ რატომ ცრუობ, მიშიკო?! ანუ შევარდნაძის დანახვაზე „ნატურალური ალერგია“ გქონდა და საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეობის შემდეგ მას თითქმის აღარც შეხვედრიხარ?!**

კი მაგრამ, **იუსტიციის მინისტრად შევარდნაძემ არ დაგნიშნა და მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე მასთან ერთად არ იჯექი ყოველ ორშაბათ დღეს?!**

აი, **თემურ მირიანაშვილმა** მთელი ქვეყნის გასაგონად იუსტიციის მინისტრს **„ცნობილი გიჟი“** რომ გეძახა, ეს შევარდნაძის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე არ მოხდა?! ანუ შევარდნაძემ მინისტრად რომ დაგნიშნა, მასზე **„ნატურალური ალერგია“** გაგქრობია!

დაბოლოს, ზემოთ ხსენებული მონაკვეთი, როდესაც სააკაშვილი „ვარდების რევოლუციისას“ შევარდნაძესთან უკანასკნელ აუდიენციას და მასთან დაკავშირებულ პიკანტურ დეტალებს იხსენებს:

> ***„როდესაც შევარდნაძემ გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო, შეგვხვდა: ჟვანიას, ბურჯანაძეს და მე. „ნინო, როგორ მომექეცი ასე? ბავშვობაში მუხლებში მეჯექი, შენს ოჯახთან ვმეგობრობდი“*** *— მიმართა მან ბურჯანაძეს და შემდეგ ჟვანიას მიუბრუნდა:* ***„ზურაბ, პოლიტიკაში მე მოგიყვანე, კაცი გაგხადე, როგორ შეგეძლო, ეს გაგეკეთებინა ჩემთვის“?*** *შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და თქვა:* ***„მიშასთან პრეტენზიები არ მაქვს, ჩვენ არასოდეს გვიყვარდა ერთმანეთი და არასოდეს ვყოფილვართ ახლობლები“*** *(იქვე, გვ. 56).*

ანუ სააკაშვილმა, **„რევოლუციური სამეულიდან“** მე ყველაზე ღირსეული ვიყავიო! ეს შევარდნაძემაც კი აღიარაო!

**შუბლის ძარღვი ჩკა! — ამას ასე ჰქვია!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# გია კაჭარავა:

# სამართალმა პური ჭამა, გაგა ჩხეიძე მოხსნილია კინოცენტრის დირექტორობიდან და ვისაც ამ ფაქტის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა უნდა, არაფერი გამოუვა!



***გასულ კვირას კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორობიდან გათავისუფლებულმა გაგა ჩხეიძემ აღნიშნა, რომ სამსახურიდან დაითხოვეს უკრაინის მხარდაჭერის გამო. ცნობილი რეჟისორი გია კაჭარავა ეხმაურება კინოცენტრის ყოფილი დირექტორის განცხადებას და ხმამაღლა ამბობს: „მაშინ, როდესაც უკრაინას მთელი საქართველო მხარს უჭერს, გაგა ჩხეიძის მხრიდან უსინდისობაა იმის თქმა, რომ ის უკრაინის მხარდაჭერის გამო დასაჯეს“:***

— **გაგა ჩხეიძე** კინოცენტრის დირექტორად პირველად სააკაშვილის დროს დანიშნეს და სწორედ მაშინ შეიმუშავეს ის დებულებები, დღემდე რომ ვერავინ შეცვალა. არ აინტერესებდათ, ვის რა ნიჭი და უნარი ჰქონდა, ადამიანებს არჩევდნენ პოლიტიკური ნიშნით და ვისაც უნდოდათ, კონკურსებზე იმათ უწერდნენ მაღალ ქულებს — შესაბამისად, აძლევდნენ დაფინანსებას. არადა, **ჩხეიძე ვალდებული იყო, ყველა კონკურსანტის მიმართ თანაბარი მიდგომა ჰქონოდა.** მისი მხრიდან დღეს იმის თქმა, რომ უკრაინის მხარდაჭერის გამო დირექტორობიდან მოხსნეს, სრული აბსურდია და სისულელე. **გაგა ჩხეიძემ კინოცენტრის დირექტორობის დროს ყველაფერი იკადრა, იყო მხოლოდ მასთან დაახლოებული გარკვეული ჯგუფის ლობისტი, ასევე იცავდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების ინტერესებს და სხვები ავიწყდებოდა.**

***— როგორი დამოკიდებულება ჰქონდა თქვენთან, როგორც რეჟისორთან?***

— ჩემს ფილმებს, რომლებსაც მილიონ-ნახევარი ნახვა აქვს, მდარე ხარისხის ფილმებს უწოდებდა. თვითონ ერთი ხარისხიანი ფილმიც კი ვერ გადაიღეს, საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ ადამიანებს სცენარისტებსა და რეჟისორებს კი უწოდებდა, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცოდა, ვინ ვინ იყო. ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ — სამართალმა პური ჭამა, გაგა ჩხეიძე მოხსნილია კინოცენტრის დირექტორობიდან და ვისაც ამ ფაქტის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა უნდა, არაფერი გამოუვა.

***— გაგა ჩხეიძე უკრაინის მხარდაჭერას რა ფორმით გამოხატავდა?***

— უკრაინის მხარდაჭერის მიზეზით სრული სისულელე თქვა — რუსეთის მიმართ პროტესტი იმით გამოვხატოთ, რომ იქიდან ჩვენი ქონების წამოღება შევწყვიტოთო. ესე იგი, რაც კი საბჭოთა დროს ქართული ფილმებია გადაღებული და რომელთა ორიგინალებიც რუსეთში ინახება, იმ ფირების წამოღება შევწყვიტოთო. გესმით, რაზე უნდა გვეთქვა უარი? **საქართველოში თითქმის ყველა ფირი განადგურებულია და კიდევ კარგი, რუსეთში მაინც შეინახეს და წამოღება შეგვიძლია.**

ჩხეიძეს რომ დავუჯეროთ, რუსებისადმი პროტესტის გამოხატვის მიზნით, ჩვენი განძი რუსეთში უნდა დავტოვოთ?! ეს იგივეა, ექვთიმე თაყაიშვილს რომ ეთქვა — გერმანიას პროტესტს ვუცხადებ და განძი საქართველოში აღარ ჩამომაქვსო. ჩვენი ფილმების ორიგინალი ფირები რუსეთში კი არ უნდა დავტოვოთ, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩამოვიტანოთ. საქმე იმაშია, რომ გაგა ჩხეიძეს ორმაგი ეშმაკობა ჰქონდა ჩაფიქრებული, საბჭოთა დროს გადაღებულ ჩვენს უნიკალურ ფილმებს რუსებს დაუტოვებდა და მომავალ თაობას ქართველი კაცისათვის მიუღებელ ფილმს — **„და ჩვენ ვიცეკვეთ...“** შეაჩებდა! არადა, მართლაც სირცხვილია, მსოფლიოს წინაშე ამ ფილმში ასახული საძაგლობით რომ წარვდგეთ!



გაგა ჩხეიძე

***— რუსეთში უნდა დაეტოვებინათ იმ ქართული ფილმების ორიგინალი ფირები, რომელსაც მსოფლიომ „ქართული ფილმის ფენომენი“ უწოდა?***

— დიახ. სამაგიეროდ, ყველაფერი გააკეთეს, რომ ფილმი — **„და ჩვენ ვიცეკვეთ...“** ბერლინში წარმოედგინათ, გამოყვეს დაფინანსებაც, წაიღეს კიდეც, მაგრამ, ვინაიდან მსგავსი ფილმები თვითონაც ათასობით აქვთ, ამათი ნამუშევარი არავინ ინდომა! **ამ ფილმის დაფინანსებით გაგა ჩხეიძემ თავლაფი დაასხა ჩვენს კულტურას, ტრადიციასა და ფოლკლორს, დაუშვა, რომ ტრადიციული ქეიფის ნაცვლად, კადრში ეჩვენებინათ ჭურის თავზე აღძრული სექსუალური ვნებები, შეურაცხყო ყველივე ის, რითიც ქართველები ვამაყობთ.** ჩვენი სიმღერა „წინწყაროც“ დააკნინა და ქართული ცეკვაც. **მაყურებელს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხი მაინცდამაინც ქართულ ჩოხაში გამოწყობილი უნდა ენახა?! ხმამაღლა ვამბობ: ეს არის საძაგლობა, არ მომწონს და არც არასდროს მომეწონება!**



გაგა ჩხეიძე დირექტორობიდან გათავისუფლების მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ კინოცენტრის საიტი დროზე ვერ გააკეთეთო, თუმცა, ძალიან კარგად იცის, რომ საიტის გამო დირექტორს თანამდებობას არ ატოვებინებენ. ჩხეიძის გათავისუფლების მიზეზია არა უკრაინის მხარდაჭერა ან საიტის დაგვიანება, არამედ სერიოზული გადაცდომები! მის საქმიანობას ამ თანამდებობაზე აუდიტი შეისწავლის, კანონის წინაშე ყველამ პასუხი უნდა აგოს.

***— თავის დროზე გაგა ჩხეიძეს კინოცენტრის თანამდებობაზე რა უფლებები მიანიჭეს?***

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

## „ვერც სააკაშვილს ავიტანთ და ვერც გაგა ჩხეიძეს კინოცენტრის დირექტორად!“

— კულტურის მინისტრი ნიშნავდა კინოცენტრის დირექტორს, რომლის საქმიანობაშიც შემდეგ აღარ ერეოდა და ის უკვე ერთპიროვნული მმართველი ხდებოდა, თვითონ არჩევდა კომისიის წევრებსაც. შემდეგ ესენი კონკურსებზე იმათ უწერდნენ მაღალ ქულებს, ვისაც თავისიანად მიიჩნევდნენ. სრულიად ნათელია, რომ აქ იყო გარიგება და ნეპოტიზმი. ამის დოკუმენტაცია არსებობს. მე და ჩემნაირებს სპობდნენ, მდარე ფილმებს იღებენო. ჩხეიძის მხარდაჭერით გადაღებულ ფილმებს მაყურებელი ცალსახად უარყოფითად აფასებს, ამათ ხომ ფილმის გადაღება ვერ ისწავლეს, ქართული კინო დაასამარესო. **როცა ჩხეიძე ჩემს ფილმებს მდარეს უწოდებს, შეურაცხყოფას აყენებს ორ მილიონამდე მაყურებელს, რომელსაც მოსწონს ჩემი ნამუშევრები.** ხალხის მხრიდან ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ პატივისცემას, ქუჩაში, მაღაზიაში, თუნდაც, როდესაც საგზაო წესს ვარღვევ და პოლიციელი მაჩერებს... გაგა ჩხეიძე გაბრაზებულია, მილიონები დახარჯეს და მაყურებლის სიმპათია ვერ დაიმსახურეს, ჩემთან ბრძოლა უკვე პიროვნულ დაპირისპირებაში გადაეზარდა. ვეუბნებოდი — მომეშვი და სისტემა გააუმჯობესე-მეთქი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ, თუკი გააუმჯობესებდა, მაშინ ფულს ვეღარ გააკეთებდა! **ჩხეიძე დღეს ისეთ მდგომარეობაშია, როგორც სააკაშვილი, რომელიც სასამართლო პროცესზე სანთელს ანთებს და ამბობს, უკრაინისათვის ვლოცულობო და უნდა, რომ მსოფლიომ მაგის მარაზმს უყუროს.** ვერც სააკაშვილს ავიტანთ და ვერც გაგა ჩხეიძეს კინოცენტრის დირექტორად.

***— კინოცენტრის მუშაობას რამდენიმე წელი აპროტესტებდით...***

— ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, 2 წელი ქუჩაში ვიდექი, **გაგა ჩხეიძე** ამბობდა — ფაშისტები მოვიდნენ და პროტესტს მიცხადებენო. ახლა სახეზეა მისი საქმიანობის ყველა ნიუანსი, იმის გარდა, რომ კინოცენტრიდან გაათავისუფლეს, უნდა დაამტკიცოს, რომ თანამდებობაზე ყოფნის დროს დანაშაული არ ჩაუდენია. ძალიან კარგად ვიცნობ ჩხეიძის ხასიათს — თუკი შეატყობს, რომ საქმე ცუდად წაუვიდა, ყველას, ვისთანაც გარიგებაში იყო, გვერდით მოისვამს. ასეა, სამართალმა უნდა იზეიმოს, ქართული ეროვნული კინოცენტრი ქართველი საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა იმ პოლიტიკას, გაგა ჩხეიძემ კინოცენტრში რომ გაატარა და ქართველებს თანამედროვე ქართული კინო შეაძულა. ამასაც ვიტყვი — **ჩხეიძემ წასვლის წინ კუდის მოქნევა სცადა და 2023 წლის კონკურსები გამოაცხადა. ისევ გათვლა ჰქონდა, ამ კონკურსებით კინოცენტრისთვის კიდევ გარკვეული ვალდებულებები ჩამოეკიდა, მაგრამ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.** ასე რომ, მჯერა: ქართული კინო კიდევ იტყვის თავის მაღალ სიტყვას მსოფლიო კინემატოგრაფიაში!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი*



ნაციონალები საკუთარი ტელევიზიებით **ფაშისტურ იდეოლოგიას ქადაგებენ.** ნაციონალური მოძრაობა დღეს ხელისუფლებას მოუწოდებს, **ფაშისტური (ეროვნული) ნიშნით არ შემოუშვას ქვეყანაში რუსი ტურისტები.** ისმის მოწოდებები, რესტორნებმა **ფაშისტური (ეროვნული) ნიშნით არ უმასპინძლონ რუს ტურისტებს.**

**კითხვა №1.** 2008 წელს საქართველოს მიწებს რომ აბარებდით რუსეთს, **მაშინ არ იყო რუსეთი ოკუპანტი?**

**კითხვა №2.** 2008 წელს სტრატეგიული ობიექტები რომ მიყიდეთ რუსეთს, ომის დამთავრებიდან 10 დღეში (მათ შორის, წყალი), **მაშინ არ იყო რუსეთი ოკუპანტი?**

**კითხვა №3.** ომის დამთავრებისთანავე რომ გააუქმეთ სავიზო რეჟიმი რუსეთთან, **მაშინაც არ იყო რუსეთი ოკუპანტი?**

„იმედინიუსი“

**გურამ სალარაძე**
*ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სტიქაროსანი*



**მრავალომ-გადატანილი ქართველი ხალხი ბრძენია.** ერთი ჩვენი ანდაზისა არ იყოს: „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“, ისე არ დაგვემართოს, რომ ჩვენ, ადამიანებმა, დათვი გამოვთხაროთ. არადა, აგერ, **ზედ კარზეა მტაცებელი მომდგარი. ფრთხილად, თორემ რა საშინლად დატორვა იცის გაღიზიანებულმა დათვმა, არავის ესწავლება.** დროა, ერთხელ და სამუდამოდ დავგმოთ **ურაპატრიოტიზმი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ფსიქოლოგი*



**უკრაინელებს უნდათ ქართველების ჩართვა რუსეთთან დაპირისპირებაში.**

„თბილისელები“

**რეზო ჩხიკვიშვილი**
*მსახიობი*



**როდის დადგება დარაბებს მიღმა გაზაფხული?** — როცა **პუტინი** აღარ იქნება!

„კვირის პალიტრა“

*ქართველი მეცნიერი, ექიმი კახა საბახტარიშვილი* ***იმ საფრთხეზე გვესაუბრება, რასაც ადამიანის ორგანიზმს ქრონიკული და ხანგრძლივი სტრესი უქადის. ცნობილი ჰომეოპათი გვაფრთხილებს, რომ მძიმე გარემო, რომელსაც, მაგალითად, სამხედრო კონფლიქტი და ომიანობა იწვევს, ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისა და, მათ შორის, ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციაზე — შთამომავლობის დატოვების უნარზე — უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს:***



# კახა საბახტარიშვილი:

# თუ გვინდა, სტრესი მალე დავძლიოთ, ბანანი, შავი შოკოლადი, ჟელატინი, მზესუმზირა და მრავალძარღვას თესლი უნდა მივიღოთ!




— შიში, სტრესი და დაძაბული გარემო ადამიანის ორგანიზმზე დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს. განსაკუთრებით ეს თვალში საცემი ხდება, როცა ქვეყანაში საომარი ვითარებაა და ადამიანები იხოცებიან. პირდაპირ უნდა ითქვას: **ომიანობის დროს ადამიანის ორგანიზმი მუშაობის საგანგებო რეჟიმში გადადის და ზოგადობაც კი სერიოზულად ეცემა.**

საერთოდ, ყველა ცოცხალი ორგანიზმის და, მათ შორის, ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია შთამომავლობის დატოვებაა. ამისათვის ქალებისთვის დამახასიათებელია ოვულაციური ციკლი, რაც გულისხმობს კვერცხუჯრედის მომწიფებას განაყოფიერებისათვის და სასქესო ჰორმონების გამომუშავებას. ანალოგიური პროცესი ხდება მამაკაცის ორგანიზმშიც, რაც დაკავშირებულია სპერმატოზოიდების გამომუშავებასთან, ერექციასთან და ეაკულაციასთან. როდესაც ორგანიზმი ძლიერ და ქრონიკულ სტრესს განიცდის, მას სჭირდება ენერგეტიკული რესურსები, რათა სტრესული სიტუაცია დაძლიოს. **ასეთ დროს როგორც ქალის, ისე მამაკაცის ორგანიზმში თავის ტვინი ავტომატურად ამუხრუჭებს შთამომავლობის გაგრძელებასთან დაკავშირებულ პროცესებს და მთელი ეს გამოთავისუფლებული ენერგია ხმარდება სტრესიდან გამოსვლას.**

გარდა ამისა, თუ ქალი სტრესულ პირობებში დაფეხმძიმდება, ეს საზიანოა ნაყოფისათვის. ამიტომაც ომისა და არეულობის დროს ქალთა სასქესო ჰორმონების პროდუქცია მცირდება, კვერცხუჯრედის მომწიფება-განაყოფიერებისათვის ოვულაციის ფუნქცია, ასე ვთქვათ, გამოირთვება და სქესობრივი ლტოლვაც იკლებს, რაც ქალის ორგანიზმისთვის, საბოლოო ჯამში, ხელსაყრელია. **ბუნება თითქოს ყველაფერს აწესრიგებს, რათა შთამომავლობის გაგრძელების ფუნქცია უკეთესი დროისთვის გადაიდოს.** ამიტომაც იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ეს კანონზომიერება ყველა ომისშემდგომ პერიოდს ახასიათებს.

**— კიდევ რა ცვლილებებს იწვევს საომარი ვითარება და მძიმე ემოციური სტრესი ადამიანის ორგანიზმში?**

— მასირებული დაბომბვის დროს, თუნდაც დღევანდელ უკრაინაში მოსახლეობა ვერ იძინებს, რაც ჯანმრთელობისათვის ფრიად საზიანოა. საქმე ის გახლავთ, რომ მხოლოდ სიბნელეში და თანაც ღამის საათებში გამოიმუშავებს თავის ტვინის ეპიფიზის ნაწილი უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ ჰორმონს — **მელატონინს,** რომლის როლიც განუზომელია ორგანიზმისათვის.

**— მაინც რა ფუნქცია აქვს მელატონინს?**

— მელატონინის ფუნქციებია: **ძილის რეგულაცია, ორგანიზმის დაცვა სტრესისა და მისი შედეგებისაგან, მაღალი იმუნიტეტის შენარჩუნება და ტკივილის შემცირება.** უკანასკნელი კვლევებით, მელატონინი ორგანიზმს მთელი რიგი ონკოლოგიური დაავადებებისგანაც იცავს. 2001 წლის მონაცემებით, იმ მამაკაცებში, რომლებსაც პროსტატის კიბო ჰქონდათ, მელატონინის დონე თითქმის ყველა შემთხვევაში დაბალი იყო. ამასთან, **მელატონინის ნორმალური შემცველობა განაპირობებს ქოლესტერინის დაბალ დონეს და ნორმალურ არტერიულ წნევას.**

**— როგორ მივხვდეთ, რომ მელატონინის დონე ნაკლები გვაქვს?**

— უძილობა და დილით დაღლილობის შეგრძნებით ადგომა იმის უპირველესი ნიშანია, რომ მელატონინის ნაკლებობას განვიცდით. გარდა ამისა,

**მელატონინის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს ჰიპერტონია, ფეთქებადი ხასიათი, უიმედობის შეგრძნება, ფორიაქი და დაბალი იმუნიტეტის გამო ინფექციებისკენ მიდრეკილება.**




ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **თუ გვინდა, უკრაინელებს დავეხმაროთ, გასაგზავნ მედიკამენტებს შორის აუცილებლად ჩავრთოთ მელატონინი, რადგან ზემოხსენებული სიმპტომები, რომლებიც მელატონინის ნაკლებობაზე მიუთითებს, აბსოლუტურად ყველა უკრაინელს ექნება.**

**გვახსოვდეს, რომ მელატონინი მხოლოდ და მხოლოდ ძილის დროს გამომუშავდება – 02.00 საათიდან 05.00 საათამდე.**

ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს მძიმე ინფორმაციაც, რომელიც უკრაინიდან ყოველდღიურად მოგვდის. კვლევებმა უჩვენა, რომ ადამიანს ძალიან უადვილდება ცუდი ამბების მოსმენა, რასაც ფსიქოლოგიაში **„ნეგატიურობის ეფექტი“** ჰქვია. ეს გახლავთ მრავალთა შინაგანი სურვილი, მოისმინონ და დაიმახსოვრონ ცუდი ამბავი. სამწუხაროდ, ადამიანები ძალიან სწრაფად რეაგირებენ ისეთ სიტყვებზე, როგორიცაა — **„ომი“, „ხანძარი“, „სისხლი“, „გვამი“...** ფსიქოლოგების აზრით, ცუდ ნიუსებზე ადამიანის დამოკიდებულება ადრენალინის ნაკლებობით არის გამოწვეული, **ანუ ადამიანს, რომელსაც ადრენალინი აკლია, ამ ჰორმონს ნეგატიურ ინფორმაციაში ეძებს და იღებს კიდეც,** მაგრამ, თუ ადრენალინისა და „შიშის ჰორმონის“ — **კორტიზოლის** გამოყოფა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება, მაშინ ის უკვე სახიფათო ხდება. საქმე ის გახლავთ, რომ თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული კორტიზოლის რაოდენობის მომატების კვალდაკვალ მკვეთრად ეცემა **ლეიკოციტების რიცხვი,** რაც სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითება! შეშინებული და დაზაფრული ადამიანის იმუნიტეტი სუსტია... აქედან გამომდინარე, სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ საქართველოში ქრონიკული დაავადებების რიცხვი მკვეთრად მოიმატებს! **აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კორტიზოლი, რომელიც სტრესის დროს ჭარბად გამოიყოფა, სისხლძარღვების კედლებს აზიანებს, რაც ინფარქტისა და ინსულტის წინაპირობაა!**

**— როგორ შეიძლება ამ ყველაფრის განეიტრალება?**

— საბედნიეროდ, ორგანიზმში ასევე გამომუშავდება **„ბედნიერების ჰორმონი“ — სეროტონინიც.** ის ერთ-ერთი უმთავრესი ჰორმონია, რომელიც თავის ტვინის 40 მილიონზე მეტ უჯრედზე ახდენს უდიდეს გავლენას. საუბარია თავის ტვინის იმ უჯრედებზე, რომლებიც მართავენ განწყობას, სექსუალურ ლტოლვას, მადას, ძილს, მეხსიერებასა და ათვისების უნარს. **სეროტონინი მხოლოდ მზის შუქზე გამომუშავდება და ამიტომაც მზეზე ხშირად უნდა ვიაროთ!**

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, სეროტონინის 80 პროცენტი — კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი თავის ტვინში გამომუშავდება. მეცნიერულად დასტურდება, რომ ადამიანის ბედნიერების გზა არა ტვინზე, არამედ კუჭზე გადის! ამიტომ თუ გვინდა, რომ სტრესი მალე დავძლიოთ, მივიღოთ ისეთი საკვები, რომელიც სეროტონინის გამომუშავებას უწყობს ხელს. ეს პროდუქტებია: **ბანანი, შავი შოკოლადი, ჟელატინი, მზესუმზირა და მრავალძარღვას თესლი.**

**„თუ გვინდა, უკრაინელებს დავეხმაროთ, გასაგზავნ მედიკამენტებს შორის აუცილებლად ჩავრთოთ მელატონინი!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*თბილისის ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი*



მოსახლეობას აინტერესებს, **დამთავრდა თუ არა პანდემია,** მაგრამ ჯერ ამის გარანტიები არ გვაქვს — **ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-სა და ევროპაში დაფიქსირებულია ახალი შტამი „დელტამიკრონი“.**

„ინტერპრესნიუსი“

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი*



როგორ გული მწყდება, რომ **ზოგიერთ ქართველს ავიწყდება, ჩვენ ვეფხისა და მოყმის ბალადის ქვეყანა ვართ.** გერმანელ ტყვეებს მეორე მსოფლიო ომის დროს მშიერი ქართველები თავიანთ ლუკმას უყოფდნენ. ჩვენი მტერი, საქართველოს მტერი, თითქმის ყველა მეზობელია, მაგრამ ხალხს ყოველთვის კარგად ვექცეოდით და ასე იქნება მუდამ. **მე ვამაყობ, რომ ვარ ქართველი ყველა იმ სიკეთის გამო, რა სიკეთეც გაგვაჩნია.** რა, **თურქი** არ იყო დამრბევი, **სპარსი** — არა? **გერმანიამ** სამასი ათასი ქართველი არ შეიწირა? **ხალხი არაფერ შუაშია, პასუხს არ აგებს დამპალი პოლიტიკოსების მაგივრად.**

„ახალი თაობა“

**ზაზა ხუციშვილი**
*მუსიკოსი*



შოუ-ბიზნესისთვის კატასტროფული მდგომარეობა დაიწყო სწორედ მაშინ, როცა **„ჩვენიანებად“** და **„სხვისიანებად“** დაიწყეს შემსრულებლების დაყოფა. 2008-2009 წლებში, როცა რამდენიმე პოლიტიკური განცხადება გავაკეთე, **შავ სიაში აღმოვჩნდი** და რამდენიმე კონცერტი დამიბლოკეს.

„თბილისელები“

**რატი გაჩეჩილაძე**
*სამეჯლისო ცეკვების დინასტიის წარმომადგენელი*



**ჩემმა ცოლმაც თუ აიღო ხელში იარაღი, ომში მეც გავყვები.** ძალიან მინდა, რომ კარინას ოჯახის წევრები ჩვენ გვერდით, თბილისში იყვნენ, მაგრამ **მათ არ სურთ ქვეყნის დატოვება.** კარინას რძალი თავისი მეუღლის გარეშე არ ტოვებს ქვეყანას. იმავეს აკეთებს კარინას დედაც. **ეს ქალები ქმრებს უდგანან გვერდში.**

„სარკე“

# გუბაზ მეგრელიძე:

# ია ქანთარია რუსთაველის თეატრის მუზეუმს ასე გამოემშვიდობა –

## მშვიდობით, მშობლიურო რუსთაველის თეატრო, 14 წელიწადი შენთვის ერთგული ვიყავი!




***ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ცნობილი ჟურნალისტი გუბაზ მეგრელიძე 30-ან წლებში შედგენილი დაკითხვის ოქმების მიხედვით აგრძელებს რუსთაველის თეატრში არსებული სიტუაციის აღწერას და სანდრო ახმეტელთან ერთად დახვრეტილი, ამავე თეატრის მსახიობისა და სალიტერატურო ნაწილის გამგის ია ქანთარიას დაკითხვის ოქმების საზოგადოებისათვის გაცნობას:***

— **ია ქანთარია** 1924 წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო, მერე დაინიშნა რეჟისორის თანაშემწედ და სამხატვრო საბჭოს მდივნად. 1930 წელს სანდრო ახმეტელმა სალიტერატურო ნაწილის გამგედ გადაიყვანა. 1932 წელს მან უკვე მუზეუმი ჩამოაყალიბა, თეატრში ითვლებოდა ახმეტელის თანამებრძოლად, თუმცა, დაკითხვის ოქმებში აღიარებს, რომ ახმეტელმა გადაიბირა.

**— რა ვითარებაში?**

— ქანთარია წერს, რომ ახმეტელმა ის დააახლოვა ტროცკისტად მიჩნეულ, „სახელგამის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ქალთან **ლიდა გასვიანთან.** ქანთარია რუსთაველის თეატრიდან 1935 წლის 1 დეკემბერს გაათავისუფლეს, ბრალად დასდეს თეატრის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანა, თეატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის ჩაშლა. ია ქანთარია თეატრის მუზეუმს ასე გამოემშვიდობა: **„3 დეკემბერს ჩავაბარე მუზეუმი. მშვიდობით, მშობლიურო რუსთაველის თეატრო! 14 წელიწადი შენთვის ერთგული ვიყავი“.** ია ქანთარია ახმეტელის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და 1937 წლის 29 ივნისს დახვრიტეს. გასათვალისწინებელია ის, რომ შინსახკომში საერთოდ დაკითხვები ზეწოლის და წამების ქვეშ მიმდინარეობდა ხოლმე.




**— დაკითხვის ოქმის მიხედვით ვის უპირისპირდება ია ქანთარია?**

— ის წერს — თეატრში **აკაკი ვასაძე** ჩემი მოწინააღმდეგე იყო, არ სურდა, რომ რეჟისორის თანაშემწე ვყოფილიყავი და ჩემი მოხსნა უნდოდა. ვასაძესთან ერთად ასევე ასახელებს **ივანე ლალიძეს** — მასაც უნდოდა, რომ ახმეტელს თეატრიდან გავეთავისუფლებინეო.

1932-1933 წლებში, როდესაც ქანთარია ლიტერატურული ნაწილის გამგე იყო, რუსთაველის თეატრის რეკლამირება და მარჯანიშვილის თეატრის კრიტიკა ევალებოდა, რასაც პირნათლად ასრულებდა კიდეც. თუმცა, იყო მომენტები, როდესაც თეატრში ყოფნა უკვე აღარ სურდა. დაკითხვის ოქმში წერს, რომ რუსთაველის თეატრის ბაქოს გასტროლის შემდეგ, როცა **ახმეტელმა** თეატრიდან გაუშვა **აკაკი ხორავა,** თვითონაც მოუნდა თეატრის დატოვება. — **გული ამიცრუვდა საბჭოთა თეატრზე, ახალგაზრდა კაცი აქ პენსიონერ მუშაკად გადავიქეცი, თეატრში ანტისაბჭოთა ჭაობი დგას.**

**— ქანთარიამ რუსთაველის თეატრში არსებულ სიტუაციას ანტისაბჭოთა უწოდა?**

— ის წერს — ახმეტელმა გადამიბირა, ანტისაბჭოთა პიესები იდგმებოდაო... დაკითხვის ოქმებში ქანთარია ახმეტელის მუშაობას ნაციონალისტურს უწოდებს. ამასთან, ასახელებს რეგიონულ თეატრებს, რომლებსაც რუსთაველის თეატრი უწევდა შეფობას. მაგალითად, **ჭიათურის თეატრს,** სადაც 1927-1928 წლებიდან რეჟისორად მივლენილი იყო **პავლე ფრანგიშვილი** და ის რუსთაველის თეატრის რეპერტუარით მუშაობდა, თავისი კადრები არ ჰყავდა. ქანთარიას თქმით, რუსთაველის თეატრის გავლენის ქვეშ იყო **სიღნაღის თეატრიც,** სადაც თავიდან მოხუცი რეჟისორი **მატარაძე** დგამდა სპექტაკლებს. რუსთაველის თეატრიდან იქ მიავლინეს რეჟისორი **კუკური პატარიძე.** შემდეგ, როცა მატარაძე კონფლიქტის გამო თეატრიდან წავიდა, მუშაობა გააგრძელა რუსთაველის თეატრის რეჟისორმა **შოთა ალსაბაძემ.** რუსთაველის თეატრს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა **ზუგდიდის თეატრზე,** პირველ ხანებში მას რუსთაველის თეატრის ფილიალადაც კი მიიჩნევდნენ. როგორც ია ქანთარია წერს, ზუგდიდის თეატრი რეჟისორებითა და მსახიობებით არ გამოირჩეოდა, ადგილზე მუშაობდა მარადმწვანე სტუდენტი — **რეჟისორი იოსელიანი** და ზარმაცი **რეჟისორი დოლონაძე.** ერთხანს ზუგდიდში უმუშავია **აკაკი ვასაძესაც.**

**— სად იყო ამ დროს აკაკი ხორავა?**

— დაკითხვის ოქმის მიხედვით, ხორავა **სენაკის თეატრში** ყოფილა მივლინებული, თუმცა, ქანთარიას ცნობით, ხორავა ანტისაბჭოთა მუშაობაში ჩართული არ ყოფილა.

რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკების თეატრებს, იქ საბჭოეთის საწინააღმდეგოდ არავინ მუშაობდაო და მხოლოდ მათზე ამახვილებს ყურადღებას, ვინც თეატრის კადრების შევსებაში იღებდა მონაწილეობას.

**— კადრებს ვინ არჩევდა?**

— მაგალითად, სოხუმის თეატრში — **აკაკი ვასაძე,** აჭარაში — **ახმეტელი,** ასევე **ვასაძე, შოთა ალსაბაძე** და **ზიორბი დავითაშვილი.** სამხრეთ ოსეთში თეატრის დირექტორად დანიშნული იყო **ვინმე ლოხოვი,** 1934 წელს პირველი სტუდიური გამოცდები ჩაატარეს **აკაკი ვასაძემ, ია ქანთარიამ და ბუჟუჟა შავიშვილმა.** მართალია, ია ქანთარიას დაკითხვისას გამომძიებლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მამხილებელი ინფორმაცია მიეღოთ, მაგრამ იმაზე უფრო ამახვილებდნენ ყურადღებას, როგორი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს თეატრებში და რომ ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა სანდრო ახმეტელს.

**— ია ქანთარიას ახმეტელი ანტისაბჭოთა რეჟისორად არ დაუსახელებია?**

— წერდა — ახმეტელმა დამამუშავა და შოვინიზმის ტალახში ვიყავი ჩაფლული, რადგან მარქსისტული მეცნიერება იქ არ არსებობდაო. ქანთარიამ აღწერა თავისი დაპირისპირება კორპორაცია **„დურუჯთანაც“** — კორპორანტებს არ ვუყვარდი, 20-დან 15 კაცი ჩემი წინააღმდეგი იყოო. 1926 წელს ქანთარიამ ორგანიზება გაუკეთა ახალგაზრდების ჯგუფს და „დურუჯის“ წინააღმდეგ მიმართა. ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო, ბოლოს კი დაწერა — თეატრმა დამსაჯა და როგორც მსახიობი, მოვკვდიო. ერთი წლის შემდეგ ქანთარია თეატრიდან წავიდა, მასთან ერთად — მისივე ჯგუფიც.

**— ია ქანთარია თეატრში აღარ დაბრუნებულა?**

— ახმეტელმა დააბრუნა, მაგრამ სხვები არ იმჩნევდნენ. ასეთ სიტუაციაში აღმოჩენილი ოქმში აღნიშნავს — ახმეტელივით ანტისაბჭოთა ფიქრები მქონდა, ცოლ-შვილთან ერთად 8 წელი ცემენტისიატაკიან 7 კვადრატულში ვიცხოვრე, თეატრში კი ხელფასი 325 მანეთი მქონდაო... ქანთარია თეატრის ადმინისტრატორადაც მუშაობდა, მაგრამ ხელფასს არ იღებდა. მიუხედავად ამისა, რატომღაც **აკაკი ვასაძე** მისით მაინც უკმაყოფილო იყო და უნდოდა, რომ თეატრი დაეტოვებინა.

**— ია ქანთარია ახმეტელთან ერთად დაიხვრიტა. იყვნენ თუ არა ისინი მეგობრები?**

— ისინი მეგობრები იყვნენ, თუმცა, ოქმში წერს: 1930 წლიდან ახმეტელი დამიახლოვდა და როცა უკვე ჩემიანად მივიჩნიე, მივხვდი, რომ ეს იყო პოლიტიკა, თეატრის ჩაკეტილი ატმოსფერო მსახიობების გადასაბირებელი სივრცე იყოო.

**— ახმეტელის გარდა, ია ქანთარიაზე ვინ მოახდინა ზეგავლენა?**

— როგორც გითხარით, „სახელგამის“ თანამშრომელმა **ლიდა გასვიანმა,** რომელიც 1933 წელს მოსკოვში გასტროლის დროს ახმეტელმა გააცნო. თბილისში გასვიანს ქანთარია ხშირად ხედავდა ახმეტელთან და ხორავასთან ერთად, ერთხანს ის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრადაც დანიშნეს. როცა ახმეტელი თეატრიდან მოხსნეს, ქანთარიას უთხრა — გასვიანს მიმართე, სამსახურს გამოგინახავსო. არადა, **ქანთარიამ იცოდა, რომ ახმეტელის შემდეგ ვასაძე მას თეატრში აღარ გააჩერებდა.**

**— ლიდა გასვიანმა ქანთარიას სამუშაო მისცა?**

— ესტრადის ბრიგადაში ჩართო, გამოდიოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში... როგორც ქანთარია წერს, ამის მერე გასვიანი აღარ უნახავს. საბოლოოდ ეს გასვიანიც დახვრიტეს, ია ქანთარიაც და დარჩა მხოლოდ მისი აღიარებითი ჩვენებები. სხვათაშორის, ლიდა გასვიანი კონსტანტინე გამსახურდიას ფავორიტ ქალებში ითვლებოდა და მათ მცირეხნიანი რომანიც ჰქონდათ.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიდაშვილი***



ცენტრში — **სანდრო ახმეტელი** და **ლიდა გასვიანი** რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად, **1935 წელი**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



მე, როგორც **მამაჩემისა და ბაბუაჩემის მემკვიდრეს,** განზრახული მაქვს, **კოლხური კოშკი გადავცე სახელმწიფოს.**

„ტაბულა“

**ლადო პაპავა**
*ეკონომისტი*



პურისა და პურპროდუქტების **გაძვირება თითქმის გარდაუვალია.** ეს შეიძლება შეეხოს სხვა პროდუქტებსაც.

„კვირის პალიტრა“

**ოთარ შამუგია**
*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი*



არცერთი პროდუქტის იმპორტის მიმართულებით არ არის შეფერხება; **ქვეყანაში არის იმ რაოდენობის მარაგი, რაც საჭიროა** მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

„რეზონანსი“

**ლუკა კურტანიძე**
*ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი*



მე რომ მქონდეს უფლებამოსილება, **ხატია დეკანოიძესა და მისნაირ პარაზიტებს** დღესვე დავაპატიმრებდი. მისი განცხადება ღალატის ტოლფასია.

„GTMEDIA“

**თეონა ცხომელიძე**
*ტელეჟურნალისტი*



ისე დალაგდა დღეს საქართველოში მედია, **რომ აუცილებლად რომელიღაცა პოლიტიკური პარტიის თამაში უნდა ითამაშო.** თუ გინდა, უბრალოდ აკეთო შენი საქმე, დღეს შენი ადგილი არისაა.

„სარკე“



# ივან კრულკო და მიხეილ კრული



***წინა კვირას ქართულ ციფრულ მედიაში უკრაინის რადას დეპუტატის ივან კრულკოს ინტერვიუ გამოქვეყნდა და უამრავ სისულელესთან ერთად ქართველები იმაშიც დაგვაკვალიანა — ტერიტორიების დასაბრუნებლად დროა, აფხაზეთსა და ცხინვალს შეუტიოთო!***



სხვათაშორის, კრულკომ, ნებსით თუ უნებლიეთ, იმის მიზეზიც განმარტა, რის გამოც პრეზიდენტ ზელენსკის კაბინეტი დიდი ხანია, საქართველოდან დევნილი ვირთხების ბუნაგად იქცა. **მართლაც, შუა საუკუნეებში, როგორც კასპიის ზღვაში მდებარე ერთ პატარა კუნძულზე სახლობდნენ ყველასაგან მოკვეთილი, მოძულებული და გარიყული კეთროვნები, ზუსტად ისე**

**ორი გვამით მოვაჭრე ვანო მერაბიშვილი, ლაფანყურის სისხლისღვრის მთავარი შემოქმედი და სააკაშვილის საქართველოში შემომთრეველი გია ლორთქიფანიძე, უსამშობლო დავით არახამია, წყეული ზურაბ ადეიშვილი და ადეიშვილის საყვარელიძე უკრაინაში ზელენსკისთან არიან შეფარებული და საქართველოს ასაოხრებლად გეგმებს აწყობენ!**

დეპუტატმა **ივან კრულკომ** თქვა ის სიმართლე, რაც ვერ გვითხრა პუტინთან მებრძოლმა ზელენსკიმ. კერძოდ, როცა რადას დეპუტატს ჩვენმა ქართველმა კოლეგებმა იმის შესახებ ჰკითხეს, თუ რატომ გაიწვია უკრაინის პრეზიდენტმა თავისი ელჩი **იგორ დოლგოვი** საქართველოდან, მან განაცხადა — **რამდენადაც მესმის, მიზეზი მხოლოდ ომის ვითარებაში საქართველოს თავშეკავებული პოზიცია არ ყოფილა. არის სხვა მიზეზებიც, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილის ციხეში ყოფნა. უკრაინის ელჩს საქართველოში პირადად ვიცნობ, პროფესიონალი დიპლომატია, ის ახლა კონსულტაციებზე იმყოფება და, იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში გააგრძელებს პროფესიონალურ მუშაობას თბილისში. მაგრამ მიზეზები იმისთვის, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მიეღო, პრეზიდენტ ზელენსკის საკმარისად ჰქონდა და ისინი ზუსტადაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ოფიციალური ხელისუფლება ყოველთვის არ მიჰყვება იმას, რასაც გრძნობს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობისა და ხალხის უმრავლესობა!**

მოკლედ, როგორც **ივან კრულკომ** გვითხრა, თურმე, **მიხეილ კრულის** ვირის აბანოში გამომწყვდევა ყოფილა იმის მთავარი მიზეზი, რის გამოც ზელენსკის ელჩი დოლგოვი საქართველოდან საკონსულტაციოდ გაუწვევია; თუმცა, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ უკრაინის ელჩი კიევში კი არა, დღემდე თბილისშია და ჟურნალისტებს საგულდაგულოდ ემალება!

ამ აღიარებით **ივან კრულკომ,** ფაქტობრივად, ისიც გვითხრა, რის შესახებაც რახანია, ვწერთ და საზოგადოებას ვარწმუნებთ — კერძოდ, **სააკაშვილი, ანუ მიხეილ კრული** სინამდვილეში უკრაინიდან საქართველოში ყველასაგან უჩუმრად კი არ შემოპარულა, არამედ ვოლოდიმირ ზელენსკიმ შემოგვაპარა, როგორც ტროას ცხენი, რათა 2021 წლის 2 ოქტომბერს ნაცფიურერს თბილისში გადატრიალება მოეწყო, ხელისუფლებას დაპატრონებოდა და მერე უკრაინაში ატეხილი ომის კვალდაკვალ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოც აემხედრებინა. **თუ რა შედეგებს გამოიღებდა ეს ავანტიურა, 2008 წლის აგვისტოში ერთხელ უკვე ვნახეთ, მაგრამ ხატია დეკანოიძეს, სალომე სამადაშვილს და სამგლე აკია ბარბაქაძეს, რომელიც სამეგრელოში ხალხს ცოცხლად ატყავებდა, როგორც ჩანს, კიდევ უნდათ, ნახონ!**

## უკრაინელმა დეპუტატმა აღიარა, რომ სააკაშვილი და ზელენსკი საქართველოში გადატრიალებას ერთად გეგმავდნენ!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დეპუტატ **ივან კრულკოს** ზემოხსენებული სკანდალური აღიარება გვიბიძგებს, ასეთი რამ ვიფიქროთ — **როგორც ჩანს, უკრაინაში პრეზიდენტ ზელენსკის პატრონაჟითა და მთავარსარდლობით ფუნქციონირებს პოლიტიკური განსაწმენდელი, სადაც ადამიანების გამაუპატიურებლები, მწამებლები, ორი გვამით მოვაჭრენი, სამართლისა და სასამართლოს გამბახებლები, აფრასიძეების ამომწყვეტები და ბუტა რობაქიძის მკვლელობის გამყალბებლები ინდულგენციებს იღებენ და შემდეგ ეს პოლიტიკურად განწმენდილი უწმინდურები საქართველოს მტრობენ!**

გარდა ამისა, თუ ივან კრულკოს განცხადებას ვირწმუნებთ, მაშინ გამოდის, რომ პრეზიდენტი ზელენსკი უკრაინის უმძიმეს სვე-ბედზე უფრო **მიხეილ კრულის** შესახებ ფიქრობს, რაც კიდევ უფრო მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელია...

საინტერესოა, რას იტყოდნენ **დეპუტატი ივან კრულკო** და **ნაპრეზიდენტალი მიხეილ კრული** მაშინ, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას უკრაინის დევნილი და დამხობილი პრეზიდენტი **იანუკოვიჩი** და მთელი მისი მთავრობა თბილისში რომ ჩამოეყვანა, ხოლო იანუკოვიჩის მთავრობის რომელიმე წევრს ზელენსკი და მისი გუნდი რომელიმე რეიტინგულ ქართულ ტელევიზიაში უკანასკნელი სიტყვებით ელანძღა?

ცხადია, ამ საქციელს საქართველოს ხელისუფლებას არც ხალხი და არც ღმერთი არ აპატიებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზელენსკის ყველაფერი ეპატიება, რადგან ქვეყანა ომშია, ხოლო მისი სათაყვანებელი **მიხეილ კრული,** რომელსაც „კავეენის“ სცენაზე დასცინოდა და უკანასკნელი სიტყვებით აბუჩად იგდებდა, ციხეშია გამომწყვდეული!

სულმნათმა აკაკიმ ერთგან დაიწყევლა — **„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!“**

დეპუტატო **ივან კრულკო,** იცოდეთ, რომ სააკაშვილი **კრულია,** რადგან მას არაფერი გაუცვლია და ქართული მიწები რუსებსა და აზერბაიჯანელებს დიდძალი ფულისა და „სოკარის“ წილის სანაცვლოდ გადაულოცა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



**გამოცხადდეს მორატორიუმი რუსეთის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვაზე.**

„ალია“

**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**„ცოდვების მოკითხვა“,** რაც **სალომე ზურაბიშვილმა** გამოაცხადა, ძირითადად **„ქართული ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის** ჩადენილია — ჩვენ პოლიტიკურად ასეთი ცოდვილები არ ვართ.

„პალიტრანიუსი“

**ლაშა ქიიავა**
*თავდაცვის ვიცე-მინისტრი, სამხედრო ექსპერტი*



ორივე ომში, **აფხაზეთშიც და ცხინვალშიც, შევარდნაძეც და სააკაშვილიც** საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ!

„ალია“

**ხათუნა ქორდანია**
*მომღერალი*



კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმის, რომ **საქართველოში ჩამოსული რუსი ეროვნების ადამიანები** ქართველებმა დაჩაგრონ.

„ალია“

**მერაბ დვალიშვილი**
*სპორტსმენი*



ფრაზა, რომელიც სულ მახსოვს არის: **გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!**

„თბილისელები“

**ეკა ჩხეიძე**
*მსახიობი*



**გჯერათ, რომ კრემლი დათმობს პოზიციებს?** უკრაინა შევა ევროკავშირში და ბარემ ჩვენც თან შეგვიყოლებს? **მე — არა.**

„კვირის პალიტრა“

**– რელიგიური ლიტერატურის გამავრცელებელი ვარ, ხალხს ღმერთზე ვუყვები, ვცდილობ, ღვთისმოსავი ცხოვრებით ვიცხოვრო და ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თვითონ როგორი ვარ, მთავარია – ადამიანებთან უფლის სიტყვა მივიტანო. მაგრამ თქვენი წიგნები წავიკითხე და მივხვდი, რომ ჩემი შინაგანი მდგომარეობა სრულყოფილებისგან ძალზე შორსაა. როგორ გგონიათ, მიშველის თუ არა ის, რომ ხალხს ღვთის შესახებ ცოდნას ვაზიარებ? აქვს თუ არა კარმისათვის მნიშვნელობა, ადამიანი უფლისათვის სასურველ საქმიანობას ეწევა თუ ჩვეულებრივად ცხოვრობს?**



დასაწყისი იხ. 2021 წლის „ა-დ“ №23-52, 2022 წლის „ა-დ“ №3-12

## სერგეი ლაზარევი

# კარმის დიაგნოსტიკა

— თუ სწორად გავიგე, სწორი ქცევისათვის ქვეშეცნეულად რაღაც ჯილდოს იმედი გაქვთ. ძველ აღთქმაში წერია, რომ **სალვთო მცნებების დაცვას ჩვენთვის ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერი ყისმათი მოაქვს,** ხოლო თუ მიზეზი მჭიდროდ ებმის შედეგებს, ეს უკვე მეცნიერებაა. ინდუიზმშიც და იუდაიზმშიც სამყაროს კანონებისა და მისი განვითარების, სულისა და სხეულის ურთიერთკავშირის, სულის განვითარების შესახებ უზარმაზარი ცოდნაა დაფარული. დასაბამიდან რელიგია და მეცნიერება განუყოფელი იყო. ინდურ ტრადიციებში ეს ტენდენცია დღემდე შეინიშნება.

ადამიანს, რომელიც თავის ყანაზე ზრუნავს, დროულად თესავს და მარგლავს, ბუნებრივია, მეტი შესაძლებლობები ექნება, ვიდრე მას, ვინც ზარმაცობს. იგივე ხდება სულთან დაკავშირებითაც. სწორი ქცევა, კვება, აზრები, ცხოვრების წირი — ეს ყველაფერი ის მარცვლებია, რომლებიც წლების განმავლობაში ღივდება და მარტო ჩვენ კი არა, ჩვენს შთამომავლებსაც მოუტანს ნაყოფს.

ისღა დაგვრჩენია, გავარკვიოთ, რა არის ღვთის საამებელი საქმე. აქ უკვე იგულისხმება არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვათა დახმარებაც. ეწევა თუ არა კულტის მსახური ღვთის საამებელ საქმეს? ბუნებრივი იქნებოდა პასუხი „დიახ“. ახლა კი დავფიქრდეთ. **ეკლესიის მსახურს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე სხვებს, მას უფრო ენდობიან, ესე იგი, ძლიერდება მისი არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მხარეებიც. ამ დროს მისი შეცდომები შეიძლება ბევრად უფრო საშიში აღმოჩნდეს, ვიდრე, ვთქვათ, სიხარბე ან ამბიციები.**

შუა საუკუნეებში კათოლიკურ ეკლესიაში არსებობდა ინდულგენციების გაყიდვის პრაქტიკა, ანუ მომავალი ცოდვების მიტევება ფულის საფასურად. ადამიანებმა ღმერთისაგან თავის გამოსყიდვას, ეკლესიისგან ჯერაც ჩაუდენელი ცოდვების შესყიდვას მიჰყვეს ხელი. ღვთაებრივი ლოგიკა გაქრა და ადამიანურ ლოგიკად გადაიქცა. რელიგიური ურთიერთობა ეკონომიკურმა ურთიერთობამ შეცვალა. და თუ ადრე მთავარი მიზანი საკუთარი სულის სასიკეთოდ შეცვლა და სწორი საქციელი იყო, ახლად შემოღებული წესებით მთავარ მიზნად ფული იქცა. რაც უფრო მეტ ფულს გააკეთებ, მით უფრო გაგიადვილდება სულის განწმენდა. კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტით განმტკიცებული და მოგვიანებით პროტესტანტობის მიერ ათვისებული ასეთი დამოკიდებულება მაღალი საზოგადოების ცხოვრებაშიც ყვაოდა. ის ახლაც არსებობს. მიჩნეულია, რომ ღმერთთან მორიგება შეიძლება: სადღაც მოინანიე, ცრემლი გადმოაგდე, სადღაც ეკლესიას რამე შესწირე და აჰა, უკვე ჩვილივით უბიწო ხარ. მაგრამ გავიხსენოთ, რომ ბერძნულად მონანიება აღინიშნება სიტყვით „მეტანოია“, რაც „ცვლილებას“ ნიშნავს. ასე რომ, **საკუთარი სულის შეცვლის გარეშე მონანიება ცარიელი სიტყვაა.**

მახსენდება სცენა ფილმიდან „ნათლიმამა“. ერთი ადამიანი მეორეს აღსარებას ეუბნება. ნათლიმამა წმინდა მამას მიმართავს. ერთი ამბობს: „მე მოვკალი, ყელი გამოვჭერი, ვუღალატე“. მეორე კი ექოსავით ეხმიანება: „მომიტევებია შენთვის ცოდვანი შენნი“. არადა, ისინი მიუტევებელია. ნათლიმამას მძიმე დაავადებები აწუხებს და ასეთი მონანიების შემდეგ ისინი არ ქრება. მაშ, რა გამოდის, ქრისტიანობა მხოლოდ ფიქციაა? აბა, რატომღა სწამს ეს ყველაფერი მილიონობით ადამიანს?

ერთხელ ისრაელში ლექციებს ვკითხულობდი. ბევრი ვისაუბრეთ იუდაიზმზე. მეკითხებოდნენ თანამედროვე ქრისტიანობის სერიოზულ კრიზისზე. მე ვუპასუხე, რომ **იუდაიზმი სკოლაა, ქრისტიანობა კი — უნივერსიტეტი.** ჩემი აზრით, მრავალი იმათგანი, ვინც თავს ქრისტიანს უწოდებს, ქრისტიანობის არსს არ იცნობს. წარმოიდგინეთ, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეები უნივერსიტეტში მივიდნენ და ამბობენ: „პირველი კლასი უკვე დავამთავრეთ და უნივერსიტეტში სწავლა გადავწყვიტეთ. სკოლა ჩვენთვის განვლილი ეტაპია“. ეჭვი არ მეპარება, რომ საუნივერსიტეტო პროგრამიდან ისინი რაღაცას აითვისებენ, ოღონდ არა მგონია, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიღებული ცოდნის კოქტეილი ხარისხიანი იყოს. იუდაიზმმა უარყო ქრისტიანობა, მან კი პასუხად იუდაიზმი არ მიიღო. განვითარების ბუნებრივი პროცესია. ახალი უარყოფს ძველს. მაგრამ **უარყოფის უარყოფის კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უარი მოძველებულ ფორმაზე ითქმის. ძველი შინაარსი ახალ ფორმაში გადადის და განვითარებას განაგრძობს.**

ინდუიზმი და იუდაიზმი მიიჩნევენ, რომ ადამიანის ბედ-იღბალზე და ჯანმრთელობაზე მარტო საქციელი კი არ ახდენს გავლენას, არამედ მთელი მისი ცხოველქმედების სფეროები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველაფერი — რას ფიქრობს, გრძნობს, რა საკვებს იღებს, როგორ ექცევა სხვებს და საკუთარ თავს. ბევრს მიაჩნია, რომ ქრისტიანობა ამგვარს არაფერს ითხოვს. თუ ღმერთს მიმართე და მოინანიე — მორჩა, ჯანმრთელი ხარ. ესე იგი, სრულიად ბუნებრივია სიტუაცია, როცა ფული გაიღე, ნიანგის ცრემლი გადმოაგდე და უკვე შეიძლება თავი დაირწმუნო, რომ ყველა ცოდვა სადღაც გაქრა, შეგიძლია განაგრძო ფულის კეთება, რომლის მცირე ნაწილს მორიგი ცოდვების გამოსყიდვას მოახმარ.

ჩნდება კითხვა: საერთოდ, შესაძლებელია კი ისეთი სიტუაცია, როდესაც ყველა ცოდვა მიგეტევება? თუკი შეიძლება, მოკლე ხანში ყველა ცოდვა გაქრეს, მაშინ ხომ საჭირო აღარ იქნება წლების განმავლობაში წესიერი მოქცევა, სწორად კვება, სამართლიანი ფიქრები, ემოციები. ცოდვა ჩაიდინე — მოინანიე — მოიხსენი. ისევ ჩაიდინე — ისევ მოინანიე. და ბევრი უკვე დაცინვითაც ამბობს: თუ არ შესცოდე, ვერც მოინანიებ. უფალს მონანიება სჭირდება და ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენი ცოდვებიც სჭირდება.

ადამიანს ეღიმება, როცა საგზაო მოძრაობის არასწორ წესებს ეცნობა, მაგრამ, როცა ამ წესების მიხედვით მანქანას გაატარებს, ღიმილის სურვილი გაუქრება.

მრავალი თანამედროვე მკვლევარი მივიდა კანონზომიერ დასკვნამდე: მონანიება და ხელის ერთი მოსმით ყველა ცოდვის მიტევება ბლეფია. იუდაიზმში, ბუდიზმსა და სხვა რელიგიებში ასახული მიზეზშედეგობრივი კავშირი არსად გამქრალა. თუ ადამიანი წლების მანძილზე ქურდობდა, ავხორცობდა, შურიანობდა, არავითარი ხანმოკლე რიტუალი არ უშველის. სცოდავდი? — იავადმყოფე და დაიტანჯე. არ სცოდავდი? — კარგად მეყოლე და იხარე, შენი შვილებიცა და შვილიშვილებიც ჯანმრთელები იქნებიან. **ღმერთს ვერ მოატყუებ და ობიექტურ კანონებსაც ვერსად გაექცევი.**

ამ ფენომენში გარკვევას შევეცადე. ნუთუ ქრისტიანობა პრობლემების იოლად გადაწყვეტით იზიდავდა ხალხს? მაშ, რა ვუყოთ პირველ ქრისტიანებს, რომლებსაც კოცონზე წვავდნენ, მაგრამ რწმენაზე უარს მაინც ვერ ათქმევინებდნენ? და რატომ ამბობდა ქრისტე: „მომიტევებია შენთვის შეცოდებანი შენნი“?

ამისი ახსნა მხოლოდ ერთი რამით შეიძლება. **როცა ადამიანები ქრისტესთან რწმენით მიდიოდნენ, მათი პიროვნების ტრანსფორმაციის ხარისხი იმდენად მასშტაბური იყო, რომ, ფაქტობრივად, სხვა ადამიანებად გადაიქცეოდნენ.** ისინი უწინდებურად ვეღარ მოიქცეოდნენ. მაგრამ პიროვნების ასეთი ტრანსფორმაციისთვის ყველა პროცესის ინტენსიურობა წარმოუდგენლად მაღალი უნდა იყოს. რაც მთავარია, გარდაქმნა მარტო ფიზიკურად კი არ ხდებოდა, ანუ მხოლოდ ხორცი კი არ იკურნებოდა, არამედ სულიც. და ეს პირველადი პროცესი იყო.

ახლა მრავალი ექიმბაში, განსაკუთრებით ინდოეთში, სხეულის განკურნების საოცრებათა დემონსტრირებას ახდენს, გარდაცვლილთა გაცოცხლების ჩათვლით. და ადამიანები აღფრთოვანებით ყვებიან, რომ ყველა სენმა გაუარა. მაგრამ ამ დროს არცერთ მათგანს არ უთქვამს, რომ სული გაუკეთილშობილდა და სამყაროს აღქმა ახლებურად დაიწყო. როდესაც ქრისტე საკუთარ სოფელში ჩავიდა, მოინდომა, ადამიანებს დახმარებოდა და განეკურნა ისინი. მაგრამ ვერავინ მოარჩინა. ხალხი მას არ ენდობოდა. ესე იგი, სიყვარული და ენერგია არ არსებობდა. სხვა მკურნალი სხეულის გამოჯანმრთელებით სწრაფად დაანახვებდა თავის შესაძლებლობებს, ქრისტემ კი ვერ შეძლო. ის სხეულს მხოლოდ სულის მეოხებით შველოდა. თუ სული ცვლილებებს არ ემორჩილებოდა, სხეულის გამოჯანსაღებაც არ ხერხდებოდა. **როცა ქრისტე ამბობდა „მომიტევებია ცოდვანი შენნი“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის ადამიანის სულის და პიროვნების ტრანსფორმაციის დონეს ხედავდა. ის ხედავდა, რომ ეს სული აღარასოდეს შეიძულებს, აღარასოდეს შეშურდება და ავყია არ იქნება. მასში ჩასახლებული სიყვარული ამის უფლებას არ მისცემს.**

ქრისტე არ მიუტევებდა ცოდვებს მათ, ვინც თითს იშვერდა მისკენ და დასცინოდა:

— ეს ხომ ხურო იოსების შვილია.

— აბა, სცადოს და განმკურნოს.

ქრისტიანობის არსში გაურკვევლობამ და ქრისტეს ნამოქმედარის ზედაპირულმა მიბაძვამ საპირისპირო შედეგი გამოიწვია. უფლისაკენ სწრაფვის კონცენტრაცია შესუსტდა, ენერგეტიკა დაქვეითდა. შინაგანი ცვლილებები მინიმუმამდე დავიდა. ცოდვები კი უწინდებურად მიეტევებოდათ. და ამ გარეგნულმა სიადვილემ ბევრს აუხვია თვალი.

ავტომანქანის მართვისას ერთთავად გზას უნდა გაჰყურებდე, წესები უნდა დაიცვა, საგზაო ნიშნებს დაემორჩილო, ყურადღება მიაქციო, რომ საბურავი არ დაეშვას, რომ სადმე ფეხით მოსიარულე არ გამოგიხტეს. და აი, მანქანის მართვით გაწამებული, უწყვეტი მუშაობითა და დაძაბული ყურადღებით დაღლილი მძღოლი მაღლა აიხედავს და სინანულით ამბობს:

— ეჰ, რატომ მფრინავი არ ვარ. არაფრის გაკეთება აღარ დამჭირდებოდა — აფრინდი და დაეშვი, ეს არის და ეს. მფრინავების სამთვიანი კურსები რომ დამემთავრებინა და აერობუსის მართვა მესწავლა...

შეიძლება არაფერი გამოგივიდეთ.

დღეს მრავალი სექტა გამუდმებით ახდენს საღვთო წერილის ციტირებას, ადამიანებს ყოველგვარ მიწიერ და ზეციურ სიკეთეს ჰპირდება და მხოლოდ ოდნავ შეანაცვლებს პრიორიტეტებს: უფლის სიყვარული, როგორც უზენაესი ღირებულება, საკუთარი მტკივნეული და მტანჯველი ტრანსფორმაცია ღვთის სიყვარულის გზაზე — ეს ყველაფერი მეორე პლანზე გადადის. ადამიანს გულუხვად ჰპირდებიან სიმშვიდეს, ნუგეშს, სურვილების ასრულებას, ჯანმრთელობას, ტკივილისა და უსიამოვნებებისგან გათავისუფლებას, ყველა ცოდვის მოხსნას — და ის თითქმის სამოთხეშია მოხვედრილი. მაგრამ უფლისაკენ მიმავალი გზა სულ სხვაგვარად გამოიყურება. ბევრმა თანამედროვე მორწმუნემ სასჯელის გარდაუვალობის შეგნება დაკარგა და სიღრმისეულად შეცვლა ვერ ისწავლა.

**რაში მდგომარეობს მონანიების არსი? ჩადენილის დაუშვებლობის აღიარებაში და მზადყოფნაში, ღვთისადმი სიყვარულის გზით ისე შეიცვალოს, რომ ადრე ნამოქმედარი მისთვის შეუძლებელი გახდეს.** თუ სიღრმისეული ცვლილებები არ ხდება, სასჯელი მშვიდად უნდა მიიღო ან მის მისაღებად მზად იყო. ამ სასჯელის შემსუბუქება შესაძლებელია მცნებათა, ანუ იმ წესების დაცვით, რომლებიც საკუთარ თავში ღვთაებრივის შეგრძნებაში გვეხმარება. მათი შესრულება სულის სასიკეთოდ შეცვლას გულისხმობს. მაგრამ ბევრისთვის მონანიება თვითგვემად, წარსულის გამო სინანულად, ანუ დაყოვნებულ თვითმკვლელობად გადაიქცა. საკუთარი თავისადმი ასეთი დამოკიდებულება ადამიანს სასიკეთო ცვლილებების შესაძლებლობას უსპობს. მას თავი სძაგს და ფიქრობს, რომ ამით ღვთის საამებელ რასმე აკეთებს. სექტანტებიც ასე დადიან კარიკარ, ბიბლიიდან ციტატებს ანგარებიანი მიზნებით კითხულობენ და მიაჩნიათ, რომ უფლის მოსაწონ საქმეს სჩადიან.



**როცა ქრისტე ამბობდა „მომიტევებია ცოდვანი შენნი“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის ადამიანის სულის და პიროვნების ტრანსფორმაციის დონეს ხედავდა. ის ხედავდა, რომ ეს სული აღარასოდეს შეიძულებს, აღარასოდეს შეშურდება და ავყია არ იქნება. მასში ჩასახლებული სიყვარული ამის უფლებას არ მისცემს!**

*გაგრძელება იქნება*

# მიხეილ ცაგარელი:
# ჩაკრები და ენერგიის აღდგენა არომა-თერაპიის საშუალებით



*— ადამიანის შვიდი ენერგეტიკული ცენტრიდან თითოეული სად არის განლაგებული და რომელ ციურ სხეულებს უკავშირდება? ჰარმონიულობის დარღვევისა და ბალანსის მოშლის შემთხვევაში რომელი მათგანი იწვევს ყელის, საყლაპავი მილის, ფარისებრი ჯირკვლის, კუჭის, ღვიძლის, თავისა თუ შარდსასქესო სისტემის დაავადებას? როდის უვითარდება ადამიანს დეპრესიულობა, შინაგანი განგაშის შეგრძნება, შიშები ან ურთულდება კომუნიკაცია, ღალატობს მეხსიერება, ქრება ცხოვრებისეული მიზნები? როდის ეწყება უიღბლობა, მატერიალური სიდუხჭირე? რა შემთხვევაში გრძნობს თავს გარიყულად, უფუნქციოდ და რომელი მცენარის ეთერზეთები და სურნელებანი დაგვეხმარება ამ და სხვა სახის სირთულეების დაძლევასა და ენერგიის აღდგენაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი არომათერაპიის შესახებ, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, გამოიყენება ადამიანის ეთერული სხეულის ენერგეტიკულ ცენტრებში — ჩაკრებში ენერგიის გადინების აღსადგენად და პლანეტების ზემოქმედების ჰარმონიზაციისთვის. ჩვენს ორგანიზმში კუდუსუნიდან ყიფლიბანდამდე შვიდი ჩაკრაა განლაგებული. დაგვიხასიათეთ მოკლედ თითოეული მათგანი.**

— 1. **ჩაკრა მულადხარა განლაგებულია კუდუსუნის გასწვრივ სასქესო ორგანოს ზემოთ და წითელი შეფერილობა ახასიათებს. სიმბოლურად იგი უკავშირდება პლანეტებს მარსსა და სატურნს.** ჰარმონიულობისა და ბალანსის მოშლის შემთხვევაში ენერგიის მკვეთრი შემცირება ხდება, ჩნდება დეპრესია, უიღბლობა, ფინანსური თუ მატერიალური სიდუხჭირე და სხვადასხვა ავადმყოფობა. ამ დროს **ჩაკრის** ბალანსის აღსადგენად კარგია ვარდის, ლიმონის, მიხაკის, ჯავზის, დაფნის, ქინძის, ციტრონელას, ტუიის, დუზუნდურუსა და მდოგვის ეთერზეთების არომათერაპიული სეანსების ჩატარება. ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ჩამონათვალის გარდა, ასევე სასარგებლოა ყველა გამახურებელი, მატონიზებელი და ტკბილი არომატების გამოყენება.

**2. ჩაკრა სვადხისტანა განლაგებულია ჭიპის ქვემოთ ქვედა მუცლის ღრუში და ნარინჯისფერით ხასიათდება. დაკავშირებულია მთვარესა და ვენერასთან.** მისი ბალანსის დარღვევისას თირკმლისა და შარდსასქესო სისტემის დაავადებები წარმოიშვება. ამავდროულად, ადამიანი მუდმივ დისკომფორტს განიცდის და უვითარდება შიშები, შინაგანი განგაში, დაძაბულობა. პრობლემები ექმნება პირად თუ სასიყვარულო სფეროში. ამ ჩაკრის ბალანსის აღსადგენად რეკომენდებულია ვარდის, ჯანჯაფილის, კედრის, ჰიაცინტის, ვერბენას, ფიჭვის, ევკალიპტის, როდოდენდრონის, სალბის ეთერზეთების არომათერაპიული პროცედურები. ასევე სასარგებლოა ყველა მძიმე ზეთოვანი, ცხელი და ცხარე არომატი.

**3. ჩაკრა მანიპურა განლაგებულია კუჭის ქვემოთ, მზის წნულზე. იგი უკავშირდება მზესა და პლანეტა მარსს და არის ყვითელი ფერის.** ბალანსის დარღვევა იწვევს კუჭისა და ღვიძლის დაავადებას. ადამიანს უქვეითდება თავდაჯერება, გაღიზიანებული, ჭირვეული ხდება. ასეთ შემთხვევაში ჯანმრთელობისა და **ჩაკრის** ენერგიის აღსადგენად აუცილებელია ვანილის, პიტნის, მირას (მირონის), რეჰანის, ლიმონის ბალახის, ქინძის, შროშანის, ლავანდის, ულუმბოს ეთერზეთების გამოყენება. ასევე სასიკეთოა ყველა თბილი არომატი.

**4. ჩაკრა ანახატა განლაგებულია მკერდის ძვალსა და ხერხემალს შორის. იგი ასტროლოგიურად მზესა და პლანეტა ვენერას უკავშირდება, მწვანე შეფერილობისაა.** ბალანსის დარღვევისას ფილტვებისა და გულის დაავადებები ჩნდება. ადამიანი ხდება ინფანტილური, ემოციურად ცივი, მოდუნებული და მოთენთილი. ამ **ჩაკრის** ბალანსის აღსადგენად არომათერაპიული სეანსისათვის შეგვიძლია, გამოვიყენოთ ორქიდეის, როდოდენდრონის, მაიორანის, იის, ნორელის, მირაბილისის, ნემსიწვერას (გერანის) ეთერზეთები. გარდა ამისა, სასიკეთოა ყველა სუსტი და დახვეწილი არომატი.

**5. ჩაკრა ვიშუდხა განლაგებულია ყელის ქვედა წილსა და ხერხემალს შორის. უკავშირდება პლანეტებს მერკურსა და ვენერას და ლურჯი ფერისაა.** წონასწორობისა და ბალანსის დარღვევა იწვევს ყელის, საყლაპავი მილისა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებას. აგრეთვე პრობლემები ჩნდება მეტყველებასთან, ხმასთან დაკავშირებით, მეხსიერება და გონებრივი შესაძლებლობები ქვეითდება, კომუნიკაცია რთულდება და ურთიერთობებისას პრობლემები იქმნება. ამ შემთხვევაში ენერგიის აღსადგენად გამოდგება ჟასმინის, ილანგ-ილანგის, ჰიაცინტის, იის, ლიმონის, როზმარინის, ვარდის, თავშავას ეთერზეთები. ასევე სასარგებლოა ყველა გრილი არომატი.

**6. ჩაკრა აჯნა განლაგებულია შუბლის ცენტრში ოდნავ უკან. მას ზოგჯერ მესამე თვალსაც უწოდებენ და იგი იის (იასამნის) ფერია. უკავშირდება პლანეტებს იუპიტერსა და ნეპტუნს.** მისი ბალანსის დარღვევისას ადამიანს ეწყება თავის ტკივილი, მოთენთილობა, გონებაგაფანტულობა და აზრის კონცენტრირება შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, მას უქრება ცხოვრების მიზნები და თუ მაინც რაღაცას მოინდომებს, სასურველს ვერ აღწევს, რადგან სამოქმედოდ არასწორ გზებს ირჩევს, შეცდომებს უშვებს, ინტუიციაც მუდმივად ღალატობს. ამგვარი ვითარებისას ენერგიის აღსადგენად ძალიან კარგია მაგნოლიის, აიდას, ლავანდის, სანდალოზის, საკმევლის, ბერგამოტის, ბეტივერიის, შროშანის, დუმფარას, ლოტოსის არომატების გამოყენება. ასევე სასარგებლოა ყველა გრილი, დამამშვიდებელი სურნელი.

**7. ჩაკრა სახასრარა განლაგებულია თავის ზედა წერტილში და გამჭვირვალე თეთრი ფერით ხასიათდება. იგი უკავშირდება პლანეტებს ურანსა და ნეპტუნს.** მისი ბალანსის დარღვევის შემთხვევაში იმატებს მაღალი არტერიული წნევის, ტვინის დაავადებების წარმოშობის ალბათობა. ადამიანის ორგანიზმის გამძლეობა და ნებისყოფის უნარი იკლებს. იგი თავს გრძნობს მიტოვებულად, გარიყულად, უფუნქციოდ და ჰგონია, რომ არავის სჭირდება. ამგვარი მდგომარეობის დასაძლევად სასიკეთოა ლავანდის, ბერგამოტის, აირასმ-დუმფარას, სანდალოზის ხის სურნელება. ასევე მეტად სასარგებლოა ყველა სახის ცივი და დამამშვიდებელი არომატი.

**— ადრეც გითქვამთ, რომ თითოეულ ზოდიაქოს, ჩაკრებისა და პლანეტების შესაბამისი არომატების გარდა, გააჩნიათ თავისი შესაბამისი საკუთარი სურნელებაც. ისინი რა როლს ასრულებენ ან როგორ ზემოქმედებენ?**

— ხშირად ადამიანები სუნამოს ან ოდეკოლონის შერჩევისას ინტუიციურად იმას ირჩევენ, რაც მათი ზოდიაქოს სურნელს წარმოადგენს. ეს არომატები ადამიანს ეხმარება თავისი ინდივიდუალურობისა და ღირსების წარმოჩენაში. გარდა ამისა, ამ არომატთა დახმარებით შესაძლებელია ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის არასასურველი თვისების ზედმეტად გამოვლენის შერბილება, არაჰარმონიული მდგომარეობის დაძლევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სუნამოს, ოდეკოლონის და, ზოგადად, პარფიუმერიული ნაწარმის დახმარებით ადამიანზე არომატების ზემოქმედება შედარებით უფრო სუსტია. გაცილებით ეფექტურია იმ ეთერზეთების გამოყენება, რომლებიც უშუალოდ არომათერაპიისათვის მზადდება.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 21-27 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საკმარისი ენერგია გექნებათ, რაც შემოქმედებითობას ხელს შეუწყობს, რისკისა და ავანტიურისკენ ლტოლვაც მოიმატებს. ახალი იდეებისა და პროექტების რეალიზება პარტნიორთა დახმარებით გაგიადვილდებათ. ფინანსურ საკითხთა მოგვარებისთვის გავლენიანი პირები დაიხმარეთ. ოჯახური და სასიყვარულო პრობლემების მოგვარება მხოლოდ ურთიერთგაგებითა და მოთმინებით იქნება შესაძლებელი. მოგზაურობა პოზიტიურად ჩაივლის და სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ.

**კურო** (21.04-20.05)
საკუთარ თავშიც და თქვენ ირგვლივაც ბევრი რამის შეცვლის შესაძლებლობა მოგეცემათ. ბევრი მუშაობა და გეგმაზომიერი მოქმედებაა საჭირო წარმატების მისაღწევად. შესაძლოა, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლა დაგჭირდეთ. ენერგიის ნაკლებობის გამო განმარტოებასა და დასვენებას მოისურვებთ. ძველ სიყვარულთან შეხვედრის ალბათობა არსებობს, რაც ადრინდელ გრძნობას გააცოცხლებს. მოგზაურობის დროს კი სასიამოვნო სიახლენი გელით.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თქვენს ხიბლს ამ კვირაში მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის. განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობისთვის, კავშირების დამყარებისთვის და საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის. თქვენი საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობებიც სასიკეთოდ განვითარდება, რაც ახალ-ახალ შეგრძნებებს მოიტანს. ეს კვირა არამარტო საქმისთვის, არამედ დასვენებისა და გართობისთვისაც გამოიყენეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მატერიალური კეთილდღეობა დიდწილად თქვენს გაწყობას განსაზღვრავს. დიდ თავყრილობებსა და ბევრ ადამიანთან კონტაქტებს მოერიდეთ. გარისკვა და ფულის სესხებაც არ არის რეკომენდებული, იურიდიულ და საზოგადოებრივ საქმეებსაც მოერიდეთ. შესაძლოა, ახლობლებმა სასიამოვნო სიურპრიზი მოგიმზადონ, რაც გაგაოცებთ. როგორც საქმიანი, ისე პირადი მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის და დადებით ემოციებს გამოიწვევს.

**ლომი** (23.07-23.08)
აქტიურობა დაგეხმარებათ საინტერესო და მნიშვნელოვან ადამიანებთან კონტაქტის დამყარებაში. კარგი დროა ადრე დასახული მიზნის მისაღწევად. ეცადეთ, სამუშაოს ჩაუღრმავდეთ, რათა ავტორიტეტი და პროფესიული ჩვევები აიმაღლოთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამატებითი წყაროები მოიძიეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებს მოერიდეთ, უცხოეთიდან მიღებული ინფორმაცია ან ნივთები გაგახალისებთ. პირად ცხოვრებაში კი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

**ქალწული** (24.08-23.09)
გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა იმატებს. ურთიერთობა მეგობრებთან და საქმიან პარტნიორებთან გაუმჯობესდება და არსებული გარემოებების დახმარებით მიზნების მიღწევას შეძლებთ. ეცადეთ, მეტი კონკრეტული საქმე შეასრულოთ. გაზრდილი ინტუიცია და თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ პირადი ურთიერთობისას წინააღმდეგობების გადალახვაში. მოგზაურობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. თავისუფალი დრო კი დასვენებასა და ფიქრს დაუთმეთ.

## 21-27 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მიზანი და სურვილი ბევრჯერ შეგეცვლებათ. სირთულეთა დაძლევა და უჩვეულო ადამიანებთან შეხვედრა ბევრ სიამოვნებას მოგიტანთ. დინჯად იმოქმედეთ და აზარტულ თამაშებსა და საქმეში გარისკვას მოერიდეთ. თავს ენერგიულად იგრძნობთ და შემოსავლის დამატებითი წყაროს მოძიებასაც შეძლებთ. ბავშვებთან, საყვარელ ადამიანებთან მეტი დრო გაატარეთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის. უცხოელებთან მოლაპარაკება სასურველ შედეგს მოგიტანთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ოჯახში სიტუაციის შეცვლა სახლისადმი თქვენს ინტერესს გაზრდის. ახალი სტაბილური ურთიერთობის ჩამოყალიბებას დამოუკიდებლობისკენ თქვენი სწრაფვა ხელს შეუშლის. გრძნობა-აზრების გამოხატვა და მოწინავე იდეების ჩამოყალიბება გაგიადვილდებათ. სასიყვარულო ურთიერთობაში კი სიცივე დაისადგურებს. ფიზიკური დატვირთვა, მოგზაურობა ან ბევრ ადამიანთან ურთიერთობა არ არის რეკომენდებული, რამეთუ ორგანიზმი დასუსტებულია.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ინტენსიური შეხვედრების, ახალი ნაცნობობის, ინტელექტუალური კავშირებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის საუკეთესო დროა. გადაადგილებები და შეხვედრები დადებითად ჩაივლის. ფინანსურ საკითხთა მოგვარებაში დაგეხმარებიან ხელმძღვანელი პირები და კოლეგები. შესაძლოა, ახალი რომანტიკული გრძნობა უეცრად ჩამოგიყალიბდეთ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სასიკეთო იქნება ვარჯიში. კარგი დროა იმიჯის შესაცვლელად.

**თხის რქა** (22.12-19.01)
სამსახურსა და ბიზნესში დროული ნაბიჯები ხელს შეუწყობს პოზიციის გამყარებასა და საწადელის მიღწევას. ბუნდოვან სიტუაციებში დახმარება ავტორიტეტულ ადამიანებს სთხოვეთ. არასაკმარისი ცოდნის შემთხვევაში კი დახმარებისთვის კოლეგებს მიმართეთ. ამ პერიოდში უცხოეთში გამგზავრება დიდ წარმატებას გიქადით. უთანხმოების შემთხვევაში კარგი იქნება, თუ შეყვარებულს პირისპირ გულღიად დაელაპარაკებით.

**მერწყული** (20.01-18.02)
ჯანმრთელობის თვალსაზრისით თავს სანაქებოდ იგრძნობთ და შეძლებთ, საკმაო დატვირთვას გაუძლოთ. შესაძლოა, ახალი საქმე დაიწყოთ ან სამსახურში დაწინაურდეთ. შემოქმედებითობა და ახლისკენ სწრაფვა თქვენს სოციალურ სტატუსს შეცვლის და შესაძლოა, პოპულარობაც მოგიტანოთ. საზოგადოების მაღალ ფენაში ადგილის დაკავებას მოისურვებთ. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული კავშირები კარგ შემოსავალს გიქადით, კარგი დროა ქორწინებისთვის და მოგზაურობისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას დრო დაუთმეთ. მიზნის მისაღწევად ბევრი შრომაა აუცილებელი და შედეგსაც აუცილებლად იხილავთ. უჩვეულო სიტუაციებში გარისკვა გამართლებული იქნება. კარგი პერიოდია დაწყებული მშენებლობის ან რემონტის დასასრულებლად. შესაძლოა, ძველი ნაცნობები გამოჩნდნენ და ადრინდელი რომანტიკული ურთიერთობა აღიდგინოთ. შორეული მოგზაურობა გადადეთ და თავისუფალი დრო დასვენებისთვის გამოიყენეთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეები
## 21, 22, 25 და 26 მარტი

**18 მარტი – სავსემთვარეობა.**
**2 აპრილი – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 21 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 18.14 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 21.59 საათზე, ჩადის 22 მარტს 07.42 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.19 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა მსხვილ და მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტების დაწყებას, მომავალი თაობისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. ადამიანებში მომატებულია ემოციურობა, მაღალია კამათის, ინტრიგების ალბათობა. ზედმეტ ეჭვიანობას, სიჯიუტეს, მესაკუთრეობას, სარკაზმს, წყენას ნუ გამოავლენთ. ორგანიზმი მართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. არ არის სასურველი ინტიმური შეხვედრები, ალკოჰოლისა და ცხარე საკვების მიღება, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, ახალი თანამშრომლის მიღება, ბინის შეცვლა, მგზავრობა. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 22 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.01 საათზე, ჩადის 18.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.00) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 23.15 საათზე, ჩადის 23 მარტს 08.12 საათზე (მთვარის მე-20 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.01 საათიდან 23.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა. წესები დაიცავით. ელექტროხელსაწყოებთან და გაყვანილობასთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. აკონტროლეთ ეჭვიანობა, ემოციურობა, სარკაზმი, განაწყენება. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მგზავრობა. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისთვის, თვითშემეცნებისთვის, დაკარგული ნივთის საძიებლად, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ცხოველების, ანტიკვარული ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, მარგალიტი, ალექსანდრიტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 23 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.00 საათზე, ჩადის 18.16 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 24 მარტს 08.48 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 01.54 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიტუაცია და მოვლენათა მსვლელობა ყურადღებით აკონტროლეთ, მაღალია დაბნეულობისა და თვითმოტყუების ალბათობა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისა და წყლის პროცედურებისთვის, ასევე ფილტვების, ხელების, მეტყველების დარღვევის სამკურნალოდ, სამეცნიერო კვლევებისთვის, სპორტული ვარჯიშისა და ღონისძიებებისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ნივთების, სამგზავრო ბილეთების შესაძენად. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, იაგუნდი, ლაზურიტი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 24 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.58 საათზე, ჩადის 18.17 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 00.30 საათზე, ჩადის 09.30 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.27 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.59 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დასკვნის გაკეთებას ნუ იჩქარებთ. წინააღმდეგობრივი მოვლენების დღეა. ყურადღება გმართებთ. გამოცდას აბარებთ ხასიათის სიმტკიცეზე, ერთგულებასა და ნდობაზე. პარტნიორთა ურთიერთობას საერთო მიზანი და ინტერესი განამტკიცებს. პოზიტიურია იუმორის გამოყენებაც. კარგი დღეა მასაჟისთვის, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, წყლის პროცედურების ჩასატარებლად, მგზავრობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა, ბავშვებს ქუჩაში გადაადგილებისას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ნეფრიტი, ლალი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 25 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.56 საათზე, ჩადის 18.18 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.55) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 01.40 საათზე, ჩადის 10.28 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 04.49 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 09.38 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 01.55 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ზედმეტ ვნებებსა და პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. მომატებულია შურის შეგრძნება, ფრთხილად იყავით! ურთიერთობისას დაეყრდენით თავისუფლებასა და ნდობას და არა ეჭვიანობას. კარგი დღეა კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდის მკურნალობისთვის, მავნე ჩვევისაგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მშენებლობისთვის, საოფისე ნივთების, საათების შესაძენად, კოლექციის შესაგროვებლად. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი კავშირების დამყარება, გაცვლითი ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 26 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.55 საათზე, ჩადის 18.20 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 02.42 საათზე, ჩადის 11.32 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 05.49 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მოლაპარაკებებისთვის, მგზავრობისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მანქანის შესაძენად. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, ფილტვების მკურნალობა, შესაძლებელია ქრონიკული დაავადებისა და დაღლისაგან გათავისუფლება. არ არის სასურველი გადატვირთვა და სიმძიმეების აწევა, მკვეთრი მოძრაობები, ქორწინება, ფინანსური და გაცვლითი ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ახალი კავშირების დამყარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 27 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.53 საათზე, ჩადის 18.21 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.56) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 03.34 საათზე, ჩადის 12.44 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 06.28 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.51 საათიდან 04.56 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ვერძის** ზოდიაქოში (11 აპრილამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, ორგანიზატორულ თვისებებს, მებრძოლ სულისკვეთებას და ასევე სიჯიუტეს, სულსწრაფობას, უყაირათობას, დიქტატორობისკენ მიდრეკილებას. ამავდროულად დღევანდელი რეფორმები წარმატებული იქნება. ინტუიცია იმატებს, რაც მიზნისკენ მიმავალი სწორი გზების დასახვაში დაგვეხმარება. კარგი დღეა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ბინის შესაცვლელად, სარემონტო სამუშაოებისთვის, დიეტის დასაწყებად, გართობისთვის. არ არის სასურველი თვალების დატვირთვა, დიდხანს ფეხზე დგომა, ზედმეტი ფორიაქი და ლაპარაკი. სასიკეთოა ცურვა და სუნთქვითი ვარჯიშები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **21 მარტი. ორშაბათი.** ღირსისა თეოფილაქტე აღმსარებელისა, ნიკომიდიელი მთავარეპისკოპოსისა; მოციქულისა ერმესი, 70-თაგანისა; ღირსისა დომენტისა; პავლე აღმსარებელისა, პრუსიადელი ეპისკოპოსისა.

✝ **22 მარტი. სამშაბათი.** ორმოცთა მოწამეთა, სებასტიას ტბასა შინა წამებულთა: კირიონისა, კანდიდესი, დომნესი, ისიხისა, ირაკლისა, სმარაგდესი, ევნოიკესი, უალენტისა, ვივიანესი, კლავდისა, პრისკესი, თეოდულესი, ევტიქისა, იოანესი, ქსანთისა, ილიანესი, სისინისა, ანგიასი, აეტისა, ფლაბისა, აკაკისა, ევდიკისა, ლისიმაქესი, ალექსანდრესი....



**22 მარტი – ხსენება 40-თა მოწამეთა, სებასტიას ტბასა შინა წამებულთა**

✝ **23 მარტი. ოთხშაბათი. ღირსისა იოანე ხახულელისა, ოქროპირად წოდებულისა;** მოწამისა კოდრატე კორინთელისა და მისთანა ხუთთა მოწამეთა: კვიპრიანესი, დიონისესი, ანეკტოსი, პავლესი და კრისკენტოსი; ღირსისა ანასტასია პატრიკიასი.

✝ **24 მარტი. ხუთშაბათი. სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქისა;** მღვდელმოწამისა პიონისი, ზმირნელი ხუცისა და მისთანათა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა ეპიმაქესი; სოფრონ ვრაჩანელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იოანე მოსხისა.

✝ **25 მარტი. პარასკევი. კეთილმსახურისა მეფისა მოწამისა დემეტრე თავდადებულისა;** გრიგოლ დიალოღოსისა, რომის პაპისა; ღირსისა თეოფანე აღმსარებელისა, სიღრიანელისა; მართლისა ფინეზისა; ღირსისა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველისა; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე.

✝ **26 მარტი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა;** მოწამისა საბინესი; მოწამეთა: აფრიკანესი, პუპლისა და ტერენტისა; მოწამისა ალექსანდრესი; მოწამისა ქრისტინე სპარსისა; ღირსისა ანინე ხუცისა.

✝ **27 მარტი. კვირა. დიდმარხვის მე-3 კვირა. ჯვრის თაყვანისცემა.** ღირსისა ბენედიქტესი; ევსქიმონ აღმსარებელისა, ლამპსაკიელი ეპისკოპოსისა; თეოგნოსტესი, კიეველი და მოსკოველი მიტროპოლიტისა.


ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე.

აჩერებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქარის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ლაქტოზა; 9. ტაბუ; 11. პატიმარი; 12. ნეონი; 13. მარკოზი; 14. ტარო; 15. კალაპოტი; 16. ლეპრა; 17. ტრამალი; 18. ნუნა; 19. მირაბელი; 23. ნანტი; 24. ლიზისი; 27. კლიო; 29. რომანტიკა; 30. ბალი; 32. ნაირობი; 33. ბოი; 34. ამერიკა; 35. მონე; 36. ბრავადა; 38. აბილილი; 42. ნიელო; 43. სკიფი; 45. კლასიკა; 47. არაბიკა; 48. ბიზე; 50. ნომერი; 51. კონერი; 52. მორიელი; 55. ლარგო; 56. დრაფი; 57. პრინცი; 58. სარაფანი; 59. კილტი; 60. ოტიტი; 61. გირაო.

შვეულად: 1. კალასი; 2. მითანა; 3. კაპონე; 4. ლიმიტი; 5. ქარქაში; 6. ოტომანი; 7. ანილინი; 8. კომპანია; 9. ტიტანიკი; 10. ბარენცი; 19. მარსალა; 20. რამზესი; 21. ბანდიტი; 22. ლაიკა; 24. ლანკომი; 25. ზვიგენი; 26. სკორცენი; 28. ოპიზა; 30. ბილბოკე; 31. ლაბადა; 33. ბრა; 37. დეკორაცია; 39. ბორდო; 40. ლიბრი; 41. ისანი; 44. ფრეგატი; 46. სინდიყი; 48. ბილიკი; 49. ზარალი; 51. კოპი; 52. მესა; 53. რერო; 54. ელფი; 56. დიო.

მერინოსირიალიონიანისიმონაკოლეგატირადამესი
პაპარაციონილივერისპარტახიდიკლოდელისინიორი

| ნაზამთრევიანი ცხვრის ჯიში | ირანის ფულის ერთეული | საზოგადოება „სტალინელის“ ლიდერი | ე. ნინოშვილის მოთხრობა | ამხანაგი სამსახურის მიხედვით | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | არგენტინელი ფეხბურთელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქალაქის „თავი“ | სოფელი სენაკის რაიონში | განთიადი | ძველი სომხეთის დედაქალაქი | ქალაქი საფრანგეთში | რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი | აიდას სატრფო |



თარაზულად: 4. რძის შაქარი; 9. აკრძალვა პირველყოფილ ხალხებში; 11. ტუსაღი; 12. ქიმიური ელემენტი, გაზი; 13. სახარების ერთ-ერთი ავტორი; 14. სამკითხაო კარტი; 15. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 16. კეთრი; 17. ველი, მინდორი; 18. კანი ფრჩხილის ირგვლივ; 19. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 23. ქალაქი საფრანგეთში; 24. სხეულის ტემპერატურის თანდათანობით კლება მალარიისას; 27. ეპიკური პოეზიის მუზა ბერძნულ მითოსში; 29. ის, რაც ქმნის ემოციურ-ამაღლებულ დამოკიდებულებას რაიმესადმი; 30. კურკოვანი ხილი; 32. კენიის დედაქალაქი; 33. სასტუმროს მსახური ბიჭი; 34. ქვეყნის ნაწილი; 35. ფრანგი ფერმწერი; 36. უსაფუძვლო რიხიანობა; 38. ხვიარა დეკორატიული მცენარე; 42. მოსავალის ტექნიკა; 43. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი; 45. კლასიკურ ნაწარმოებთა ერთობლიობა; 47. ერთგვარი ყავა; 48. ფრანგი კომპოზიტორი; 50. ერთგვაროვანი საგნების რიგის მაჩვენებელი რიცხვი; 51. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 52. ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი; 55. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 56. შალის საპალტოე ქსოვილი; 57. სამეფო სახლის წევრის ტიტული დასავლეთ ევროპაში; 58. ქალის საზაფხულო სამოსი; 59. შოტლანდიელი მამაკაცების სამოსი; 60. ყურის ანთება; 61. ვალის წინდი.

შვეულად: 1. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 2. ქართული ხორცპროდუქტების ფირმა; 3. ამერიკელი განგსტერი; 4. ზღვრული ნორმა; 5. ხმლის, ხანჯლის ბუდე; 6. დაბალი, რბილი მუთაქებიანი დივანი; 7. ერთგვარი ზეთოვანი სითხე; 8. სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა; 9. ჯ. კამერონის ფილმი; 10. ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 19. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 20. ეგვიპტის ფარაონი; 21. ყაჩაღი, მკვლელი; 22. ძაღლის ჯიში; 24. ფრანგული პარფიუმერიული ფირმა; 25. ზღვის დიდი ცხოველი; 26. გერმანელი დივერსანტი, სს-ის ობერშტურმან ფიურერი; 28. ძეგლი ისტორიულ კლარჯეთში; 30. საოქრომჭედლო იარაღი; 31. საწვიმარი; 33. კედლის სანათი; 37. სცენის მოწყობილობა; 39. მუქი ღვინისფერი; 40. ბისტი თვალზე; 41. მეტროს სადგური თბილისში; 44. ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი; 46. ვერცხლისწყალი; 48. საცალფეხო გზა; 49. ქონებრივი დანაკლისი; 51. ამობურცულობა შუბლზე დარტყმის შედეგად; 52. კათოლიკური წირვა; 53. ქართული მუსიკალური ანსამბლი; 54. ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული გერმანულ მითოსში; 56. ჟალუზების ქართული კომპანია.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| აბეზარი ჟურნალისტი | NBA-ს კალათბურთელი | ფილმი „.... უზნის მელოდიები“ | აოხრებული, გავერანებული ადგილ-მამული | სოფელი ახმეტის რაიონში | მეტროს სადგური თბილისში | ბოსტნეული |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბუა | საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისათვის | ძეხვის სახეობა | ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო | ნაგებობა მდინარეზე | ფრანგი მოქანდაკე კამილა ... | ბატონი იტალიაში |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 21 – 27 მარტი №13 (1425)

გამოდის ორშაბათობით

ISSN 2233-3800

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.ge** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**